


I INTERNATIONAL CONFERENCE LEXICOGRAPHY IN THE XXI CENTURY

Book of Abstracts



Centre for Lexicography and
Language Technologies

Ilia State University





I International Conference
Lexicography in the XXI century

Book of Abstracts

10-12 November, 2023



Centre for Lexicography and Language Technologies
Ilia State University

2023

I საერთაშორისო კონფერენცია
ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში

თეზისების კრებული

10-12 ნოემბერი, 2023 წელი



ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023

Organizing Committee of the Conference:

Nino Doborjginidze, Ketevan Lakirbaia, Tinatin Margalitadze, Tinatin Khomeriki, Grigol Kekelia, Maia Davlianidze, Ketevan Mchedlishvili

Scientific Committee of the Conference:

Andrea Abel, Arleta Adamska-Sałaciak, Vladimir Benko, Maria José Domínguez, Donna Farina, Rufus Gouws, Tinatin Margalitadze, Giorgi Meladze, Elsabe Taljard

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ნინო დობორჯგინიძე, ქეთევან ლაკირბაია, თინათინ მარგალიტაძე, თინათინ ხომერიკი, გრიგოლ კეკელია, მაია დავლიანიძე, ქეთევან მჭედლიშვილი

კონფერენციის სამეცნიერო საბჭო:

ანდრეა აბელი, არლეტა ადამსკა, ვლადიმირ ბენკო, რუფუს გოუვსი, მარია ხოსე დომინგესი, თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე, დონა ფარინა, ელსაბე ტალიარდი

Editor Tinatin Margalitadze

რედაქტორი თინათინ მარგალიტაძე

© 2023, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-449-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

CONTENTS

Abstracts of Plenary Lectures

- The Best of Two Worlds: Exploring the Synergy between Human Expertise and AI in Lexicography..... 13
Lars Trap-Jensen
- Theories of the Lexicon and Decisions in Dictionary Making 15
Pius ten Hacken
- Main Tendencies in the Development of Georgian
Lexicography in the XXI Century 17
Tinatin Margalitzadze, Giorgi Meladze

Abstracts of Papers

- Corpus-based Lexicography: Insights into the use of *Otaku* in
Mexican Spanish 23
Rebeca Acosta, Fabian Steuernagel
- Bilingual Experiences of Filipino Learners of German and Attitudes towards
Dictionary Use in the Foreign Language Classroom 27
Adam Rey Agustin
- Varia Georgiana: Towards a Gigaword Georgian Corpus (not only) for
Lexicographic Use..... 30
Vladimír Benko
- Issues of the Acquis Terminology Translation..... 36
Khatuna Beridze, Zeinab Gvarishvili, Zhuzhuna Gumbaridze
- Towards a New Concept of the Corpus-Based
Learner's Dictionaries – Project „SABA“ 39
Marine Beridze, Maka Tetradze
- How to Find Barbarisms in the Georgian language:
Historical Experience and Current State 43
Tinatin Bolkvadze
- Coinage of Computer Terms in Current English 45
Tinatin Bubuteishvili
- ENCO: Conceptualising a Multilingual Corpus-Based
Terminological Database for Environmental Economics 49
Alberte Fernández Castro
- On Renewal of the Dictionary of Foreign Words..... 53
Ana Chabashvili, Mariam Chabashvili
- Enhancing Lexicographic Work with Terminological Methods 57
Ana Salgado, Rute Costa
- Adequacy of Definitions of Some English Idioms in Bilingual Dictionaries and
their Role in Teaching Strategies 62
Nino Dvalidze

Developing Crowdsourcing to Validate Lexical Information About Georgian Verbs.....	66
<i>Archil Elizbarashvili, Mireille Ducassé, Manana Khachidze, Magda Tsintsadze</i>	
English-Georgian and Georgian-English Explanatory Online Dictionary in Chemistry Terminology.....	70
<i>Elizbar Elizbarashvili, Lali Ezugbaia, Gia Khatisashvili, Manana Bukia, Tinatin Butkhuzi, Tamar Khatisashvili</i>	
Comparing Dictionary Lookup Expertise: Two Groups of English Learners	77
<i>Donna Farina, Marjeta Vrbinc and Alenka Vrbinc</i>	
Preserving Endangered Kartvelian Languages: Lexicographic Insights for Megrelian Dictionary	81
<i>Rusudan Gersamia, Irina Lobzhanidze</i>	
Terminological Errors in Legislative and Other Institutional Documents	84
<i>Nana Gogia</i>	
Mapping the Morphing Meanings: Identification and Representation of Contemporary Semantic Shifts in Lexicographical Works	88
<i>Seda Hovhannisyan, Utpal Pandey</i>	
On Some Issues of the Contrastive Study of Neologisms.....	93
<i>Eliso Koridze</i>	
Merging Old and New Methodologies: a Corpus-driven Study on Italian Lexical Blends	98
<i>Mauro Le Donne</i>	
Monolingual lexicography in Hungary: past, present and future	103
<i>Veronika Lipp, László Simon, Gábor Prószéký</i>	
On lexical level in Sign languages	108
<i>Tamar Makharoblidze</i>	
The Nature of Language Change.....	112
<i>Giorgi Meladze</i>	
Collocations in Specialized Context: Towards the Modelling of an English- Georgian Database of Financial Audit Terminology	116
<i>Ketevan Tchighladze</i>	
Explanatory Combinatorial Dictionary Article for ღვინო <i>ghvino</i> „wine“	121
<i>Ketevan Tevdoradze</i>	
Dictionary Use in Teaching English.....	125
<i>Tinatin Vardidze</i>	
Comparative Analysis of English Collocations Dictionaries: A Study of the Oxford CollocationsDictionary and the Macmillan Collocations Dictionary	129
<i>Akerke Yessenali</i>	

Abstracts of Posters

Korean-Georgian Online Learner's Dictionary (KGOLD)	135
<i>Tamta Abuladze</i>	
Electronic Thesauri in EFL Classroom: Students' Perspectives on Representation of Color Adjectives.....	139
<i>Gulnara Gimaletdinova, Liliia Khalitova</i>	
A New Academic Italian-Georgian Online Learner's Dictionary.....	144
<i>Sofia Gojaeva</i>	
Development of Dictionary Use Skills in Learners of English	148
<i>Elene Khuskivadze</i>	
Georgian Terminology: Tradition and Present State	152
<i>Tamar Kvitsiani</i>	
Towards the Methodology of Detecting Neologisms in Modern Georgian Language.....	156
<i>Tamar Laluashvili</i>	
A Reader and Translator's False Friends in Shakespeare's Plays <i>Macbeth</i> and <i>King Lear</i> : Lexicological and Lexicographic Aspects.....	161
<i>Ketevan Mchedlishvili</i>	
An Insight into Entry Word Selection for a Specialised Dictionary: Plant Names.....	165
<i>Silga Sviķe</i>	
Towards Compilation of Macrostructure for Georgian-X Type Learner's Dictionaries	169
<i>Salome Tchighladze</i>	

სარჩევი

პლენარული მოხსენებების თეზისები

საუკეთესო, რაც ორივე სამყაროს აქვს: ადამიანურ გამოცდილებასა და ხელოვნურ ინტელექტს შორის სინერგიის კვლევა ლექსიკოგრაფიაში.....	14
ლარს ტრაპ-იენსენი	
ლექსიკის აღწერის თეორიები და გადაწყვეტილებები ლექსიკონის შექმნის პროცესში.....	16
პიუს ტენ ჰაკენი	
ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ტენდენციები XXI საუკუნეში.....	18
თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე	

მოხსენებების თეზისები

კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფია: ცნობები მექსიკურ ესპანურში სიტყვა <i>Otaku</i> -ს გამოყენების შესახებ.....	25
რებეკა აკოსტა, ფაბიან შტოიერნაგელი	
გერმანული ენის ფილიპინელ შემსწავლელთა ორენოვანი გამოცდილება და სხვადასხვა მიდგომები ლექსიკონის გამოყენებისადმი უცხო ენის სწავლისას.....	28
ადამ რეი აგუსტინი	
Varia Georgiana: მილიარდსიცივიანი ქართული კორპუსის შექმნის საკითხისათვის ლექსიკოგრაფიული (და არა მხოლოდ) მიზნებისთვის	33
ვლადიმირ ბენკო	
აკვისის ტერმინოლოგიის მთარგმნელობითი პრობლემები	37
ხათუნა ბერიძე, ზეინაბ გვარიშვილი, ყუყუნა გუმბარიძე	
კორპუსზე დაფუძნებული სასწავლო ლექსიკონების კონცეფციისათვის – პროექტი „საბა“	41
მარინე ბერიძე, მაკა თეთრაძე	
როგორ ვიპოვოთ ქართულ ენაში ბარბარიზმები: ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა	44
თინათინ ბოლქვაძე	
კომპიუტერული ტერმინების წარმოება თანამედროვე ინგლისურში.....	47
თინათინ ბუბუტეიშვილი	
ENCO: გარემოსდაცვითი ეკონომიკის მრავალენოვანი კორპუსზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის კონცეპტუალიზაცია	51
ალბერტე ფერნანდეს კასტრო	
უცხო სიტყვათა ლექსიკონის განახლებისათვის	55
ანა ჭაბაშვილი, მარიამ ჭაბაშვილი	

ტერმინოლოგიური მეთოდებით ლექსიკოგრაფიული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებისათვის	60
<i>ანა სალგადო, რუტე კოსტა</i>	
იდიომების განმარტების ადეკვატურობა ორენოვან ლექსიკონებში და მათი როლი სწავლების სტრატეგიებში	64
<i>ნინო დვალიძე</i>	
Crowdsourcing-ის გამოყენება ქართული ზმნების ლექსიკური ინფორმაციის შესამოწმებლად	68
<i>არჩილ ელიზბარაშვილი, მირეი დუკასე, მანანა ხაჩიძე, მაგდა ცინცაძე</i>	
ქიმიის ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური განმარტებითი ონლაინლექსიკონი	73
<i>ელიზბარ ელიზბარაშვილი, ლალი ეზუგბაია, ვია ხატისაშვილი, მანანა ბუკია, თინათინ ბუთხუზი, თამარ ხატისაშვილი</i>	
ლექსიკონში სიტყვათა მოძიების უნარ-ჩვევების შედარება: ინგლისური ენის შემსწავლელთა ორი ჯგუფი	79
<i>დონა ფარინა, მარიეტა ვერბინცი და ალენკა ვერბინცი,</i>	
ქართველური ენების დაცვა: მეგრული ენის ლექსიკონის ლექსიკოგრაფიული საკითხები	83
<i>რუსუდან გერსამია, ირინა ლობჯანიძე</i>	
ტერმინოლოგიური შეცდომები საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუციურ დოკუმენტებში	86
<i>ნანა გოგია</i>	
შეცვლილ მნიშვნელობათა აღნუსხვა: თანამედროვე სემანტიკურ ცვლილებათა გამოვლენა და წარმოდგენა ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში	91
<i>სედა ჰოვანისიანი, უტკალ პანდვი</i>	
ნეოლოგიზმების კონტრასტული კვლევის ზოგიერთი საკითხისათვის	96
<i>ელისო ქორიძე</i>	
ძველი და ახალი მეთოდოლოგიების შერწყმა: იტალიური ენის ჰიბრიდული ლექსიკის კორპუსზე დაფუძნებული კვლევა	101
<i>მაურო ლე დონნე</i>	
ერთენოვანი ლექსიკოგრაფია უნგრეთში: წარსული, აწმყო და მომავალი	106
<i>ვერონიკა ლიპი, ლასლო შიმონი, გაბორ პროსეკი</i>	
ჟესტური ენების ლექსიკის შესახებ	110
<i>თამარ მახარობლიძე</i>	
ენობრივი ცვლილების ბუნებისათვის	114
<i>გიორგი მელაძე</i>	
კოლოკაციები დარგობრივ კონტექსტში: ფინანსური აუდიტის ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ბაზის მოდელირებისთვის	119
<i>ქეთევან ჭილაძე</i>	

სიტყვა-სტატია „ღვინო“ განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონის მიხედვით.....	123
<i>ქეთევან თევდორაძე</i>	
ლექსიკონის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში.....	127
<i>თინათინ ვარდიძე</i>	
ინგლისური ენის შესიტყვებათა ლექსიკონების შედარებითი ანალიზი: ოქსფორდისა და მაკმილანის შესიტყვებების ლექსიკონების კვლევა ...	130
<i>აკერკე იესენალი</i>	

პოსტერების თეზისები

კორეულ-ქართული სასწავლო ონლაინლექსიკონი (KGOLD)	137
<i>თამთა აბულაძე</i>	
ელექტრონული თეზაურუსები ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას: სტუდენტთა შეხედულებები ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების წარმოდგენასთან დაკავშირებით	141
<i>გულნარა გიმალეტდინოვა, ლილია ხალიტოვა</i>	
ახალი აკადემიური იტალიურ-ქართული სასწავლო ონლაინლექსიკონი.....	146
<i>სოფიო ვოჯაევა</i>	
ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება ინგლისური ენის შემსწავლელელებში.....	150
<i>ელენე ხუსკივაძე</i>	
ქართული ტერმინოლოგია: ტრადიცია და თანამედროვეობა.....	154
<i>თამარ კვიციანი</i>	
ნეოლოგიზმების აღმოჩენის მეთოდოლოგიის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ ენაში.....	159
<i>თამარ ლალუაშვილი</i>	
მკითხველისა და მთარგმნელის ცრუ მეგობრები უილიამ შექსპირის პიესებში „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“: ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ასპექტები	163
<i>ქეთევან მჭედლიშვილი</i>	
ტერმინოლოგიურ ლექსიკონში შესატანი მეთაური სიტყვების შერჩევის პრინციპებისთვის: მცენარეთა სახელები.....	167
<i>სილვა სვიკე</i>	
ქართულ-X ტიპის ორენოვანი სასწავლო ლექსიკონის სიტყვანის შედგენის საკითხისათვის.....	172
<i>სალომე ქილაძე</i>	

ABSTRACTS OF PLENARY LECTURES
კლენარული მოხსენებების თეზისები

The Best of Two Worlds: Exploring the Synergy between Human Expertise and AI in Lexicography

Lars Trap-Jensen

Society for Danish Language and Literature, Denmark

ltj@dsl.dk

Abstract: With the release of ChatGPT in November 2022, artificial intelligence (AI) is no longer a far-off concept from the dystopian world of „Brave New World.” Instead, it has become a reality that is here to stay, and is poised to transform the way we create dictionaries. In my talk, I will explore the strengths and weaknesses of AI as used in ChatGPT, and how it can assist lexicographers in creating better dictionaries, rather than rendering them obsolete. Although AI technology can analyze vast amounts of data and produce impressive results, there are still areas where traditional lexicography surpasses AI. I will discuss which aspects of the dictionary-making process can be delegated to machines and which areas require the expertise of human lexicographers.

Keywords: *ChatGPT, AI technology, dictionary-making process, human expertise, machine assistance.*

საუკეთესო, რაც ორივე სამყაროს აქვს: ადამიანურ გამოცდილებასა და ხელოვნურ ინტელექტს შორის სინერჯის კვლევა ლექსიკოგრაფიაში

ლარს ტრაპ-იენსენი

დანიური ენისა და ლიტერატურის საზოგადოება, დანია

ltj@dsl.dk

თეზისი: 2022 წლის ნოემბერში ChatGPT-ს გამოშვების შემდეგ ხელოვნური ინტელექტი „საოცარი ახალი სამყაროს“ დისტოპიური რეალობიდან ალებული შორეული კონცეფცია აღარაა. პირიქით, მან ჩვენს სინამდვილეში მყარად და დიდი ხნით მოიკიდა ფეხი და, როგორც ჩანს, მალე ძირეულად გარდაქმნის ჩვენ მიერ ლექსიკონების შექმნის გზებსა და მეთოდებს. ჩემს გამოსვლაში მე განვიხილავ ChatGPT-ში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის ძლიერ და სუსტ მხარეებს და იმასაც, თუ როგორ შეუძლია მას უკეთესი ლექსიკონების შექმნაში დაეხმაროს ლექსიკოგრაფებს, ნაცვლად იმისა, რომ ლექსიკონები მოძველებულ ნაშრომებად აქციოს. იმისდა მიუხედავად, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას მონაცემთა უზარმაზარი მოცულობის გაანალიზება და შთამბეჭდავი შედეგების მოცემა შეუძლია, მაინც რჩება სფეროები, სადაც ტრადიციული ლექსიკოგრაფია ხელოვნურ ინტელექტს სჯობნის. მე განვიხილავ, ლექსიკონის შექმნის პროცესის რომელი ასპექტები შეიძლება ვანდოთ გამომთვლელ მანქანებს და რომელი სფეროები საჭიროებს „ცოცხალი“ ლექსიკოგრაფების გამოცდილებასა და ოსტატობას.

საკვანძო სიტყვები: ChatGPT, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია, ლექსიკონის შექმნის პროცესი, ადამიანის გამოცდილება, მანქანური მხარდაჭერა.

Theories of the Lexicon and Decisions in Dictionary Making

Pius ten Hacken

University of Innsbruck, Austria

pius.ten-hacken@uibk.ac.at

Abstract: In linguistic theory, the position of the lexicon has generally been much less prominent than that of phonology and syntax. Whereas both phonology and syntax have rules, the lexicon was considered nothing more than a list of non-rule-based properties. In the work of Leonard Bloomfield and Noam Chomsky, the lexicon is a list of non-redundant information. More recently, the structure of the lexicon has been receiving more attention. This is particularly the case of Relational Morphology (RM), as developed by Ray Jackendoff and Jenny Audring. Despite its name, RM is first of all a theory of how the mental lexicon is organized. The assumption is that entries are fully specified, but the expression of relations between and within entries reduces the cognitive burden of storing the information. I will explore the consequences of these two approaches to the lexicon for the decisions that have to be taken in a lexicographic project. The central question will be whether RM generates any new ideas of practical relevance for dictionary making.

Keywords: *redundancy, lexical relations, mental lexicon, Relational Morphology.*

ლექსიკის აღწერის თეორიები და გადაწყვეტილებები ლექსიკონის შემქმნის პროცესში

პიუს ტენ ჰაკენი

ინსბრუკის უნივერსიტეტი, ავსტრია

pius.ten-hacken@uibk.ac.at

თეზისი: ენათმეცნიერების თეორიაში ლექსიკას, ჩვეულებრივ, გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ხოლმე, ვიდრე ფონოლოგიასა და სინტაქსს. თუ ფონოლოგიას და სინტაქსს თავისი წესები აქვთ, ლექსიკა წესებს არ ემორჩილება. ლეონარდ ბლუმფილდისა და ნაუმ ხომსკის შრომებში ლექსიკა არის ნუსხა ინფორმაციისა, რომელიც არ წარმოიქმნება წესებზე დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით რეი ჯაკენდოფისა და ჯენი აუდრინგის მიერ შემუშავებულ რელაციურ მორფოლოგიას (RM) შეეხება. თავისი სახელის მიუხედავად, რელაციური მორფოლოგია არის თეორია იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზებული მენტალური ლექსიკონი. ივარაუდება, რომ სიტყვა-სტატიები სრულადაა კონკრეტიზებული, მაგრამ სიტყვა-სტატიათა შორის და თავად სიტყვა-სტატიათა წიაღში არსებულ მიმართებათა გამოხატვა ამცირებს ინფორმაციის შენახვის კოგნიტიურ დატვირთვას. ჩემს მოხსენებაში განვიხილავ, თუ რა შედეგები შეიძლება იქონიოს ლექსიკისადმი ამ ორმა განსხვავებულმა მიდგომამ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ლექსიკოგრაფიულ პროექტზე მუშაობისას უნდა იქნეს მიღებული. მთავარი კითხვა იქნება, წარმოშობს თუ არა რელაციური მორფოლოგია ლექსიკონების შექმნისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რაიმე ახალ იდეებს.

საკვანძო სიტყვები: სიტყვები, ლექსიკური მიმართებები, მენტალური ლექსიკონი, რელაციური მორფოლოგია.

Main Tendencies in the Development of Georgian Lexicography in the XXI Century

Tinatin Margalitadze, Giorgi Meladze

Ilia State University

tinatin.margalitadze@iliauni.edu.ge, giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge

Abstract: The history of Georgian lexicography in the XXI century is mainly the history of the development of digital lexicography. The Georgian electronic lexicography, as well as the development of computer technologies in our country in general, made a late start compared to other countries. This was the result of different factors, among them the chaos caused by the political turmoil and civil war during the 1990s which played a negative role in the digitalization of the Georgian philology.

In the presentation, we will discuss in detail the main stages in the development of electronic lexicography. As was the case in other countries, initially Georgian electronic dictionaries were mere digitized versions of their printed prototypes. Only later there appeared truly digital dictionaries, equipped with complexly structured, versatile search engines.

At the next stage, a new trend in working on electronic dictionaries became clearly discernible: the composition of dictionaries within the special Dictionary Writing Systems (DWSs).

The development of corpus linguistics in Georgia resulted in the appearance of different corpora of Georgian and their application in Georgian lexicography. Entirely corpus-based Georgian dictionaries opened a new page in the modern Georgian digital lexicography, marking a new development in this field. Simultaneously, there developed new genres of dictionaries, sign language dictionaries, frequency-based learner's dictionaries, etc.

Another important trend in the development of modern Georgian digital lexicography is the application of lexicographical data in machine translation projects, followed by important cooperation between lexicographers and NLP specialists. How to teach lexis to the machine? How to teach polysemy, homonymy, collocations, idioms, and terminology? This is the sphere, where lexicographic data may prove to be very efficient. The issues of integrating lexicographic data into various online resources are also being developed.

In the presentation, we will also address the problems of modern Georgian terminology and analyze the challenges of the field.

One of the important directions of modern Georgian lexicography is the development of dictionary use skills in Georgian youth. The need for study of the dictionary use will be analyzed on the backdrop of modern machine translation programs and applications based on artificial intelligence.

keywords: *digital lexicography, corpus linguistics, corpus-based dictionaries, dictionary writing systems, dictionaries in different applications, lexicography and machine translation, dictionary use skills.*

ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ტენდენციები XXI საუკუნეში

თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

tinatin.margalitadze@iliauni.edu.ge

giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge

თეზისი: ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია XXI საუკუნეში, ძირითადად, ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარების ისტორიაა. ელექტრონულმა ლექსიკოგრაფიამ, ისევე როგორც ზოგადად კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში, ერთგვარი დაგვიანებული სტარტი აიღო. ამ ვითარებას ბევრი მიზეზი ჰქონდა, მათ შორის 1990-იანი წლების პოლიტიკური არასტაბილურობითა და სამოქალაქო ომით გამოწვეული ქაოსი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ფილოლოგიის დიგიტალიზაციის სფეროზე.

მოხსენებაში დეტალურად იქნება განხილული ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები. ევროპული ქვეყნების მსგავსად, თავდაპირველად ქართული ელექტრონული ლექსიკონები ბეჭდური გამოცემების ოდენ გაციფრებული ვერსიები იყო. მოგვიანებით გამოჩნდა ქვეყნობრივად ციფრული, რთულად სტრუქტურირებული და მოქნილი საძიებო ინსტრუმენტარეუმით აღჭურვილი ლექსიკონები.

შემდეგ ეტაპზე გამოიკვეთა ელექტრონულ ლექსიკონებზე მუშაობის ახალი ტენდენცია: ლექსიკონების შექმნა უშუალოდ ლექსიკონთა მართვის სისტემებში (DWSs, dictionary writing systems).

საქართველოში კორპუსის ენათმეცნიერების განვითარებამ ხელი შეუწყო ქართული ენის სხვადასხვა კორპუსების შექმნას და მათ გამოყენებას ლექსიკოგრაფიაში. მთლიანად კორპუსზე დაფუძნებულმა ლექსიკონებმა ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ახალი ფურცელი გადაშალა. ამასთან ერთად გაჩნდა ახალი ჟანრის ლექსიკონები: ყვესტური ენის ლექსიკონი, სინშირულ ანალიზზე დაფუძნებული სასწავლო ლექსიკონები და სხვა.

დიგიტალური ლექსიკოგრაფიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკოგრაფიული მონაცემების გამოყენება მანქანური თარგმნის პროექტებში, რასაც მოჰყვა ლექსიკოგრაფებსა და ბუნებრივი ენის დამუშავების სპეციალისტებს შორის მნიშვნელოვანი თანამშრომლობა. როგორ ვასწავლოთ მანქანას ლექსიკა: პოლისემია, ომონიმია, შესიტყვებები, იდიომები, ტერმინოლოგია? ეს არის ის სფერო, სადაც ლექსიკოგრაფიული მონაცემები შესაძლოა ძალიან ეფექტური აღმოჩნდეს. მუშავდება ლექსიკოგრაფიული მონაცემების სხვადასხვა ონლაინ-რესურსებში ინტეგრირების საკითხებიც.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიას და იმ გამოწვევებს, რაც ამ სფეროს უკავშირდება.

თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულება არის ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება ქართველ ახალგაზრდებში. ლექსიკონის სწავლების საჭიროება გაანალიზებული იქნება თანამედროვე მანქანური თარგმნის პროგრამე-

ბისა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული აპლიკაციების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ლექსიკოგრაფია, კორპუსის ენათმეცნიერება, კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკონები, ლექსიკონის მართვის სისტემები, ლექსიკონები სხვადასხვა აპლიკაციებში, ლექსიკოგრაფია და მანქანური თარგმნა, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები.

Abstracts of Papers
მონაწილეების თეზისები

Corpus-based Lexicography: Insights into the use of *Otaku* in Mexican Spanish

Rebeca Acosta

University of Guanajuato, Mexico

rbk_luz@hotmail.com

Fabian Steuernagel

European Master in Lexicography University of Minho, Portugal

fanramstel@gmail.com

Abstract: The rise of Japanese soft power and cultural media exports to Mexico, together with a close academic and economic relationship between the two countries, have led to the adoption of many Japanese loanwords into Mexican Spanish. For this paper, we focus particularly on the loanwords that have been adopted due to cultural influences rooted in the transmission of Japanese animations during the early 90s on the Mexican open television and have increased exponentially with the turn of the century due to the internet and the popularisation of Japanese comic books better known as *manga*. It should be noted however that in our context these borrowings have not been yet treated in current lexicographic studies. Moreover, there is a lack of linguistic resources that would allow proper lexicographic treatment of such loanwords.

In order to stimulate the study of Japanese loanwords in Mexican Spanish from a lexicographic point of view, this paper is dedicated to an in-depth analysis of one of the Japanese lexical units, *otaku*, which is the most recognizable modern Japanese loanword in Mexican Spanish. Therefore, given the lack of lexicographical studies in this particular subject and the absence of this and other lexical units in printed and online dictionaries, including pan-Hispanic and loanword dictionaries. We have created for the basis of our study a corpus of Mexican Spanish with articles of an academic and journalistic nature published in the last two decades. These texts deal with topics closely related to the sociolinguistic phenomena caused by the contact between the cultures of Japan and Mexico. Notably, *otaku* can also be found as a loanword in English, although, the assimilation of the noun *otaku* is unchanged from Japanese into English, it seems that it is not the same case for the borrowing into Mexican Spanish. According to our corpus data, we have found that this LU functions as a lexico-semantic assimilation in Mexican Spanish because it has an added meaning that differs from the SL depending on who's making use of this LU in the RL. Furthermore, we have identified examples in which *otaku* has a negative connotation and can be used as a derogatory term. In line with the KWIC, we also have found that it can have a meaning of pride or solidarity for the social group that has a keen interest in anime and *manga* culture. This phenomenon is further explored for its relevance to both the fields of sociolinguistics and lexicography, the latter will be our center of attention.

For our corpus-based analysis, we make use of SketchEngine's tools (including compilation) for the identification of relevant phenomena for *otaku*, in particular the KWIC function. This paper will not focus on the etymology of the

word but its current use in Mexican Spanish.

Finally, we will conduct a semantic analysis of this LU based on Melčuk's lexicographic theory with which we will propose a definition for otaku in general dictionaries. Furthermore, we will look briefly at similar borrowings in the same context that can be considered for a more exhaustive study.

Keywords: *corpus-based analysis, Japanese, Mexican Spanish, loanwords, usage patterns, semantic analysis.*

**კორპუსზე დაფუძნებული ლემსიკობრაფია:
ცნობები მემსიკურ ესპანურში სიდივა
Otaku-ს გამოყენების შესახებ**

რებეკა აკოსტა

გუანახუატოს უნივერსიტეტი, მექსიკა

rbk_luz@hotmail.com

ფაბიან შტოიერნაგელი

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის მაგისტრი

მინიოს უნივერსიტეტი, პორტუგალია

fanramstel@gmail.com

თეზისი: მექსიკაში იაპონური „რბილი ძალისა“ და კულტურული მედიის შემოღობვებამ, ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო აკადემიურ და ეკონომიკურ კავშირებთან ერთად, მექსიკურ ესპანურში ბევრი იაპონური ნასესხობის გამოჩენა გამოიწვია. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ტიპის ნასესხობებზე, რომელთა ენაში შემოსვლაც ადრეული 90-იანი წლების მექსიკის ტელევიზიაში იაპონური ანიმაციების გადაცემით გამოწვეული კულტურული გავლენით არის განპირობებული. ახალი საუკუნის დასაწყისში ინტერნეტისა და იაპონური კომიქსების წიგნების მანგების პოპულარიზაციის დამსახურებით ეს გავლენები საგრძნობლად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კონტექსტში ამ ტიპის ნასესხობები არსებულ ლექსიკოგრაფიულ კვლევებში ჯერ არ გაანალიზებულა.

მექსიკურ ესპანურში იაპონური ნასესხობების ლექსიკოგრაფიულ ძიებაში შესწავლის წახალისების მიზნით, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე მექსიკურ ესპანურში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნასესხობის, იაპონური ლექსიკური ერთეულის *Otaku*-ს სიღრმისეული ანალიზი. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლექსიკოგრაფიული კვლევებისა და ამ და სხვა სახის ლექსიკური ერთეულების ბეჭდურ და ელექტრონულ ლექსიკონებში, მათ შორის საერთო ესპანურ და ნასესხობათა ლექსიკონებში, არარსებობის გამო, კვლევის ფარგლებში შევექმენით უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მექსიკურ ესპანურზე გამოცემული აკადემიური და პუბლიცისტური სტატიების კორპუსი. ამ ტექსტებს მჭიდრო კავშირი აქვთ სოციოლინგვისტურ მოვლენასთან, რომელიც ორი ქვეყნის, იაპონიისა და მექსიკის კულტურების კონტაქტით არის გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა *Otaku* ინგლისურ ენაშიც გვევლინება ნასესხობის სახით, თუმცა ასიმილაციის პროცესში, არსებითი სახელი *Otaku* ინგლისურ ენაში იაპონურისგან არ განსხვავდება. როგორც ჩანს, მექსიკურ ესპანურში ამ ნასესხობის შემთხვევაში სხვაგვარი ვითარება გვაქვს. ჩვენი კორპუსის მონაცემების მიხედვით, მექსიკურ ესპანურში აღნიშნული ლექსიკური ერთეული წარმოადგენს ლექსიკურ-სემანტიკური ასიმილაციის მაგალითს და მას წყარო ენისაგან განსხვავებული დამატებითი მნიშვნელობა აქვს, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იყენებს ამ ლექსიკურ ერთეულს მიმღებ ენაში. გარდა ამისა, ჩვენ

გამომავლინეთ მაგალითები, სადაც სიტყვას -ს უარყოფითი კონოტაცია აქვს და დამცრობითი ტერმინის სახით გამოიყენება. KWIK-ის ანალიზის თანახმად, ჩვენ ასევე დავადგინეთ, რომ ამ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს სიამაყის ან სოლიდარობის მნიშვნელობა იმ სოციალური ჯგუფის მიმართ, რომელსაც დიდი ინტერესი აქვს ანიმესა და მანგის კულტურისადმი. ეს მოვლენა შემდგომში განხილულია როგორც სოციოლინგვისტური, ასევე ლექსიკოგრაფიული კუთხით, თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენი ინტერესის საგანს.

კორპუსზე დაფუძნებული ანალიზისათვის ჩვენ ვიყენებთ SketchEngine-ის ინსტრუმენტს (მათ შორის, კორპუსის შედგენისთვის) სიტყვა *Otaku*-ს შესახებ რელევანტური ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის, კერძოდ KWIK-ის ფუნქციის გამოყენებით. ამ ნაშრომში ყურადღება არ არის გამახვილებული სიტყვის ეტიმოლოგიაზე, არამედ აქცენტი კეთდება მექსიკურ ესპანურში მისი გამოყენების შემთხვევებზე. საბოლოოდ, ჩვენ ჩავატარებთ აღნიშნული ლექსიკური ერთეულის სემანტიკურ ანალიზს მელჩუკის ლექსიკოგრაფიულ თეორიაზე დაყრდნობით და შევიმუშავებთ საერთო ენის ლექსიკონებისთვის სიტყვის *Otaku* დეფინიციას. გარდა ამისა, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ მსგავს კონტექსტში მსგავსი სახის ნასესხობებს, რომლებიც სამომავლოდ შესაძლოა უფრო მეტად სიღრმისეული შესწავლის საგნად იქცნენ.

საკვანძო სიტყვები: *კორპუსზე დაფუძნებული ანალიზი, იაპონური, მექსიკური ესპანური, ნასესხობები, კონტექსტები, სემანტიკური ანალიზი.*

თეზისი ქართულად თარგმნა ქეთევან მჭედლიშვილმა

Bilingual Experiences of Filipino Learners of German and Attitudes towards Dictionary Use in the Foreign Language Classroom

Adam Rey Agustin

European Master in Lexicography (EMLex) student
University of Santiago de Compostela, Spain
adamreyagustin@gmail.com

Abstract: Aims and objectives

This exploratory study aims to assess bilingual/multilingual language experiences among Filipino learners and its relationship with dictionary use in German as a foreign language classroom. Here, I examine the relationship between individual bilingual/multilingual experiences (i.e., age/order of acquisition, language preference, estimates of dominance and proficiency) and learners' attitudes towards dictionary use when doing receptive tasks. The latter explores which lexicographic tools in which languages are preferred and perceived to be useful.

Methodology and data analysis

The study employs a questionnaire-based method where two different questionnaires are administered to collect individual bilingual experiences and attitudes towards dictionary use for decoding purposes. Filipino-English bilinguals who are learning German answer the Language Experience and Proficiency Questionnaire (LEAP-Q), from which self-reported proficiency and experience data are collected. Results from this tool are then compared with another questionnaire that collects data about their attitudes towards lexicographic tools in the foreign language classroom using factor and correlational analysis.

Results and findings

Data show that Filipino-English balanced bilinguals who are learning German ($n = 57$) gravitate towards the use of bilingual dictionaries when reading and understanding a German text as they perceive it to be more useful in their reading tasks. Despite being equally competent in Filipino (native language competence) and English (second language competence), most learners prefer English over Filipino and any other Philippine languages when consulting a bilingual dictionary, although self-reported proficiency and dominance as well as language preference in reading is higher in Filipino than in English. Conversely, neutral attitudes are recorded towards the use of monolingual German dictionaries and bilingual dictionaries that translate to Philippine languages.

Originality: The present study is the first to examine the crossroads between bilingual/multilingual profiles (Filipino-English) using LEAPQ and its repercussions in German language learning and lexicography.

Significance: With the growing number of German language learners in the Philippines from diverse linguistic and educational backgrounds, present findings help German language teachers rethink dictionary use in the foreign language classroom and for lexicographers to consider the need for bilingual dictionaries from foreign languages into Philippine languages.

Keywords: *bilingualism, foreign language learning, attitudes, bilingual lexicography.*

გერმანული ენის ფილიპინელ შემსწავლელთა ორენოვანი გამოცდილება და სხვადასხვა მიდგომები ლექსიკონის გამოყენებისადმი უცხო ენის სწავლისას

ადამ რეი აგუსტინი

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (EMLex)
სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი

adamreyagustin@gmail.com

თეზისი: მიზნები და ამოცანები

ამ გამოკვლევის მიზანია შეაფასოს ფილიპინელ ენის შემსწავლელთა ორენოვანი/მრავალენოვანი გამოცდილება და მათი დამოკიდებულება ლექსიკონის გამოყენებასთან გერმანულის, როგორც უცხო ენის შესწავლისას. აქ მე განვიხილავ ურთიერთდამოკიდებულებას ინდივიდუალურ ორენოვან/მრავალენოვან გამოცდილებასა (ე.ი. ასაკს/ენის ათვისების წესს, იმას, თუ რომელ ენას ენიჭება უპირატესობა, ენის ფლობისა და ენაში გაწაფულობის შეფასებას) და ენის შემსწავლელთა მიდგომებს შორის ლექსიკონის გამოყენებისადმი სასწავლო დავალებების შესრულების პროცესში. ეს უკანასკნელი იკვლევს, თუ რომელ ენებში რა ლექსიკოგრაფიულ ინსტრუმენტებს ენიჭება უპირატესობა და რომელი მათგანი ითვლება სასარგებლოდ.

მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

გამოკვლევაში გამოყენებულია კითხვარზე დაფუძნებული მეთოდი, სადაც შესავსებია ორი სხვადასხვა კითხვარი, რომლის მეშვეობითაც შეგროვდება ინდივიდუალური მონაცემები ორენოვანი გამოცდილებისა და დეკოდირების მიზნით ლექსიკონის გამოყენებისადმი მიდგომების შესახებ. ფილიპინო-ინგლისური ორენოვანი ინდივიდები, რომლებიც გერმანულ ენას სწავლობენ, შეავსებენ „ენობრივი გამოცდილებისა და გაწაფულობის კითხვარებს“ (LEAP-Q), რომლებიდანაც მოვიპოვებთ ცდისპირთა თვითშეფასების საფუძველზე მოგროვებულ მონაცემებს მათი ენობრივი გაწაფულობისა და გამოცდილების შესახებ. ამ ინსტრუმენტის დახმარებით მიღებულ შედეგებს შემდეგ შევადარებთ მეორე კითხვარს, რომელიც აგროვებს მონაცემებს უცხო ენის სწავლის პროცესში ლექსიკოგრაფიული ინსტრუმენტებისადმი მათი მიდგომების შესახებ, რის დროსაც გამოყენებული იქნება ფაქტორული და კორელაციური ანალიზი.

შედეგები და მიგნებები

მონაცემები გვაჩვენებს, რომ დაბალანსებულ ფილიპინო-ინგლისურ ორენოვან ინდივიდებს, რომლებიც სწავლობენ გერმანულს ($n = 57$), აღენიშნებათ ორენოვანი ლექსიკონების გამოყენებისადმი სწრაფვა გერმანული ტექსტის კითხვისა და აღქმისას, რადგანაც ეს მათ უფრო სასარგებლოდ ესახებათ თავიანთ საკითხავ დავალებათა შესასრულებლად. ენის შემსწავლელთა უმეტესობა, მიუხედავად იმისა რომ ერთნაირად კომპეტენტურია ფილიპინო (ტაგალურ) ენასა (მშობლიური ენის

დონის კომპეტენცია) და ინგლისურ ენაში (მეორე ენის დონის კომპეტენცია), უპირატესობას ანიჭებს ინგლისურს ფილიპინო (ტაგალური) ენისა და ფილიპინებში გავრცელებული ნებისმიერი სხვა ენის წინაშე, როდესაც ორენოვანი ლექსიკონით სარგებლობენ, მიუხედავად იმისა, რომ კითხვისას უპირატესობა ფილიპინო ენას ენიჭება ინგლისურის წინაშე. ამისდა საპირისპიროდ, ნეიტრალური მიდგომები ფიქსირდება ერთენოვანი (განმარტებითი) გერმანული ლექსიკონების გამოყენებისა და იმ ორენოვანი ლექსიკონების გამოყენებისადმი, რომლებიც ფილიპინურ ენებზე თარგმნიან.

სიახლე: წინამდებარე გამოკვლევა პირველია, რომელიც შეისწავლის გადაკვეთებს ორენოვან/მრავალენოვან (ფილიპინო-ინგლისურ) მახასიათებლებს შორის LEAPQ კითხვარის გამოყენებით და რომლის შედეგად მოპოვებული მონაცემები მნიშვნელოვანია გერმანული ენის სწავლისა და ლექსიკოგრაფიისათვის.

მნიშვნელობა: მაშინ როდესაც ფილიპინებში იზრდება იმ სხვადასხვა ენობრივი და საგანმანათლებლო ფონის მქონე პირთა რიცხვი, ვისაც გერმანული ენის შესწავლა სურს, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მიგნებები ეხმარება გერმანული ენის მასწავლებლებს უცხოური ენის შესწავლის პროცესში ლექსიკონის გამოყენების როლის ახლებურად გააზრებაში და მოუწოდებს ლექსიკოგრაფებს, იფიქრონ იმგვარი ორენოვანი ლექსიკონების შექმნაზე, რომლებიც უცხო ენებს ფილიპინურ ენებზე თარგმნიან.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვიზმი, უცხო ენის შესწავლა, დამოკიდებულება, ორენოვანი ლექსიკოგრაფია.

თეზისი ქართულად თარგმნა გიორგი მელაძემ

Varia Georgiana: Towards a Gigaword Georgian Corpus (not only) for Lexicographic Use

Vladimír Benko

Slovak Academy of Sciences, I. Štúr Institute of Linguistics, Slovakia

vladimir.benko@uniba.sk

Introduction and Related Work. Georgian does not belong to low-resource languages: several Georgian projects developing text corpora are in process, such as the traditional Georgian National Corpus¹, the Georgian Language Corpus², as well as several web-crawled corpora – the kaWaC³ at the Sketch Engine site, Serge Sharoff’s Georgian Internet Corpus⁴, and also the Georgian portion of the Leipzig Wortschatz Portal⁵. On the other hand, there is (almost) no Georgian PoS tagger available, and the Georgian Universal Dependencies Treebank, despite having its slot at the UD⁶ webpage, is still vacant.

Our Plans. Our paper will present an ongoing Project targeted at the creation of a Georgian text corpus composed of texts gathered from open resources. Its main component is to be *Araneum Georgianum*, the 864 Megaword web-crawled corpus created in the framework of the Aranea⁷ Project (Benko, 2014; 2016a), supplemented by the Georgian portion of Wikipedia, the Georgian data of Common Crawl⁸ extracted by the Oscar⁹ Project (Abadji et al., 2022) and the Georgian movie subtitles extracted from the OPUS¹⁰ database.

What has been done already. At the time of writing this abstract, only the Araneum part of the corpus is fully processed by the standard Araneum tools, usually referred to as „Brno Pipeline” (Benko, 2016b) that includes crawling by SpiderLing, language identification, filtration, language-specific tokenization, document-level deduplication, lemmatization and PoS tagging, paragraph – and sentence-level deduplication and processing by the corpus manager. While most processing steps relied on tools designed for other languages, tagging was a real challenge. The good news was that we were able to obtain the Georgian language model for TreeTagger trained by Serge Sharoff using the data created by Sophiko Daraselia in the framework of her PhD research (2019). Sophiko also provided the data to Bart Jongejan, who has trained his

1 <http://gnc.gov.ge/gnc/page>

2 <https://research.iliauni.edu.ge/en/project/33-georgian-language-corpus>

3 https://app.sketchengine.eu/#dashboard?corpname=preloaded%2Fgeorgianwac&corp_info=1

4 <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>

5 https://corpora.wortschatz-leipzig.de/de?corpusId=kat_mixed_2017

6 <https://universaldependencies.org/>

7 <http://aranea.juls.savba.sk/guest/>, <http://unesco.uniba.sk/guest/>

8 <https://commoncrawl.org/>

9 <https://oscar-project.org/>

10 <https://opus.nlpl.eu/>

lemmatizer¹¹ (Jongejan and Dalianis, 2009) so that lemmas for out-of-vocabulary lexical items could be guessed. The output of both tools has been aggregated using an „ensemble” approach described, e.g., in Benko (2022).

The OSCAR data came in a different format (json) that needed to be converted so that it could be merged with the Araneum corpus. This process also involved extra filtration, as the data are much less clean than those provided by the Brno Pipeline. In particular, frequent boilerplate items, stray XML tags, and scripts had to be identified and deleted. At the time of writing this abstract, only the 2023 portion of the OSCAR data has been partially processed yielding approx. 200 Megaword corpus, with the two older parts to be processed later.

What has to be done. Besides PoS Tagging, lemmatization, and deduplication of the OSCAR data, the Wikipedia and subtitles have to be processed. We do not expect any additional problems here, as the source data are in the compatible format already, and all tools have been tested at least in two other languages. After merging all data together, we expect that a Gigaword+ size of the corpus can be safely reached. We would also like to present a new sketch grammar in the final version of our paper.

Conclusion and Father Work. It is generally agreed that web-crawled corpora are usually not as representative as the traditional ones (cf. Cvrček et al., 2020) as they typically lack some important text types and genres (most notably high-quality fiction and transcripts of spoken data). On the other hand, they also have some advantages – they can usually be very large (even by order of magnitude for some languages), contain new text types and genres (such as presentations of institutions and companies, blogs, discussions, instructions) and can rapidly reflect lexical items related to recent social phenomena (e.g., pandemics, the war in Ukraine, etc.). We certainly do not want to argue that a web-crawled corpus should replace a traditional one, but at least from our experience, we can say that it may be a good supplement to a traditional one for lexicographic work.

Appendix (in a separate file at the back of the Book of Abstracts)

A keyword list calculated from the Coronavirus sub-corpus with the whole Georgian corpus as a reference.

References:

- Abadji, Julien – Suarez, Pedro Ortiz – Romary, Laurent – Sagot, Benoît** (2022). Towards a Cleaner Document-Oriented Multilingual Crawled Corpus. arXiv:2201.06642 [cs.CL]. <https://doi.org/10.48550/arXiv.2201.06642>.
- Benko, Vladimír** (2014). Aranea: Yet another Family of (Comparable) Web Corpora. In *Text, Speech and Dialogue: 17th International Conference (TSD 2014)*, Brno, Czech Republic, September 8-12, 2014. Proceedings. – Springer, 2014, s. 247-256. ISBN 978-3-319-10815-5.
- Benko, Vladimír** (2016a). Two Years of Aranea: Increasing Counts and Tuning the Pipeline. Rec. Scientific committee members of the LREC 2016. In *Proceedings of the Tenth International Conference on Language Resources and Evaluation (LREC 2016)*. – Paris : European Language Resources Association.

¹¹ <https://github.com/kuhumcst/texton-linguistic-resources/tree/master/ka/lemmatiser/notags>

- tion (ELRA), 2016, s. 4245-4248. ISBN 978-2-9517408-9-1.
- Benko, Vladimír** (2016b). Feeding the „Brno Pipeline”: The Case of Araneum Slovacum. In *RASLAN: Recent Advances in Slavonic Natural Languages Processing*, The Tenth Workshop, 2016, vol. 10, p. 19-27. ISBN 978-80-263-1340-3. ISSN 2336-4289.
- Benko, Vladimír** (2022). Aranea Go Middle East: Persicum. In *RASLAN 2022: Recent Advances in Slavonic Natural Language Processing*. 1. vyd. – Brno: Tribun EU, 2022, s. 113-121. ISBN 978-80-263-1752-4. ISSN 2336-4289.
- Cvrček, Václav – Komrsková, Zuzana – Lukeš, David – Poukarová, Petra – Řehořková,**
- Anna – Zasina, Adrian Jan – Benko, Vladimír** (2020). Comparing web-crawled and traditional corpora. In *Language Resources and Evaluation*, 2020, vol. 54, č. 3, s. 713-745. (2019: 1.014-IF, Q4 – JCR, 0.441 – SJR, Q1 – SJR). ISSN 1574-020X.
- Darselia, Sophiko** (2019). Computational Analysis of Morphosyntactic Categories in Georgian. PhD Theses. School of Languages, Cultures and Societies, University of Leeds, 2019.
- Jongejan, Bart and Dalianis, Hercules** (2009). Automatic training of lemmatization rules that handle morphological changes in pre-, in – and suffixes alike. In *Proceedings of the Joint Conference of the 47th Annual Meeting of the ACL and the 4th International Joint Conference on Natural Language Processing of the AFNLP*, pages 145–153, Suntec, Singapore. Association for Computational Linguistics.
- Tiedemann, Jörg** (2012). Parallel Data, Tools and Interfaces in OPUS. In *Proceedings of the 8th International Conference on Language Resources and Evaluation (LREC'2012)*.

Varia Georgiana: მილიარდსიძვენიანი ქართული კორპუსის შემზინის საკითხისათვის ლექსიკოგრაფიული (და არა მხოლოდ) მიზნებისთვის

ვლადიმირ ბენკო

სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის ლ. შტურის სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სლოვაკეთი

vladimir.benko@juls.savba.sk

შესავალი და მსგავსი ტიპის ნაშრომები. ქართული მცირერესურსიანი ენათა რიცხვს არ განეკუთვნება: მიმდინარეობს რამდენიმე ქართული პროექტი, რომელთა ამოცანაც ტექსტური კორპუსების შედგენაა, ასე მაგალითად ტრადიციული „ქართული ეროვნული კორპუსი“¹², „ქართული ენის კორპუსი“¹³, ისევე როგორც ვებ-კროლინგის მეთოდით შედგენილი კორპუსები – kaWaC¹⁴ კორპუსი „სკეჩ ენჯინის“ საიტზე, სერგეი შაროვის „ქართული ინტერნეტ-კორპუსი“¹⁵, და აგრეთვე „ლაიფციგ ვორტშაფ პორტალის“ ქართული ნაწილი¹⁶.

მეორე მხრივ, (თითქმის) არ არსებობს ქართული მეტყველების ნაწილების მომნიშვნელი (PoS tagger), ხოლო ქართული უნივერსალური დამოკიდებულებების ხეთა ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი გრაფა აქვს გამოყოფილი UD¹⁷ (უნივერსალურ დამოკიდებულებათა) ვებ-გვერდზე, ჯერაც ცარიელია.

ჩვენი გეგმები. ჩვენს ნაშრომში წარმოვადგენთ მიმდინარე პროექტს, რომლის მიზანიცაა ღია რესურსებიდან შეგროვებული ტექსტებისგან შემდგარი ქართული ტექსტური კორპუსის შექმნა. მისი მთავარი კომპონენტი უნდა გახდეს *Araneum Georgianum*, 864-მეგასიტიციანი, ვებ-კროლინგზე დაფუძნებული კორპუსი, შექმნილი პროექტ „არანეას“¹⁸ (Benko, 2014; 2016a) ფარგლებში, რასაც დაემატება „ვიკიპედიის“ ქართული ნაწილი, „კომონ კროლის“¹⁹ ქართული მონაცემები, მოპოვებული პროექტ „ოსკარის“²⁰ (Abadji et al., 2022) მიერ, და ქართულ კინოფილმთა სუბტიტრები, ამოღებული მონაცემთა ბაზა „ოპუსიდან“²¹.

უკვე რა გაკეთდა. ამ თეზისის დაწერის მომენტისთვის, კორპუსის მხოლოდ „არანეუმისეული“ ნაწილია სრულად დამუშავებული ჩვეულებრივ „ბრნოს მილსადენად“ (Benko, 2016b) წოდებული „არანეუმის“ ინსტრუმენტით, რაც მოიცავს კროლინგს „სპაიდერლინგით“, ენის იდენტიფიკაციას, ფილტრაციას, ენის მიხედვით ტოკენიზაციას, დოკუმენ-

12 <http://gnc.gov.ge/gnc/page>

13 <https://research.iliauni.edu.ge/en/project/33-georgian-language-corpus>

14 https://app.sketchengine.eu/#dashboard?corpname=preloaded%2Fgeorgianwac&corp_info=1

15 <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>

16 https://corpora.wortschatz-leipzig.de/de?corpusId=kat_mixed_2017

17 <https://universaldependencies.org/>

18 <http://aranea.juls.savba.sk/guest/>, <http://unesco.uniba.sk/guest/>

19 <https://commoncrawl.org/>

20 <https://oscar-project.org/>

21 <https://opus.nlpl.eu/>

ნტის დონეზე დუბლიკატების წაშლას, ლემატიზაციას და მეტყველების ნაწილების ტეგირებას (PoS tagging), დუბლიკატების წაშლას აზიაციას და წინადადების დონეზე და დამუშავებას კორპუსის მენეჯერის მიერ.

რამდენადაც დამუშავების ეტაპების უმეტესობა სხვა ენებისთვის შემუშავებულ ინსტრუმენტებს იყენებდა, ტეგირება სერიოზულ გამოწვევად იქცა. კარგი ამბავი ის იყო, რომ ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა ქართული ენის მოდელი, რომელსაც ეფუძნებოდა სერგეი შაროვის მიერ გაწვრთნილი TreeTagger (ტექსტის ანოტატორი), რომელიც იყენებდა სოფიკო დარასელიას მიერ მისი სადოქტორო კვლევის (2019) ფარგლებში შექმნილ მონაცემებს. სოფიკომ მონაცემები მიაწოდა ბარტ იონგეიანსაც, რომელმაც გაწვრთნა თავისი ლემატიზატორი²² (Jongejan and Dalianis, 2009), რათა შესაძლებელი ყოფილიყო ისეთ ლექსიკურ ერთეულთა ამოცნობა, რომლებიც ლექსიკონში/სიტყვათა მარაგში არ შედიოდა. ორივე ინსტრუმენტის გამომავალი მონაცემები გაერთიანდა „ანსამბლური“ მეთოდის გამოყენებით, რომელიც აღწერილია, მაგ. ნაშრომში Benko (2022).

„ოსკარის“ (OSCAR) მონაცემები განსხვავებულ ფორმატში (json) მივიღეთ და მათ კონვერტირება დასჭირდა, რათა ამ მონაცემთა „არანეუმის“ კორპუსთან შერწყმა გამხდარიყო შესაძლებელი. ეს პროცესი დამატებით ფილტრაციასაც მოითხოვდა, რამდენადაც ეს მონაცემები გაცილებით ნაკლებად სუფთაა, ვიდრე იყო „ბრნოს მილსადენით“ მოწოდებულები. კერძოდ, ხშირად საჭირო ხდებოდა სტერეოტიპული ერთეულების, არასწორი XML-ტეგებისა და სკრიპტების გამოვლენა და წაშლა.

ამ თეზისის დაწერის მომენტისთვის ნაწილობრივ დამუშავებულია „ოსკარის“ მონაცემთა 2023 წლის ნაწილი, რამაც დაახლ. 200-მეგასიტყვიანი კორპუსი მოგვცა, ხოლო ორი უფრო ძველი ნაწილი მოგვიანებით იქნება დასამუშავებელი.

რა არის გასაკეთებელი. „ოსკარის“ მონაცემთა მეტყველების ნაწილთა მიხედვით ტეგირების (PoS tagging), ლემატიზაციისა და დუბლიკატების წაშლის გარდა, დასამუშავებელია „ვიკიპედია“ და სუბტიტრები. აქ რაიმე დამატებით პრობლემებს არ მოგველით, რამდენადაც საწყისი მონაცემები უკვე თავსებად ფორმატშია გადაყვანილი და ყველა ინსტრუმენტი ტესტირებულია არანაკლებ ორ სხვა ენაში. ყველა მონაცემთა გაერთიანების შემდეგ ვფიქრობთ, რომ უპრობლემოდ მოხერხდება მილიარდზე მეტ სიტყვიანი (Gigaword+ size) კორპუსის შექმნა. ჩვენი ნაშრომის საბოლოო ვარიანტში გვინდა აგრეთვე წარმოვადგინოთ გრამატიკის ახალი მონახაზი.

დასკვნა და შემდგომი სამუშაო. ზოგადად ითვლება, რომ ვებ-კროლინგის მეთოდით შექმნილი კორპუსები, ჩვეულებრივ, ისეთი რეპრეზენტაციული არაა, როგორც ტრადიციულები (შდრ. Cvrček et al., 2020), რადგანაც მათში, როგორც წესი, არ შედის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტიპის ტექსტები და ჟანრები (აქედან უმთავრესია მაღალი ხარისხის მხატვრული ლიტერატურა და სასაუბრო მონაცემთა ტრანსკრიპტები). მეორე მხრივ, მათ ზოგიერთი უპირატესობაც აქვთ – ისინი, ჩვეულებრივ, შეიძლება ძალიან დიდები იყოს (ტრადიციულზე ათჯერ უფრო დიდციკი ზოგიერთი ენის შემთხვევაში), შეიცავდნენ ახალი ტიპის ტექსტებს და ახალ ჟანრებს (როგორებიცაა მაგ. დაწესებულებებისა და კომპანი-

22 <https://github.com/kuhumcst/texton-linguistic-resources/tree/master/ka/lemmatiser/notags>

ების პრეზენტაციები, ბლოგები, დისკუსიები, ინსტრუქციები) და მათ შეუძლიათ სწრაფად ასახონ ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დაკავშირებულია უახლეს სოციალურ მოვლენებთან (მაგ. პანდემიებთან, ომთან უკრაინაში და ა.შ.).

ჩვენ ნამდვილად არ ვამტკიცებთ, რომ ვებ-კროლინგის მეთოდით შედგენილმა კორპუსებმა ტრადიციული კორპუსები უნდა ჩაანაცვლოს, მაგრამ, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე მაინც, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ლექსიკოგრაფიული სამუშაოებისთვის ამგვარი კორპუსები ტრადიციული კორპუსების სასარგებლო დანამატად შეიძლება იქცეს.

დანართი (ცალკე ფაილად თეზისების კრებულის ბოლოს)

ძირითადი სიტყვების სია, გამოყვანილი კორონავირუსის ქვეკორპუსიდან, რომელიც წყაროდ მთელს ქართულ კორპუსს იყენებს.

თეზისი ქართულად თარგმნა გიორგი მელაძემ

Issues of the Acquis Terminology Translation

Khatuna Beridze, Zeinab Gvarishvili

Batumi Shota Rustaveli State University

Zhuzhuna Gumbaridze

Avicenna – Batumi Medical University

beridze@bsu.edu.ge, zeinab.gvarishvili@bsu.edu.ge, zh.gumbaridze@avicenna.ge

Abstract: Translation of the Acquis communautaire has been followed in almost every acceding EU state, leading to debates about quality, numerous requests for corrigenda, and controversies regarding terminology consistency. In some cases, translational mistakes were overlooked, incurring costs and requiring additional efforts from both the EU and national institutions. This paper examines the consistency of terminology in the EU-Georgian Association Agreement, Title IV, articles 1-276. The analysis was conducted using a custom-built bilingual corpus platform and software. The primary goal of this research was to further develop the analysis of terminology in translated Acquis documents, as well as in legal texts in general. Based on the analyzed samples, the study categorizes eight linguistic approaches to terminology translation in legal texts that result in inconsistency and misinterpretation of the law.

In summary, this study, which consists of pre-selected chapters from the EU-Georgia Association Agreement, including Titles 1-4 and Articles 1-276, identifies eight linguistic approaches to terminology translation employed by Georgian translators.

Linguistic Approaches:

1. Violation of the principle of invariability of the referent term in the legal document, leading to patterns of inconsistency in the translation of the Association Agreement (AA).
2. Variation of the term in the target text (TT), including alternative forms of the invariant term from the source text (ST). In some cases, the same term is either translated or transliterated.
3. Mistranslation of the term due to terminological ambiguities, often resulting from a lack of an exact equivalent for the ST term.
4. Mistranslation of the term by replacing the ST term with a different concept in the TT.
5. Mistranslation of the term with the ST term transferred without the extra word needed for full concept transfer in the TT.
6. Mistranslation of the term by replacing the ST term with a quasi-synonymous concept in the TT.
7. Mistranslation of the term involving conceptual irrelevance between the ST and TT terms.
8. Mistranslation of terms with embedded extra-linguistic information that requires further elaboration by experts for precise formulation to clarify conceptual ambiguity.

Keywords: *Acquis Communautaire, terminology translation, corpus linguistics.*

აკვისის ტერმინოლოგიის მთარგმნელობითი პრობლემები

ხათუნა ბერიძე, ზეინაბ გვარიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟუჟუნა გუმბარიძე
შპს ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

beridze@bsu.edu.ge, zeinab.gvarishvili@bsu.edu.ge, zh.gumbaridze@avicenna.ge

თეზისი: Acquis communautaire-ის თარგმნის ხარისხმა ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში გამოიწვია კამათი, რასაც თან მოჰყვა თარგმანის რედაქტირების არაერთი მოთხოვნა და დაპირისპირება ტერმინოლოგიის თარგმნის თანაზომიერებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი შეხედვით შეუმჩნეველმა მთარგმნელობითმა შეცდომებმა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ხარჯები გამოიწვია და დამატებითი ძალისხმევა მოითხოვა როგორც ევროკავშირის, ისე შესაბამისი ეროვნული დაწესებულებებისგან. წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ტერმინოლოგიის თარგმნისადმი არათანმიმდევრულ მიდგომებს ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაში. კვლევა მოიცავდა მე-4 კარის 1-276-ე მუხლებს. ანალიზი ჩატარდა სპეციალურად შექმნილი ორენოვანი კორპუსული პლატფორმის გამოყენებით. კვლევის უპირველესი მიზანი იყო ტერმინოლოგიის ანალიზის შემდგომი განვითარება Acquis-ის თარგმნის დოკუმენტებში, ისევე როგორც ზოგადად იურიდიულ ტექსტებში. გაანალიზებული ნიმუშების საფუძველზე, კვლევა კატეგორიულად ანაწილებს ტერმინოლოგიის თარგმნის რვა ლინგვისტურ მიდგომას სამართლებრივ ტექსტებში. აღნიშნული მიდგომები იწვევს დედანთან თარგმანის შეუსაბამობასა და მის არასწორ ინტერპრეტაციას. ამ კვლევის კიდევ ერთი ღირებულება ასპექტია კორპუსლინგვისტური მეთოდოლოგიის მნიშვნელობის პოპულარიზაცია სამართლებრივი ტექსტების მანქანური თარგმნის განსავითარებლად.

კორპუსლინგვისტიკური კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი შედეგები: განვსაზღვრეთ რვა ლინგვისტური კატეგორია, რამაც ტერმინოლოგიის თარგმნისას გამოიწვია მთარგმნელობითი უზუსტობა:

1. სამართლებრივ დოკუმენტში რეფერენტული ტერმინის უცვლელობის პრინციპის დარღვევა, რაც იწვევს ასოცირების შეთანხმების (AA) თარგმანის შეუსაბამობის ნიმუშებს.
2. ტერმინის ვარიაცია სამიზნე ტექსტში (TT), საწყისი ტექსტის (ST) ინვარიანტული ტერმინის ალტერნატიული ფორმებით ჩანაცვლება, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იგივე ტერმინი ითარგმნება ან ტრანსლიტერირებულია.
3. ტერმინის არასწორად თარგმნა და ტერმინოლოგიური ბუნდოვანების გამოწვევა, ხშირად ST ტერმინის ზუსტი ეკვივალენტის არარსებობის გამო.
4. ტერმინის არასწორი თარგმანი TT-ში, ST ტერმინის სხვა ცნებით ჩანაცვლებით.

5. ტერმინის არასწორი თარგმანი, ST ტერმინით გადმოტანა დამატებითი ლექსიკური ერთეულის გარეშე, რაც აუცილებელია კონცეპტუალური მნიშვნელობის სრულად გადმოცემისთვის TT-ში.
6. ტერმინის არასწორი თარგმანი TT-ში, ST ტერმინის კვაზი-სინონიმური ცნებით ჩანაცვლებით.
7. ტერმინის არასწორი თარგმანი, რომელიც იწვევს ST და TT ტერმინებს შორის კონცეპტუალურ შეუსაბამობას.
8. თანმხლები ექსტრალინგვისტური ინფორმაციის მქონე ტერმინების არასწორი თარგმანი, რაც, კონცეპტუალური ორაზროვნების თავიდან აცილებისა და ზუსტი ფორმულირების მიზნით, საჭიროებს ექსპერტების ჩართვას.

საკვანძო სიტყვები: აკვისი, ტერმინოლოგიის თარგმანი, კორპუს-ლინგვისტიკა.

Towards a New Concept of the Corpus-Based Learner's Dictionaries – Project „SABA“

Marine Beridze, Maka Tetradze

State Language Department, Georgia

marine.beridze@gmail.com, maka.tetradze@tsu.ge

Abstract: Following the development of corpus linguistics and corpus lexicography, compilation of learner's dictionaries, based on corpora, is considered to be one of the useful resources in language teaching. In this regard, a notable project is „Kelly“, within the framework of which frequency lists were developed for several languages (Russian, English, German, Arabic, Greek, Swedish, Norwegian, Italian, and Polish) based on corpus data. These lists were in accordance with the Common European Framework of Reference for Languages (<http://corpus.leeds.ac.uk/serge/kelly/>). A series of Routledge corpus-based learner's dictionaries is also one of the important contributions to the field (URL: <https://www.routledge.com/Routledge-Frequency-Dictionaries/book-series/RFD>).

The above-mentioned projects served as models for the project „Saba“ created in 2018. Within this project, the State Language Department, with the assistance of respective language specialists, created two multilingual learner's dictionaries, Georgian-Abkhazian-English and Georgian-Ossetian-English, based on the frequency list, extracted from the Georgian web-corpus KAWAC (URL: <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>).

The main goal of compiling the dictionaries was to provide the vocabulary of the Modern Georgian language to language students, hopefully also including students, who are native speakers of Abkhazian and Ossetian. Alongside English translations, supplied to each word, Georgian, Abkhazian and Ossetian words are transliterated, which makes the resource user-friendly – a student does not need to be familiar with the alphabets of Georgian, Abkhazian or Ossetian.

Considering that these are learner's dictionaries, they include not only lexis but also grammatical information. Georgian entries are organized in the following way: nouns (including verbal nouns and participles) are in the nominative case, accompanied by a respective form in the genitive case, which allows a dictionary user to realize how to decline the word.

The State Language Program, developed by the State Language Department, envisages the creation of a portal for the State (Georgian) language, which will also incorporate the updated corpus-based frequency dictionaries (<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5338987?publication=0>).

Renewal of above-mentioned frequency dictionaries for learners also implies the renewal of the concept of learner's frequency dictionaries. In the new concept, we will develop a balanced frequency list, which will be based on the KaWaC, but will be compared to other corpus data and dictionaries of the same type. At the same time, it is planned to consider a brief description (standard) of the levels of the Georgian language competence when compiling the list (the standard was approved by the Georgian Government upon the recommendation of the State Language Department in 2020 (the resolution of the Georgian Government #384). The broad description of the levels of the Georgian language

competence is in full compliance with the CEFR. That will be the first attempt to create a dictionary based on an official standard.

In addition to the classification of the new frequency list according to the levels of the language competence, it is planned to create word lists of thematic groups, which can be a useful resource in teaching Georgian as a foreign language.

At the first stage it is planned to provide Georgian headwords with Abkhazian, Ossetian, Armenian, and Azerbaijani equivalents. The dictionaries will also feature English translations and Latin transliterations of headwords (lemmas).

Given that the dictionaries published in 2018 are available only as printed dictionaries, new learner's dictionaries will be uploaded to the portal of the State language as online resources. This will enable the compilers of these dictionaries to take into consideration feedbacks from users and improve dictionaries.

The major drawback of our 2018 dictionaries is that the dictionary entry is not illustrated with example sentences. Unfortunately, the time allocated for the creation of these dictionaries, made it impossible to add appropriate examples. However, since the dictionary is based on the frequency list extracted from the Georgian web-corpus, this fact directs a user, a language learner to the corpus, where s/he can find all necessary contexts. According to the new concept, entries will be enriched with collocations, contexts of usage, which will bring a user closer to the corpus.

The new concept and framework of dictionaries makes it possible to add any other language, enrich them with example sentences and connect them to multimedia means in the future. In our presentation, we will discuss at length the content and technical characteristics of the dictionaries and present the work, both already implemented and planned for the future.

Keywords: *learner's dictionary, frequency dictionary, corpus-based, Abkhazian, Ossetian.*

კორპუსზე დაფუძნებული სასწავლო ლექსიკონების კონცეფციისათვის – პროექტი „საბა“

მარინე ბერიძე, მაკა თეთრაძე

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, საქართველო

marine.beridze@gmail.com, maka.tetradze@tsu.ge

თეზისი: კორპუსლინგვისტიკისა და კორპუსული ლექსიკოგრაფიის განვითარების კვალდაკვალ კორპუსზე დაფუძნებული სასწავლო ლექსიკონების შექმნაც სასარგებლო რესურსებად ითვლება ენის სწავლებისას. ამ მხრივ გამორჩეული პროექტია „კელი“, რომლის ფარგლებშიც კორპუსზე დაფუძნებული რამდენიმე ენის (რუსული, ინგლისური, გერმანული, არაბული, ბერძნული, შვედური, ნორვეგიული, იტალიური, პოლონური) სინშირული სიები, სასწავლო მიზნებთან შესაბამისად, ენის ფლობის დონეების ევროპული ჩარჩოს მიხედვით, სხვადასხვა დონისათვის განაწილდა (<http://corpus.leeds.ac.uk/serge/kelly/>). ცნობილია ასევე სასწავლო სინშირული რუტლედჯის სერია ლექსიკონებისა, რომლებიც კორპუსებს ეფუძნება (<https://www.routledge.com/Routledge-Frequency-Dictionaries/book-series/RFD>).

სწორედ კორპუსული სინშირული სიების მიხედვით შექმნილი ლექსიკონების მოდელი იქნა აღებული 2018 წლის პროექტისათვის „საბა“, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ენის სპეციალისტებთან ერთად კორპუსზე დაფუძნებული ორი სასწავლო სინშირული ლექსიკონი შექმნა: ქართულ-აფხაზურ-ინგლისური და ქართულ-ოსურ-ინგლისური. სინშირული სია კი აღებული იყო ქართული ენის ვებკორპუსიდან (<http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>).

ლექსიკონების შედგენის მთავარი მიზანი იყო თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის მიწოდება ენის შემსწავლელთათვის, რომელთა შორის, დიდი იმედით, აფხაზურისა და ოსურის მცოდნენიც მოიაზრებოდა. ამასთან, თითოეული სიტყვაფორმის ინგლისური თარგმანი და ლათინური ტრანსლიტერაცია უფრო ადვილად გამოსაყენებელს ხდის მასალას: შემსწავლელს არ სჭირდება ქართული, ოსური ან აფხაზური ანბანის ცოდნა.

იმის გათვალისწინებით, რომ ლექსიკონები სასწავლოა, მათში შესულია არა მხოლოდ წმინდა ლექსიკური, არამედ გრამატიკული ინფორმაცია: ქართული სალექსიკონო ერთეულები წარმოდგენილია შემდეგი სახით: სახელების (მათ შორის, მასდარისა და მიმღეობის) საწყისი სალექსიკონო ფორმა სახელობითი ბრუნვის ფორმა, თითოეულს ახლავს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაც, რაც საშუალებას აძლევს ლექსიკონის მომხმარებელს, გაარჩიოს, როგორ შეიძლება შეიცვალოს ფუძე ბრუნების დროს.

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) ითვალისწინებს სახელმწიფო ენის პორტალის შექმნასაც, რომლის შემადგენლობაშიც მოიაზრება სასწავლო სინშირული განახლებული ლექსიკონები (<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/533898?publication=0>).

განახლებაში იგულისხმება, ზოგადად, სინშირული ლექსიკონების კონცეფციის განახლებაც. ახალ კონცეფციაში გათვალისწინებულია, რომ მომზადდება შეჯერებული სინშირული სია, რომელიც, რა თქმა

უნდა, ეფუძნება ქართული ენის ვებკორპუსს, მაგრამ შედარებულია სხვა კორპუსულ მონაცემებსა და ამავე ტიპის ლექსიკონებს. ამავე დროს დაგვემილია სიის შედგენისას ქართული ენის ფლობის დონეების მოკლე აღწერილობის (სტანდარტის) გათვალისწინებაც (აღწერილობა დეპარტამენტის წარდგინებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2020 წელს — საქართველოს მთავრობის დადგენილება #384), რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ენის ფლობის დონეების ევროპულ ჩარჩოს.

ახალი სიხშირული სიის ენის ფლობის დონეების მიხედვით კლასიფიკაციის გარდა, დაგვემილია თემატური ჯგუფების გამოყოფაც, რაც ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას სასარგებლო რესურსი შეიძლება იყოს.

განახლებული სიის მიხედვით ამ ეტაპისთვის დაგვემილია აფხაზური, ოსური, სომხური და აზერბაიჯანული ეკვივალენტების მითითება ინგლისურის პარალელურად.

თუ 2018 წელს გამოცემული ლექსიკონები მხოლოდ ბეჭდურად არის ხელმისაწვდომი, ახალი სასწავლო ლექსიკონები განთავსდება სახელმწიფო ენის პორტალზე, შესაბამისად, მათ აპლიკაციის ფორმა ექნებათ და ინტერაქტივაც, მომხმარებელთა უკუკავშირიც გათვალისწინებული იქნება ონლაინლექსიკონთა დასახვეწად.

2018 წლის ლექსიკონების ერთი მთავარი ნაკლი არის ის, რომ სალექსიკონო ერთეულს არ ახლავს საილუსტრაციო მასალა. დროის იმ მონაკვეთში, რომელიც გამოყოფილი იყო ამ ლექსიკონების შექმნისათვის, ტექნიკურად წარმოუდგენელი აღმოჩნდა სათანადო საილუსტრაციო მასალის დამატება. თუმცა, რადგანაც ლექსიკონი ეფუძნება სიხშირულ სიას, რომელიც ქართული ვებკორპუსიდან არის აღებული, ეს ფაქტი მკითხველს, ენის შემსწავლელს, უჩვენებს გზას კორპუსისაკენ, სადაც მას შეუძლია ყველა საჭირო კონტექსტის ნახვა. ახალი კონცეფციის მიხედვით კი გათვალისწინებულია კოლოკაციების დამატებაც კონტექსტების, მნიშვნელობების მიხედვით, რაც მომხმარებელს მეტად დაახლოვებს კორპუსთან.

ლექსიკონების ახალი კონცეფცია და ჩარჩო შესაძლებელს ხდის ნებისმიერი სხვა ენის დამატებას, ინფორმაციით გამდიდრებას და მომავალში მულტიმედიაურ საშუალებებთან დაკავშირებას.

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ ლექსიკონების შინაარსობრივ და ტექნიკურ მახასიათებლებს და წარმოვადგენთ შესრულებულ და დაგეგმილ სამუშაოს.

საკვანძო სიტყვები: სასწავლო ლექსიკონი, სიხშირული ლექსიკონი, კორპუსზე დაფუძნებული, აფხაზური, ოსური.

How to Find Barbarisms in the Georgian language: Historical Experience and Current State

Tinatin Bolkvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tinatin.bolkvadze@tsu.ge

Abstract: English is the most widely spoken international language in the twenty-first century. The development of digital technologies has finally made English the most prestigious and fashionable language, and the imitation or adoption of English lexical units or syntactic constructions has become commonplace in many languages of the world. Among these languages is Georgian, which is currently under the greatest influence of English lexis and syntax and cannot compete with it for many reasons, the main one being its technological inequality to English. Despite the absolute superiority of English, it is still difficult to say what results it will leave in Georgian.

If we turn to historical experience, the Georgian language has borrowings from many languages that have entered the lexical fund of the Georgian language, and some of them have even become a matter of national pride. However, many borrowed words remained barbarisms, characteristic only for one period of Georgian language history, and were not frequently used in the language. The opposite phenomenon is also observed: there are borrowed words, against which the old Georgian codifiers fought, but, despite this, they took their place in the language, and now native speakers of the Georgian language even doubt that they are borrowings.

Taking into account the historical experience, the article considers the following cases of introduction of English lexical units and syntactic constructions into the Georgian language:

- 1) undoubted barbarisms, which may remain in spoken Georgian as part of some social dialect, but are not used in the official literary language, and it is not supposed to be so;
- 2) acquiring new meanings under the influence of English by words that have already been borrowed and rooted in Georgian via Russian and are the part of the lexical fund of literary Georgian;
- 3) some of the borrowed lexical units are used only in specific contexts and their spread in the language as a whole is not expected. As for syntactic constructions characteristic of English, they are widely used in official Georgian. They are especially frequently used in administrative and legislative texts.

Keywords: *Language contacts, borrowed words, barbarisms, standard language.*

როგორ ვიპოვოთ ქართულ ენაში ბარბარიზმები: ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა

თინათინ ბოლქვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო

tinatin.bolkvadze@tsu.ge

თეზისი: ინგლისური ენა ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე მეტად გავრცელებული საერთაშორისო ენაა. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ინგლისური საბოლოოდ აქცია ყველაზე პრესტიჟულ და მოდურ ენად, რომლის მიზაძვა ან ინგლისური ლექსიკური ერთეულებისა თუ სინტაქსური სტრუქტურების გადატანა მსოფლიოს მრავალ ენაში გავრცელებულ მოვლენად იქცა. ამ ენათა რიცხვშია ქართული, რომელიც ამჟამად განიცდის ინგლისური ლექსიკისა და სინტაქსის უდიდეს გავლენას და ვერ უწევს მას კონურენციას მრავალი მიზეზის გამო, რომელთაგან უმთავრესი ინგლისურ ენასთან ტექნოლოგიური უთანასწორობაა. მიუხედავად ინგლისურის აბსოლუტური უპირატესობისა, რა შედეგებს დატოვებს იგი ქართულ ენაზე, ჯერაც ძნელი სათქმელია.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ გამოცდილებას, ქართულ ენას აქვს მრავალი ენიდან მიღებული ნასესხობები, რომლებიც შევიდა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში და ზოგიერთი მათგანი ეროვნული სიამაყის ნაწილიც კი გახდა. თუმცა ძალიან ბევრი ნასესხები სიტყვა დარჩა ქართული ენის ისტორიის მხოლოდ ერთი პერიოდისთვის დამახასიათებელ ბარბარიზმად და ენაში ხშირი გამოყენება არ ჰქონია. ამის გვერდით გვაქვს საპირისპირო მოვლენა: არის სიტყვები, რომლებსაც ძველი ქართველი კოდიფიკატორები ებრძოდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად მათ ადგილი დაიმკვიდრეს ენაში და ახლა მათ ნასესხობაშიც კი ეპარებათ ეჭვი ქართულ ენაზე მოლაპარაკებებს.

ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით მოხსენებაში განხილული იქნება ინგლისური ლექსიკური ერთეულებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ქართულ ენაში შემოტანის შემდეგი შემთხვევები:

უეჭველი ბარბარიზმები, რომლებიც შეიძლება დარჩნენ ქართულ სამეტყველო ენაში, როგორც რომელიმე სოციალური დიალექტის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ისინი სალიტერატურო ოფიციალურ ენაში არ გამოიყენება და ეს მოსალოდნელი არ ჩანს;

ქართულ ენაში უკვე ნასესხები და დამკვიდრებული სიტყვებისთვის ინგლისურის გავლენით ახალი შინაარსების მინიჭება, რომლებიც სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილი ხდება;

ნასესხები ლექსიკური ერთეულების ერთი ნაწილი მხოლოდ კონკრეტული კონტექსტით არის განპირობებული და მთლიანად ენაში მათი გამოყენება მოსალოდნელი არ ჩანს, თუმცა ამის გვერდით ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი სინტაქსური სტრუქტურები ფართოდ გამოიყენება ოფიციალურ ქართულ ენაში, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ტექსტებში.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი კონტაქტები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები, სტანდარტული ენა.

Coinage of Computer Terms in Current English

Tinatin Bubuteishvili

Ilia State University, Georgia

tinatin.bubuteishvili@iliauni.edu.ge

Abstract: The growing development of computer technologies starting from the second half of the 20th century has enriched the English language (which, it can be said, is the main language of the computer) with many lexical units, terms which, as the study of special literature has shown, are little studied from a linguistic point of view.

The paper examines structural and semantic peculiarities of some computer terms in current English placing special emphasis on the process of term creation. The works in lexical semantics and conceptual metaphor theory form the theoretical basis of the study.

The following methods were used in the research: componential, morphological, contextual, and cognitive methods of analysis.

Semantic changes take place on following linguistic levels: level of meaning – semantic change at this level includes four mechanisms of change: metaphor based on similarity; metonymy based on contiguity; specialization (narrowing); generalization (expansion); level of lexical signs: when dealing with semantic changes on this level, the internal semantic structure of a word should be taken into account; lexical level implies onomasiological perspectives – as is well known, onomasiology is a branch of lexicology that studies words as names of things and events. In lexicology, the word is considered from two perspectives: word – object and word – meaning.

Among the modern approaches towards the semantic change, Elizabeth Traugott's classification is worth noting, according to which, a semantic change is linked with subjectivization, that is, the speaker's viewpoint. If subjectivization is a typical internal change in the sense that it is a natural change, objectification, on the contrary, is sporadic, irregular and represents a type of external change.

Computer terms were grouped according to the following areas: lexical units denoting the main parts of a computer, words denoting computer actions, lexical units denoting computer programs, the Internet and the main terms associated with it, lexical units denoting a computer virus, bug or error. 80 basic computer terms have been studied including terms derived from them.

Most of the analyzed terms are the result of metaphorization. As is known, metaphor is based upon the resemblance between two referents; in the case of computer terms the resemblance can be visual, functional or situational.

Keywords: *computer terms, semantic change, metaphorization, visual, functional, situational resemblance.*

References:

Geeraerts, D. (2010). *Theories of Lexical Semantics*. Oxford: Oxford University Press.

- Geraerts, D.** (2007). *The Oxford Handbook of Cognitive Linguistics*. New York: Oxford University Press. Part 1.
- Lakoff, G., Johnson, M.** (1980). *Metaphors We Live By*. The USA: The University of Chicago Press.
- Leezenberg, Michiel** (2001). *Contexts of Metaphor*. Amsterdam: Elsevier Science.
- Traugott, E.C., Dasher, R.B.** (2004). *Regularity of Semantic Change*. Cambridge: Cambridge University Press. Pp.155 – 173.
- Traugott, E. C.** (1999). *The rhetoric of counter-expectation in semantic change: a study in subjectification*. Berlin: Mouton de Gruyter. Pp. 237-250.

კომპიუტერული ტერმინების წარმოება თანამედროვე ინგლისურში

თინათინ ბუბუტეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

tinatini.bubuteishvili@iliauni.edu.ge

თეზისი: XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა კომპიუტერული ტექნოლოგიების მზარდმა განვითარებამ გაამდიდრა ინგლისური ენა (რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, კომპიუტერის ძირითადი ენაა) მრავალი ლექსიკური ერთეულით, ტერმინით, რომლებიც, როგორც სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ გვიჩვენა, ლინგვისტური თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი.

ნაშრომი განიხილავს ზოგიერთი კომპიუტერული ტერმინის სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებს ინგლისურ ენაში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ტერმინების შექმნის პროცესზე. კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის ლექსიკური სემანტიკისა და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის ნაშრომები.

კვლევისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: სიტყვის კომპონენტური, მორფოლოგიური, კონტექსტუალური, კოგნიტიური ანალიზის მეთოდები.

სემანტიკურ ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს შემდეგ ლინგვისტურ დონეებზე: მნიშვნელობის დონე: როგორც ცნობილია, ამ დონეზე სემანტიკური ცვლილება მოიცავს ცვლილების ოთხ მექანიზმს: მეტაფორა, რომელიც ეფუძნება მსგავსებას; მეტონიმია, რომელიც ეფუძნება მომიჯნაობას; სპეციალიზაცია (დავიწროება); განზოგადება (გაფართოება); ლექსიკური ნიშნების დონე: მოცემული დონის მიხედვით, სემანტიკური ცვლილების შესწავლის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ სიტყვის შიდა სემანტიკური სტრუქტურა. ლექსიკის დონე: ონომასიოლოგიური პერსპექტივები – როგორც ცნობილია, ონომასიოლოგია არის ლექსიკოლოგიის დარგი, რომელიც სიტყვებს შეისწავლის როგორც საგანთა და მოვლენათა სახელწოდებებს. ლექსიკოლოგიაში სიტყვა განიხილება ორი პერსპექტივიდან: სიტყვა – საგანი და სიტყვა – მნიშვნელობა.

სემანტიკური ცვლილების თანამედროვე მიდგომებიდან აღსანიშნავია ელიზაბეტ ტრაუგოტის კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, სემანტიკური ცვლილება მოიცავს სუბიექტივიზაციას ანუ მოლაპარაკის აზრს, შეხედულებას. თუ სუბიექტივიზაცია არის ტიპური შინაგანი ცვლილება იმ გაგებით, რომ ის ბუნებრივ ცვლილებას წარმოადგენს, ობიექტივიზაცია, პირიქით, არის სპორადული, არარეგულარული და წარმოადგენს გარეგანი ცვლილების სახეობას. სულ შესწავლილ იქნა 80 ბაზისური კომპიუტერული ტერმინი და მათგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები.

კვლევის შედეგად კომპიუტერული ტერმინები დაჯგუფებულ იქნა შემდეგი სფეროების მიხედვით: კომპიუტერის ძირითადი ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, კომპიუტერული ქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, კომპიუტერული პროგრამების აღმნიშვნელი ტერმინები და მათგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები და

სიტყვათშეთანხმებანი, ინტერნეტი და მასთან ასოცირებული ძირითადი ტერმინები, კომპიუტერული ვირუსის, ხარვეზის ან შეცდომის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.

ტერმინთა უმეტესობა ენობრივი მეტაფორიზაციის შედეგად არის მიღებული – სემანტიკური ცვლილებების შედეგად ლექსიკურმა ერთეულმა შეიძინა კომპიუტერული მნიშვნელობა. მეტაფორიზაცია ეფუძნება როგორც რეფერენტთა შორის ვიზუალურ, ფუნქციურ ან სიტუაციურ მსგავსებას.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული ტერმინები, სემანტიკური ცვლილება, მეტაფორიზაცია, ვიზუალური, ფუნქციური, სიტუაციური მსგავსება.

ENCO: Conceptualising a Multilingual Corpus-Based Terminological Database for Environmental Economics

Alberte Fernández Castro

European Master in Lexicography (EMLex) student

University Roma Tre, Italy

alberte.fernandez.castro@gmail.com

Descriptive abstract:

Environmental economics both as a field of study and as a practical discipline has gained in popularity and significance in recent years. As an interdisciplinary field that combines knowledge from both economics and environmental science, terminology understanding and management in this area is extremely important for purposes such as report writing, policy development, specialized translation, research and communication with the general public and governmental institutions.

This article describes the conception of an online multilingual corpus-based terminological database referred to as ENCO. As in works such as Lopez & Romary (2010), Carvalho (2018) and Vezzani, Di Nunzio & Henrot (2018) multilingual terminological databases of different kinds allow the user to access lexicon from specific domains in a structured way. ENCO database aims to meet the needs of a wide range of users such as professionals or practitioners of the field, academics, researcher, translators, students or political advisors by highlighting its adaptability and accessibility. The format of this terminological database will provide to the user access to terminology from the field of environmental economics in a fast and clear way, making it easy to retrieve the necessary information to accomplish a wide array of tasks.

ENCO has two main purposes: informative queries and terminology management. The first purpose allows conceiving this database as a container of encyclopaedic information with a special focus on its practical application. The user can consult terms for deep understanding, with examples and important extralinguistic information such as mathematical formulae (Lopez & Romary, 2010: 3). For the purpose of terminology management, the database will offer tools to generate and edit lists and repertoires. These tools will empower the user to work with the information available in the database and export it in other formats such as .csv for future use and integration into translation software such as SDL Trados or MemoQ.

The compilation and processing of the corpus will consist in a combination of automatic retrieval of information from the web and manual curation. As for the creation of the lemma list, also a mixed approach combining automatic terminology extraction with the software Sketch Engine and manual curation with assistance of terminologists and professionals of the field will be used. For crafting the definitions, the methodology similar to the one used in Chambó & León-Araúz (2023: 591) will be applied. This approach will allow the user to have at their disposal examples of the term usage, always with access to the full texts compiled in the ENCO Corpus. The database will be organised according to criteria of semantic proximity between terms, by classifying them into subject fields

within the discipline of environmental economics itself (e.g. emissions, government policies), and it will be accessible via a knowledge graph. With regard to the microstructure, each term will have its own entry with the relevant information and access to the aforementioned resources provided by ENCO.

As this work exclusively presents a theoretical proposal, the process of planning this database will be described step by step discussing and analysing the problems and difficulties that may arise. The conception of this terminology database will lay the foundations for the materialisation of a future project.

Keywords: *Multilingual Terminological Database, Environmental Economics, Terminology Management, Corpus*

References:

- Carvalho, S. M. P.** (2018). *A terminological approach to knowledge organization within the scope of endometriosis: the EndoTerm project* [Doctoral dissertation, Universidade NOVA de Lisboa].
- Chambó, S., & León-Araúz, P.** (2023). Operationalising and Representing Conceptual Variation for a Corpus-driven Encyclopaedia. In *Electronic lexicography in the 21st century (eLex 2023): Invisible Lexicography. Proceedings of the eLex 2023 conference*. Brno, 27–29 June 2023. Brno: Lexical Computing CZ s.r.o.
- Lopez, P. & Romary, L.** (2010). GRISP: A Massive Multilingual Terminological Database for Scientific and Technical Domains. In *Proceedings of the Seventh International Conference on Language Resources and Evaluation (LREC'10), Valletta, Malta. European Language Resources Association (ELRA)*.
- Vezzani, F., Di Nunzio, G. M., & Henrot, G.** (2018). TriMED: A Multilingual Terminological Database. In *Proceedings of the Eleventh International Conference on Language Resources and Evaluation (LREC 2018)*.

ENCO: გარემოსდაცვითი ეკონომიკის მრავალენოვანი კორპუსზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის კონცეპტუალიზაცია

ალბერტე ფერნანდეს კასტრო

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (EMLex)
უნივერსიტეტი რომა ტრე, იტალია

alberte.fernandez.castro@gmail.com

აღწერითი თეზისი:

გარემოსდაცვითი ეკონომიკის, როგორც სამეცნიერო დარგისა და პრაქტიკული დისციპლინის პოპულარობა და მნიშვნელობა ამ ბოლო წლებში გაიზარდა. რამდენადაც საქმე გვაქვს ინტერდისციპლინურ დარგთან, რომელიც თავის თავში აერთიანებს ეკონომიკურსა და გარემოსდაცვით ცოდნას, აქ უაღრესად მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის სწორი გაგება და მართვა ისეთი მიზნებისათვის, როგორცაა ანგარიშების წერა, სამოქმედო პოლიტიკის შემუშავება, სპეციალიზებული თარგმნა, კვლევა და კომუნიკაცია ფართო საზოგადოებასთან და სამთავრობო დაწესებულებებთან.

ამ სტატიაში აღწერილია ENCO-დ წოდებული ონლაინ მრავალენოვანი კორპუსზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის კონცეფცია. როგორც ეს აღწერილია ისეთ ნაშრომებში, როგორცაა ლოპესი და რომარი (Lopez & Romary, 2010), კარვალიო (Carvalho, 2018) და ვეცანი, დი ნუნციო და ანრო (Vezzani, Di Nunzio & Henrot, 2018), სხვადასხვა სახის მრავალენოვანი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზები საშუალებას აძლევს მომხმარებელს სტრუქტურირებული წესით იქონიონ წვდომა კონკრეტული დარგის ლექსიკაზე. მონაცემთა ბაზა ENCO-ს მიზანია დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ფართო სპექტრის – დარგის პროფესიონალების ან პრაქტიკოსების, აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, მთარგმნელების, სტუდენტების ან პოლიტიკური მრჩეველების – მოთხოვნილებანი თავისი ადაპტირებადობისა და იოლად ხელმისაწვდომობის გამო. ამ ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის ფორმატი მომხმარებლისთვის სწრაფად და გასაგებად უზრუნველყოფს წვდომას გარემოსდაცვითი ეკონომიკის ტერმინოლოგიაზე და გააადვილებს აუცილებელი ინფორმაციის ამოღებას, რომელიც ამოცანათა ფართო დიაპაზონის შესრულებას გახდის შესაძლებელს.

ENCO-ს ორი მთავარი მიზანი აქვს: ინფორმაციის ძიება და ტერმინოლოგიის მართვა. პირველი მიზანი საშუალებას იძლევა, ეს მონაცემთა ბაზა მოიაზრებოდეს როგორც ენციკლოპედიური ინფორმაციის საცავი, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოყენებაზე. მომხმარებელს შეუძლია მოიძიოს ტერმინები საკითხში ღრმა წვდომისათვის, მაგალითებითა და მნიშვნელოვანი ექსტრალინგვისტური ინფორმაციით, როგორცაა მაგალითად მათემატიკური ფორმულები (Lopez & Romary, 2010: 3). ტერმინოლოგიის მართვის მიზნებისათვის მონაცემთა ბაზა მომხმარებელს შესთავაზებს ტერმინოლოგიური სიების გენერირებისა და რედაქტირებისთვის განკუთვნილ ინსტრუმენტებს. ეს ინსტრუმენტები შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს იმუშაოს მონაცემთა ბაზაში

არსებული ინფორმაციით და მოახდინოს მისი ექსპორტი სხვა ფორმატებში, მაგალითად .csv-ში სამომავლოდ მათი გამოყენებისა და ისეთ თარგმნით პროგრამებში ინტეგრირების მიზნით, როგორებიცაა SDL, Trados ან MemoQ.

კორპუსის შედგენა და დამუშავება მოიცავს ინტერნეტიდან ინფორმაციის ავტომატური ამოღებისა და მისი შემდგომი ხელით ჩასწორების კომბინაციას. ლემების სიის შედგენას რაც შეეხება, აქაც გამოყენებული იქნება შერეული ტიპის მიდგომა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს ტერმინოლოგიის ავტომატურ ამოღებას პროგრამა „სკერ-ენჯინის“ მეშვეობით და ხელით გასწორებას ტერმინოლოგიებისა და დარგის პროფესიონალების დახმარებით. დეფინიციების შესამუშავებლად მივმართავთ თავის დროზე ჩამბოსა და ლეონ-არაუსის (Chambó & León-Araúz 2023: 591) ნაშრომში გამოყენებულ მეთოდს. ეს მიდგომა საშუალებას მისცემს მომხმარებელს ხელთ ჰქონდეს ტერმინების გამოყენების მაგალითები, მუდმივი წვდომით კორპუს ENCO-ში შედგენილ სრულ ტექსტებზე. მონაცემთა ბაზა ორგანიზებული იქნება ტერმინებს შორის სემანტიკური სიახლოვის კრიტერიუმების მიხედვით, მათი კლასიფიცირებით თემატურ ჯგუფებად საკუთრივ გარემოსდაცვითი ეკონომიკის დისციპლინის ფარგლებში (მაგ. ატმოსფერული ემისიები, მთავრობის პოლიტიკა) და მასზე წვდომა განხორციელდება ცოდნის გრაფის მეშვეობით. რაც შეეხება მიკროსტრუქტურას, თითოეულ ტერმინს ექნება თავისი საკუთარი სიტყვა-სტატია შესაბამისი ინფორმაციით და წვდომა ENCO-ს მიერ მოწოდებულ ზემოხსენებულ რესურსებზე.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ წინადადებას წარმოადგენს, ამ მონაცემთა ბაზის დაგეგმარება აღწერილი იქნება ეტაპობრივად, რის დროსაც განხილული და გაანალიზებული იქნება პრობლემები და სირთულეები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას. ამ ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის კონცეფცია საფუძველს ჩაუყრის სამომავლო პროექტის განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: მრავალენოვანი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა, გარემოსდაცვითი ეკონომიკა, ტერმინოლოგიის მართვა, კორპუსი

თებისი ქართულად თარგმნა გიორგი მელაძემ

On Renewal of the Dictionary of Foreign Words

Ana Chabashvili

Sulakauri Publishing

Mariam Chabashvili

E. Andronikashvili Institute of Physics Georgia

anachaba@gmail.com, marichab@usa.net

Abstract: There are three editions of Mikheil Chabashvili's Dictionary of Foreign Words: of 1964, 1972 and 1989 years. The author worked on the dictionary for several decades. Each new edition was corrected and supplemented with new foreign words introduced into the language in those time periods. Experience has shown that there was a great demand for all those three editions in the society.

The release of the last edition coincided with the socio-political changes that started in the country. It was from that moment that a wave of new words started to flow into the language, first socio-political, economic and cultural, and then computer and communication vocabulary. The collapse of the USSR and the opening of borders brought about the fact that foreign words started to enter and are still entering the language directly from languages of origin (mainly English) and not through Russian, as was the case before. A little later, making the Internet accessible to the general public, led to the uncontrolled invasion of foreign words into the Georgian language. All this brought about the need for a fundamental update of the dictionary.

Renewal of the dictionary intends adding and complementing the dictionary with new terms and their definitions, removing some obsolete words, updating outdated definitions and adding new meanings to the existing ones.

In the process of work, several issues were identified that required particular attention and a special approach. These are as follows:

Word list. Mikheil Chabashvili collected dictionary material from the press, television, terminological literature of various fields and personal conversations. For definitions, he used available encyclopedias, translation, specialized and terminological dictionaries, and also referred to experts of different fields for consultation.

Normally, it is common practice to base on the corpus of the Georgian language for the word list, which naturally, would have been a valuable source for our dictionary, but for the time being, it is in the process of compilation and, unfortunately, the newly introduced words are not yet fully presented there. Consequently, we collect materials mainly from media and internet sources.

Since today we don't rely solely on printed dictionaries, we use electronic online versions of many different dictionaries and encyclopedias for the definitions of words, we compare them and compile our definitions in accordance with the principles of Mikheil Chabashvili's dictionary compilation.

Ideology. During the Soviet period, there existed a mandatory ideological approach, with which all the researchers of that time had to abide by, including lexicologists. Due to this fact, definitions of all philosophical, political, social or economic terms had to be revised and corrected.

Observance of language norms. Contemporary social networks have brought about a problem – the language is uncontrollably invaded with new lexical units and their spellings. If earlier any material in the media (television, press...) was checked by editors, today this issue is overlooked. Therefore, foreign vocabulary enters the Georgian language and is spread with different pronunciations and spellings. Mikheil Chabashvili's dictionary of foreign words was normative, and we too, try to take into account both the tradition and the current, newly accepted norms.

Abbreviations. It became necessary to develop the principles of spelling and interpretation of abbreviations and acronyms that have entered language.

Colloquialisms and slang. While complementing the dictionary, we saw the need to include some colloquial and slang words in it with appropriate qualifications.

Barbarisms. The issue of barbarisms is a separate topic for discussion: shall we consider this or that word as a foreign word established in the Georgian literary language, or as a barbarism. In our dictionary, this issue is resolved for each individual item.

The work on the dictionary revealed problems of both methodological and technical nature, for the solution of which we use modern information and computer technologies. Up to now, we have not finished work on updating the dictionary.

Dictionary of Foreign Words has not been published for more than 30 years. In the beginning of the 90s, the author was reprimanded in a newspaper article, stating that the dictionary was outdated and could not keep up with the times. The author replied with a Latin expression: *Feci quod potui faciant meliora potentes* – I did, what I could, may those who are able do better.

The dictionary really needs a radical renovation and we decided to take on this mission and present the updated dictionary to the public. We try to follow the already existing principles of dictionary compilation, which are given in the prefaces of all three editions. At the same time, we take into account new life realities. We hope that when the work on the book is finished, the public will receive our work with understanding.

Keywords: *foreign words, slang, colloquialism, barbarisms, language norm, renewal of a dictionary.*

უცხო სიტყვათა ლექსიკონის განახლებისათვის

ანა ჭაბაშვილი

სულაკაურის გამომცემლობა

მარიამ ჭაბაშვილი

ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი, საქართველო

anachaba@gmail.com, marichab@usa.net

თეზისი: მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის სამი გამოცემა არსებობს: 1964, 1972 და 1989 წლისა. ავტორი ლექსიკონზე მუშაობდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ყოველი ახალი გამოცემა იყო შესწორებული და შევსებული დროის ამ მონაკვეთებში ენაში შემოსული და დამკვიდრებული ახალი უცხო სიტყვებით. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სამივე ამ გამოცემაზე საზოგადოებაში დიდი მოთხოვნილება იყო.

ბოლო წიგნის გამოსვლა დაემთხვა ქვეყანაში დაწყებულ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. სწორედ იმ მომენტიდან წამოვიდა ახალი სიტყვების ტალღა, თავიდან სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული, შემდგომ კი კომპიუტერული და კომუნიკაციური ლექსიკონისა. სსრკ-ს დაშლამ და საზღვრების გახსნამ მოიტანა ის, რომ უცხო სიტყვები შემოდოდა და შემოდის უშუალოდ ამა თუ იმ ენიდან (ძირითადად ინგლისურიდან) არა რუსულის გზით, როგორც ეს ხდებოდა მანამდე. ცოტა მოგვიანებით კი ინტერნეტის ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად ქცევამ გამოიწვია უცხო სიტყვების უკონტროლოდ შემოჭრა ქართულ ენაში. ყოველივე ამან მოიტანა ლექსიკონის ძირეული განახლების საჭიროება.

ლექსიკონის განახლება გულისხმობს სიტყვანის შევსებას ახალი ტერმინებით და მათ განმარტებას, ზოგიერთი სიტყვის ამოღებას, მოძველებული განმარტების განახლებას და უკვე არსებულისთვის ახალი მნიშვნელობის დამატებას. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელმაც მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება და სპეციალური მიდგომა. ესენია:

სიტყვანი. მიხეილ ჭაბაშვილი სალექსიკონო მასალას აგროვებდა პრესიდან, ტელევიზიიდან, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლიტერატურიდან და პირადი საუბრებიდან. განმარტებისათვის იყენებდა მისთვის ხელმისაწვდომ ენციკლოპედიებს, თარგმნით, დარგობრივ და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, აგრეთვე კონსულტაციისათვის მიმართავდა ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს.

სიტყვანისათვის, წესით, უნდა გამოგვეყენებინა ქართული ენის კორპუსი, რომელიც ჩვენი ლექსიკონისათვის ძვირფასი წყარო იქნებოდა, მაგრამ ამჟამად ის შედგენის პროცესშია და, სამწუხაროდ, ახლად შემოსული სიტყვები აქ ჯერ სრულად არ არის წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენ მასალას ვაგროვებთ ძირითადად მედიიდან და ინტერნეტურესურსებიდან.

რადგან დღეს აღარ არის ბეჭდვითი ლექსიკონების გამოყენების აუცილებლობა, სიტყვის განმარტებისათვის ვიყენებთ მრავალი სხვადასხვა ლექსიკონისა და ენციკლოპედიის ელექტრონულ ონლაინ ვერსიას, ერთმანეთთან ვაჯერებთ და მათ საფუძველზე ვადგენთ ჩვენეულ განმარტებას მიხეილ ჭაბაშვილის ლექსიკონის შედგენის პრინციპების შესაბამისად.

იდეოლოგია. საბჭოთა წყობილების დროს არსებობდა სავალდებულო იდეოლოგიური მიდგომა, რომელსაც იცავდა ყველა იმდროინდელი მეცნიერი, მათ შორის ლექსიკოლოგებიც. ამის გამო გადასასინჯი და შესაცვლელი გახდა ყველა ფილოსოფიური, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ტერმინის განმარტება.

ენის ნორმების დაცვა. თანამედროვე სოციალურმა ქსელებმა მოიტანა ის პრობლემა, რომ ახალი ლექსიკური ერთეულები და მათი დაწერილობა ენაში შემოდის უკონტროლოდ. თუკი ადრე მედიაში (ტელევიზიაში, პრესაში...) ნებისმიერ მასალას რედაქტორები ამოწმებდნენ, დღეს ეს სფერო უყურადღებოდაა მიტოვებული. ამიტომ უცხოური ლექსიკა ქართულ ენაში შემოდის და ვრცელდება სხვადასხვა გამოთქმითა და დაწერილობით. მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონი ნორმატიული იყო და ჩვენც ვცდილობთ, გავითვალისწინოთ როგორც ტრადიცია, ასევე ამჟამინდელი, ახლად მიღებული ნორმები.

აბრევიატურები. საჭირო გახდა ენაში შემოსული აბრევიატურებისა და აკრონიმების დაწერილობისა და მათი განმარტების პრინციპების შემუშავება.

საუბრული სიტყვები და ჟარგონი. სიტყვანის შევსების დროს დავინახეთ ლექსიკონში ზოგიერთი საუბრული და ჟარგონული სიტყვის შეტანის აუცილებლობა სათანადო კვალიფიკაციის მინიჭებით.

ბარბარიზმები. ცალკე სადისკუსიო თემაა, ბარბარიზმების საკითხი – მივიჩნით თუ არა ესა თუ ის უცხო სიტყვა ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულად თუ ბარბარიზმად. ჩვენს ლექსიკონში ეს საკითხი წყდება ყოველი ცალკეული ახალი სიტყვისათვის.

ლექსიკონზე მუშაობამ გამოავლინა პრობლემები, როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ტექნიკური ხასიათისა, რომელთა გადასაწყვეტად ვიყენებთ თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. ამჟამად ლექსიკონის განახლებაზე მუშაობა არ დაგვისრულებია.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი არ გამოსულა 30-ზე მეტი წლის განმავლობაში. ავტორს 90-იანი წლების დასაწყისში ერთ საგაზეთო სტატიაში უსაყვედურეს, ლექსიკონი მოძველებულია და დროს ფეხს ვერ უწყობსო. მან უპასუხა ლათინური გამოთქმით: *Feci quod potui faciant meliora potentes* – ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო (ვისაც შეუძლია, უკეთესად გააკეთოს). ლექსიკონს მართლაც სჭირდება რადიკალური გადამმუშავება და გადაწყვიტეთ, თავს ვიდოთ ეს მისია და საზოგადოებას წარვუდგინოთ განახლებული ლექსიკონი. ვცდილობთ დავიცვათ ლექსიკონის შედგენის უკვე არსებული პრინციპები, რომელიც მოცემულია სამივე გამოცემის წინასიტყვაობებში. ამავე დროს ვითვალისწინებთ ახალ ცხოვრებისეულ რეალიებს. ვიმედოვნებთ, რომ, როდესაც წიგნზე მუშაობა დასრულდება, საზოგადოება გაგებით მოეკიდება ჩვენს შრომას.

საკვანძო სიტყვები: უცხო სიტყვები, სლენგი, საუბრული სიტყვები, ბარბარიზმები, ენობრივი ნორმა, ლექსიკონის განახლება.

Enhancing Lexicographic Work with Terminological Methods

Ana Salgado

NOVA CLUNL, Universidade NOVA de Lisbon, Portugal
Academia das Ciências de Lisbon, Portugal

anasalgado@fcsh.unl.pt

Rute Costa

NOVA CLUNL, Universidade NOVA de Lisbon, Portugal

rute.costa@fcsh.unl.pt

Abstract: Through this work, we will focus on how terminology science (ISO 1087, 2019) may positively impact lexicographers' daily activity and, consequently, the quality of the end product: the dictionary. The lexicographer's task is to analyse, describe and document lexical units' meanings and usage, generally following a semasiological path. Terminology, in its two-dimensional nature (Costa, 2013) – linguistic and conceptual – is related to the study of concepts and designations used in specific domains.

Terminologists' work is to establish and maintain consistent terminology by identifying the term and the designated concept (semasiology) and/or the concept and the term that designates it (onomasiology) within a particular field. While lexicography and terminology share the same objects of study – terms and related information – their primary distinction lies in using distinct research approaches for different uses.

General language dictionaries typically include lexical units but also terms. Lexical units encompass the broad range of vocabulary used in the everyday language used by speakers, while terms represent specialised vocabulary used in a specific domain. By incorporating both, general language dictionaries aim to respond to the diverse needs of users, providing comprehensive language coverage while addressing specialised domains. The terms, often accompanied by domain labels (Salgado et al., 2019) assigned to specialised senses, are followed by lexicographic definitions that reflect their specific meaning within their respective domains. They also often include additional information, such as usage restrictions, context-specific connotations, or relevant domain-specific information, to give users a more precise understanding of the term's meaning.

Many researchers have conducted studies on the presence and analyses of terms in general dictionaries based on monolingual dictionaries (Rey, 1985; Béjoint, 1988; Tournier, 1992; Cabré, 1994; Paz Battaner, 1996; Estopà, 1998; Boulanger, 2001; Roberts, 2004; Nomdedeu Rull, 2008), and it is well-recognised that general language dictionaries show inconsistencies in terms of uniformity and scientificity in the treatment of specialised lexicographic content (e.g. Ptaszyński, 2010).

Our work has strictly lexicographic purposes and aims to illustrate how terminological methods can enhance lexicographic work, impacting on the organisation's quality, structuration, and description of terms in general language dictionaries. In this context, we assume that the treatment of lexical items, whether

lexical units or terms, must be differentiated. For that purpose, we resort to a terminologically-based methodology (ISO 704, 2022) regarding the representation and organisation of knowledge and the description of terms themselves – the conceptual and linguistic dimensions. By incorporating these methods, lexicographers can enhance the accuracy and clarity of the definitions and explanations provided in dictionaries.

The application of the terminological methods (Salgado, 2021) will be demonstrated using different and related concepts retrieved from the domain of Geology: <ChronostratigraphicUnit>, <GeochronologicUnit> and related terms. The source of these terms is the *Dicionário da Língua Portuguesa* (ACL, 2023) – a large scholarly Portuguese dictionary from the Academia das Ciências de Lisboa, recently published and still undergoing revision. The double dimension of terminology governs our entire proposal: we will reconcile iteratively, step by step, both onomasiological and semasiological approaches. We argue that the explicit identification of the conceptual relations in the conceptual system is the key to writing accurate definitions.

Applying terminological methods to lexicography encourages interdisciplinary collaboration between lexicographers, terminologists, and domain experts. This interdisciplinary collaboration can lead to valuable insights and exchanges of knowledge.

Keywords: *dictionary, lexicography, standards, terminology.*

References:

- ACL (2023). *Dicionário da Língua Portuguesa*. Ed. Ana Salgado. Lisboa: Academia das Ciências de Lisboa.
- Béjoint, H. (1988). Scientific and technical words in general dictionaries. *International Journal of Lexicography*, 1(4), 354–368. doi:10.1093/ijl/1.4.354.
- Boulanger, J.-C. (2001). L'aménagement des marques d'usage technoscolaires dans les dictionnaires généraux bilingues, dans *Les dictionnaires de langue française*. In *Dictionnaire d'apprentissage, dictionnaires spécialisés de la langue, dictionnaires de spécialité* (pp. 247–271). Paris: Honoré Champion éditeur.
- Cabré, M. T. (1994). Terminologie et dictionnaires. *Meta*, 39(4), 589–597. doi:10.7202/002182ar.
- Costa, R. (2013). Terminology and Specialised Lexicography: two complementary domains. *Lexicographica*, 29(1), 29–42. doi:10.1515/lexi-2013-0004.
- Estopà, R. B. (1998). El léxico especializado en los diccionarios de lengua general: Las marcas temáticas. *Revista de la Sociedad Española de Lingüística*, 28(2), 359–387.
- ISO 1087 (2019). *Terminology Work – Vocabulary – Part 1: Theory and Application*. Geneva: International Organization for Standardization.
- ISO 704 (2022). *Terminology work – Principles and methods*. Geneva: International Organization for Standardization.
- Nomdedeu Rull, A. (2008). Hacia una reestructuración de la marca de 'deportes' en lexicografía. In Azorín Fernández, D., et al. (Eds.), *El diccionario como puente entre las lenguas y culturas del mundo. Actas del II Congreso Internacional de Lexicografía Hispánica* (pp. 764-770). Alicante: Biblioteca Virtual Miguel de Cervantes.

- Paz Battaner, M.** (1996). Terminología y diccionarios. In *Actes de la Jornada Panllatina de Terminologia* (pp. 93–117). Barcelona: Institut Universitari de Lingüística Aplicada.
- Ptaszyński, M. O.** (2010). Theoretical considerations for the improvement of usage labelling in dictionaries: A combined formal-functional approach. *International Journal of Lexicography*, 23(4), 411–442. doi:10.1093/ijl/ecq029.
- Rey, A.** (1985). La terminologie dans un dictionnaire général de la langue française: Le Grand Robert. *TermNet News*, 14, 5–7.
- Roberts, R. P.** (2004). Terms in general dictionaries. In Bravo Gozalo, J. M. (Ed.), *A new spectrum of translation studies* (pp. 121–140). Valladolid: Universidad de Valladolid.
- Salgado, A.** (2021). *Terminological Methods in Lexicography: Conceptualising, Organising and Encoding Terms in General Language Dictionaries*. Doctoral dissertation. Universidade NOVA de Lisboa. <https://run.unl.pt/handle/10362/137023>.
- Salgado, A., Costa, R. & Tasovac, T.** (2019). Improving the consistency of usage labelling in dictionaries with TEI Lex-0. *Lexicography: Journal of ASIALEX*, 6(2), 133–156. doi:10.1007/s40607-019-00061-x.
- Tournier, J.** (1992). Problèmes de terminologie en lexicologie anglaise et générale. *Recherches en linguistique étrangère*, 16, 215–226.

თერმინოლოგიური მეთოდებით ლექსიკოგრაფიული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებისათვის

ანა სალგადო

NOVA CLUNL, ნოვას უნივერსიტეტი, ლისაბონი, პორტუგალია, ლისაბონი,
მეცნიერებათა აკადემია, პორტუგალია,

anasalgado@fcsh.unl.pt

რუტე კოსტა

NOVA CLUNL, ნოვას უნივერსიტეტი, ლისაბონი, პორტუგალია

rute.costa@fcsh.unl.pt

თეზისი: ამ ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული იმაზე, თუ რა სახის დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ტერმინოლოგიურ მეცნიერებას (ISO 1087, 2019) ლექსიკოგრაფიის ყოველდღიურ საქმიანობაზე და შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის, ლექსიკონის ხარისხზე. ლექსიკოგრაფიის ამოცანას ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობისა და გამოყენების შემთხვევების ანალიზი, აღწერა და დოკუმენტირება წარმოადგენს, რისთვისაც ის, როგორც წესი, სემასიოლოგიურ მიდგომას იყენებს. ტერმინოლოგია, თავისი ორგანიზაციული ბუნებით, ლინგვისტურითა და კონცეპტუალურით (Costa, 2013) დაკავშირებულია კონკრეტულ დარგებში ცნებებისა და მათი აღმნიშვნელობის შესწავლასთან.

ტერმინოლოგიის მუშაობა გულისხმობს თანმიმდევრული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და მის შენარჩუნებას კონკრეტულ დარგში ტერმინისა და მისი აღსანიშნი ცნების (სემასიოლოგია) ან/და ცნებისა და მისი აღმნიშვნელი ტერმინის (ონომასიოლოგია) გზით. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიასა და ლექსიკოგრაფიას საზიარო კვლევის საგანი, ტერმინი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია აქვთ, მათ შორის მთავარი განსხვავება სხვადასხვა მიზნისათვის სხვადასხვა კვლევითი მიდგომის გამოყენებაა.

როგორც წესი, საერთო ენის ლექსიკონები ლექსიკური ერთეულების გარდა ტერმინებსაც შეიცავენ. ლექსიკური ერთეულები მოიცავენ ლექსიკის ფართო სპექტრს, რომელსაც მოსაუბრეები ყოველდღიური კომუნიკაციისას იყენებენ, ხოლო ტერმინები კონკრეტულ დარგში არსებულ სპეციალიზებულ ლექსიკას წარმოადგენენ. საერთო ენის ლექსიკონები, როგორც ლექსიკური ერთეულების, ასევე ტერმინების წარმოდგენით, მიზნად ისახავენ სხვადასხვა საჭიროების მქონე მომხმარებლის სურვილების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოფენ ენის ამომწურავი სახით წარმოდგენას, მათ შორის კონკრეტული დარგების მიმოხილვის გზით. ტერმინებს, რომლებსაც სპეციალიზებული მნიშვნელობებისთვის ხშირად ახლავთ დარგობრივი კვალიფიკაციები (Salgado et al., 2019), თანდართული აქვთ ლექსიკოგრაფიული დეფინიციები, რომლებიც კონკრეტულ დარგში მათ მნიშვნელობას გამოხატავენ. გარდა ამისა, ისინი ხშირად შეიცავენ დამატებითი სახის ინფორმაციასაც, როგორცაა ტერმინის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, კონტექსტით განპირობებული კონოტაციები ან რელევანტური დარგთან დაკავშირე-

ბული ინფორმაცია, რათა მომხმარებელს შეექმნას უფრო მკაფიო წარმოდგენა ტერმინის მნიშვნელობის შესახებ.

ბევრმა მკვლევარმა ჩაატარა კვლევა ერთენოვან ლექსიკონებზე დაყრდნობით საერთო ენის ლექსიკონებში ტერმინთა არსებობისა და მათი ანალიზის შესახებ (Rey, 1985; Béjoint, 1988; Tournier, 1992; Cabré, 1994; Paz Battaner, 1996; Estopà, 1998; Boulanger, 2001; Roberts, 2004; Nomdedeu Rull, 2008). საზოგადოდ აღიარებულია, რომ საერთო ენის ლექსიკონებში არათანმიმდევრულობა ვლინდება სპეციალიზებული ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის წარმოდგენის ერთგვაროვნებასა და მეცნიერულ აღწერასთან მიმართებით (Ptaszyński, 2010).

ჩვენს ნაშრომს აქვს წმინდა ლექსიკოგრაფიული მიზნები, რომელიც გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ როგორ შეუძლიათ ტერმინოლოგიურ მეთოდებს ლექსიკოგრაფიული მუშაობის გაუმჯობესება და საერთო ენის ლექსიკონებში ტერმინოლოგიის ორგანიზების, სტრუქტურირებისა და აღწერის ხარისხზე გავლენის მოხდენა. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ლექსიკური ერთეულების, როგორც საერთო ენის ლექსიკური ერთეულების, ასევე ტერმინების, წარმოდგენის საკითხი განსხვავებული უნდა იყოს. ამ მიზნით, ჩვენ მივმართავთ ტერმინოლოგიაზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას (ISO 704, 2022) ინფორმაციის წარმოდგენისა და ორგანიზაციის და თავად ტერმინების კონცეპტუალურ და ლინგვისტურ ქრილში აღწერასთან დაკავშირებით. ამ მეთოდების გამოყენება ლექსიკოგრაფებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ ლექსიკონებში წარმოდგენილი დეფინიციებისა და განმარტებების სიზუსტე და სიცხადე.

ტერმინოლოგიური მეთოდების (Salgado, 2021) გამოყენების მაგალითი ნაჩვენებია იქნება გეოლოგიის დარგიდან ამოღებულ სხვადასხვა ცნებებზე დაყრდნობით: <ChronostratigraphicUnit>, <GeochronologicUnit> და მათთან დაკავშირებული ტერმინები. ამ ტერმინების წყაროა პორტუგალიური ენის ლექსიკონი (ACL, 2023), პორტუგალიური ენის ვრცელი, აკადემიური ლექსიკონი, გამოცემული ლისაბონის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ცოტა ხნის წინ, რომელიც ახლაც გადამუშავების პროცესშია. ჩვენს შემთავაზებას საფუძვლად ტერმინოლოგიის ორმაგი ბუნება უდევს: ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ გამოვიყენებთ როგორც სემასიოლოგიურ, ასევე ონომასიოლოგიურ მიდგომებს. ჩვენ ვეყრდნობით მოსაზრებას, რომ კონცეპტუალურ სისტემაში კონცეპტუალური კავშირების აშკარა იდენტიფიცირება წარმოადგენს ზუსტი დეფინიციების შექმნის საწინდარს.

ლექსიკოგრაფიაში ტერმინოლოგიური მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ ურთიერთთანამშრომლობას ლექსიკოგრაფებს, ტერმინოლოგებსა და დარგის ექსპერტებს შორის. ამ სახის ინტერდისციპლინურ ურთიერთთანამშრომლობას შეუძლია გამოავლინოს საინტერესო მიგნებები და ხელი შეუწყოს ცოდნის ურთიერთმიმოცვლას.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკონი, ლექსიკოგრაფია, სტანდარტები, ტერმინოლოგია.

თეზისი ქართულად თარგმნა ქეთევან მჭედლიშვილმა

Adequacy of Definitions of Some English Idioms in Bilingual Dictionaries and their Role in Teaching Strategies

Nino Dvalidze

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

nino.dvalide@bsu.edu.ge

Abstract: The aim of this article is to fill the information gap and to overcome those difficulties in learning English, which arise when English idioms are not adequately defined or interpreted in Georgian bilingual dictionaries. This paper investigates some idiomatic expressions in modern English publicist texts from 'The Guardian', 'Fortune', and some others. The need for etymological study of idioms is stimulated by the fact that the phraseology condensates the complex interaction of the culture and psychology of people, national identity and unique metaphoric thinking of the language community.

My research method is based on the corpus method of tagging, as well as comparative-descriptive method. Such studies may contribute to the improvement of lexicographic treatment of idioms in Georgian bilingual dictionaries, as well as, to the compilation of a minor phraseological dictionary which will help English language learners understand and translate English texts adequately.

By mastering many English idioms, phrases or proverbs, students will enjoy and find inspiring the process of learning, as reading classes always begin with pre-reading activities, which often contain many idioms and other set expressions. In the first part of my presentation I discuss some English idioms, which are not described fully in English-Georgian dictionaries, in the second part, I will talk about the strategies of presentation of idioms in the process of teaching English.

As an example, below are discussed some idioms:

'*A load of old Codswallop*' – which means: *a lot of nonsense; something of no value; rubbish*. As it is explained in a *Dictionary of Idioms and Their Origin*, by Linda and Roger Flavell, Codswallop is an interesting blend of 'Cod' and 'wallop', Cod being the name of a Victorian businessman, Hiram C. Codd and 'wallop' a nineteenth century slang term for beer. In 1872 Mr. Codd went into business and started selling lemonade in green glass bottles with marble stoppers. The brew was humorously referred to as *Codd's wallop*. Just how good the lemonade really was can only be guessed from the derisory tone of the term.

I searched for the interpretation of the given idiom in the *Comprehensive English-Georgian Online Dictionary*, where the word Codswallop was interpreted, as usual, correctly: სისულელე, აბდაუბდა, ჩმახი. Though, I think it would be better to provide the full phrase: *A load of Codswallop*, where omitted word – a load – gives some extra connotation to the phrase and more exact interpretation would be: სრული ან დიდი სისულელე; დაბალხარისხიანი, მდარე რამ, ნაგავი ('great nonsense, goods of very low quality').

Another idiom '*To go cold turkey*' also has an interesting interpretation. Linda and Roger Flavell's dictionary explain this phrase as *to come off (hard) drugs abruptly rather than gradually and more easily*. The *Comprehensive English-Georgian Online Dictionary* gives the adequate interpretation of this idiom:

1. შეულამაზებელი სიმართლე; 2. ნარკოტიკების ხმარების და მისთ. უეცარი შეწყვეტა. But one additional meaning is missing in the mentioned bilingual dictionary, which should be added to it. '**To talk turkey**', which has very amusing origin has one more meaning, developed comparatively recently '**to get down to business**'. The exact equivalent in Georgian would be: საქმის სერიოზულად შედგომა, დაწყება.

Keywords: *adequate definition, bilingual dictionaries, etymology, minor dictionary of idioms, publicist texts, pre-reading activities.*

იდომების განმარტების ადეკვატურობა ორენოვან ლექსიკონებში და მათი როლი სწავლების სტრატეგიებში

ნინო დვალაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nino.dvalide@bsu.edu.ge

თეზისი: აღნიშნული კვლევის მიზანია შეავსოს ის ინფორმაციული ხარვეზი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ქართულ ორენოვან ლექსიკონებში ამა თუ იმ ინგლისურენოვანი იდიომის შესატყვისის არქონამ. ასევე, ჩემი მიზანია ვაჩვენო, თუ რა როლი აქვს ინგლისურენოვან იდიომებს ენის სწავლების საქმეში და ვიკვლევ მათი განსაზღვრებების შესაბამისობას ქართული ლექსიკონებში. იდიომატური ფრაზები აღებულია თანამედროვე ინგლისური პუბლიცისტიკიდან: „გარდიანი“ „ფორტუნა“ და სხვა. იდიომების ეტიმოლოგიური კვლევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ისინი ახდენენ ამა თუ იმ კულტურის ეთნო-ფსიქოლოგიური და ინტერკულტურული მრავალფეროვნების კონდენსაციას, და ამავე დროს უჩვენებენ კულტურების თვითმყოფად სახეს და უნიკალურ მეტაფორულ აზროვნებას.

კვლევის მეთოდოლოგია აღებულია კორპუსის ლინგვისტიკიდან, კერძოდ გამოყენებულია „თეგირების“ მეთოდი, ასევე აღწერით-შეპირისპირებითი მეთოდი.

აღნიშნული ტიპის კვლევები, ვიმედოვნებ, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართულ ლექსიკონებში იდიომების წარმოდგენის საქმეში და ასევე გაამდიდრებს იდიომატური ფრაზების მცირე ლექსიკონებს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გააადვილებს ინგლისური ენის სწავლებას.

ენის შემსწავლელს რაც მეტი მასალა ექნება აღნიშნული კუთხით, რაც მეტი ინგლისური იდიომი, ფრაზა, და ანდაზა ეცოდინება, მით უფრო სახალისო გახდება მისთვის სწავლების პროცესი, კერძოდ კითხვის წინა აქტივობა, როდესაც ტექსტის მთავარი ინტენციის (ჩანაფიქრის) მისანიშნებლად, სტუდენტებს ხშირად ეძლევათ მსგავსი ნიმუშები ფრაზეოლოგიიდან.

მოხსენების პირველ ნაწილში, მოყვანილია იმ იდიომების ეტიმოლოგია და მათი შესატყვისები, რომელთაც ვთვლი, რომ არ ჰქონდა სრულყოფილი განმარტებები ქართულ ლექსიკონებში, მეორე ნაწილი კი ეთმობა, სწორედ ენის სწავლების სტრატეგიებში იდიომების როლს.

შესწავლილი იდიომებიდან, მოვიყვან რამდენიმეს: 1. „*A load of old Codswallop*“ - რომელიც ლინდა და როჯერ ფლაველების იდიომების ლექსიკონში, განმარტებულია, როგორც: *a lot of nonsense; something of no value; rubbish*. ეს იდიომი, ინგლისურ-ქართულ ონლაინ ლექსიკონში, ასეა განმარტებული: სისულელე, აბდაუბდა, ჩმახი და სიტყვა-სტატიად გამოტანილია მხოლოდ *Codswallop*. ვფიქრობ, რომ უფრო სრულყოფილ განმარტებამდე მივიყვანდა, თუკი სრულად ავიღებდით იდიომს: „*A load of old Codswallop*“, რადგან მისი ზუსტი შესატყვისი იქნებოდა: სრული ან დიდი სისულელე; დაბალხარისხიანი, მდარე რამ, ნაკავი.

საინტერესოა, მეორე მაგალითიც. *‘To go cold turkey’*, რომელიც განმარტებულია ასე:

1. შეულამაზებელი სიმართლე; 2. ნარკოტიკების ხმარების და მისთ. უეცარი შეწყვეტა. აქ შეიძლება ამ ფრაზის კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობის დამატება 3. საქმის სერიოზულად შედგომა, დაწყება.

საკვანძო სიტყვები: ადეკვატური განმარტება, ორენოვანი ლექსიკონები, პუბლიცისტიკა, ეტიმოლოგია, იდიომების მცირე ლექსიკონი, კითხვის წინა აქტივობა.

Developing Crowdsourcing to Validate Lexical Information About Georgian Verbs

Archil Elizbarashvili

Tbilisi State University, Georgia

Mireille Ducassé

Univ Rennes, INSA Rennes, CNRS, IRISA, France

Manana Khachidze, Magda Tsintsadze

Tbilisi State University, Georgia

E-mail: archil.elizbarashvili@tsu.ge, mireille.ducasse@irisa.fr, magda.tsintsadze@tsu.ge,
manana.khachidze@tsu.ge

Abstract: KARTUVERBS is an online resource tool aiming at helping foreigners learn the conjugation of the Georgian language. Georgian conjugation is both agglutinative and inflectional, there are many rules and exceptions. There exist different lemmatization approaches for the verbs in Georgian in different dictionaries. Therefore, going from a lemma to an inflected form or from an inflected form to a lemma is a challenge for non-native speakers.

KARTUVERBS is a linked-data base of inflected forms. For a given form, the person, number, tense, morphemes, verbal noun and different pieces of grammatical information are given. Data in KARTUVERBS are modeled following the Linked Open Data principles (LOD). The advantage of LOD is a cross-resource access of any part of data by its interoperability, accessibility and resource integration possibility.

KARTUVERBS is running in Sparklis²³, semantic web tool, that enables easy navigation within connected data. Without knowing database query technical syntax, users can find verb lemmas, conjugated verb forms for different tense, person, number and verbs associated characteristics. They can navigate from any part of the base to any other part of the base with powerful guidance from Sparklis.

Prof. P. Meurer gave us access to his Georgian verbs base, dedicated to linguists, called Clarino in the following. We deduced additional information from the Clarino base, in particular for verbal nouns. Verbal nouns are the lemma representatives of verbs in most dictionaries. They in general contain a preverb that is important to understand the meaning of the verb. In the Clarino base, verbal nouns are generic and do not explicitly mention the preverb, because linguists can easily infer the full value of verbal nouns. In KARTUVERBS, however, we need the full verbal noun, otherwise non-native speakers will not be able to find the verbs in a dictionary. Moreover, some generic verbal nouns are missing in the Clarino base. We have used Decision Tree (DT), a machine learning technique, to deduce missing values of generic verbal nouns. We have also written scripts to add preverbs in order to build full verbal nouns.

The results of the prediction by DT need to be systematically validated by Georgian locutors. We are developing validation methods. We are setting up a crowdsourcing platform to get user-suggested data and expertise from profes-

23 <http://www.irisa.fr/LIS/ferre/sparklis/>

sionals of the domain. We use HEADWORK²⁴ a generic crowdsourcing platform. HEADWORK is an open-source academic platform for the crowdsourcing of complex tasks.

KARTUVERBS can be used as an interface for any Georgian dictionary, regardless of the lemmatization principles the dictionary uses for verbs. Nowadays, KARTUVERBS contains 5 million inflected forms related to more than 16 000 verbs, there are more than 80 million links in the base. The knowledge base will be enlarged with more verbs forms and their features deduced by machine learning. Before integrating the generated information into the base, its correctness will be validated by the HEADWORK crowdsourcing platform. We expect to create a functional platform ready to output validated information.

Keywords: *Data validation, Machine learning, Decision tree, Georgian language.*

24 <https://headwork.irisa.fr/headwork/>

Crowdsourcing-ის გამომყენება ქართული ზმნების ლექსნიკური ინფორმაციის შესამოწმებლად

არჩილ ელიზბარაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მირეი დუკასე

რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, CNRS, IRISA, საფრანგეთი

მანანა ხაჩიძე, მაგდა ცინცაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

archil.elizbarashvili@tsu.ge, mireille.ducasse@irisa.fr, magda.tsintsadze@tsu.ge,
manana.khachidze@tsu.ge

თეზისი: KARTUVERBS არის ონლაინრესურსი – პროგრამული ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც უცხოელებს შეუძლიათ ქართული ენის ზმნების უღლების შესწავლა. ქართული ენა არის აგლუტინაციური და ფლექსიურიც. ეს თვისებები განსაკუთრებით ვლინდება ქართული ზმნების უღლების სისტემაში, რომელსაც ბევრი წესი და ბევრი გამონაკლისი აქვს. სხვადასხვა ლექსიკონები გვთავაზობენ ქართული ზმნების ლემატიზაციის განსხვავებულ მიდგომებს, ამიტომ ლემიდან ნაუღლებ ფორმაზე გადასვლა ან ნაუღლები ფორმის მიხედვით ლემის მოძიება დიდი გამოწვევაა ქართული ენის უცხოელი შემსწავლელისათვის.

KARTUVERBS არის ზმნების ნაუღლები ფორმების ერთმანეთთან დაკავშირებული ბაზა, სადაც ყოველ ფორმას მითითებული აქვს პირი, რიცხვი, დრო, მორფემები, სახელზმნა და სხვადასხვა გრამატიკული ინფორმაცია. KARTUVERBS-ში მონაცემები მოდელირებულია Linked Open Data-ს (LOD) პრინციპების მიხედვით.

KARTUVERBS მუშაობს Sparklis²⁵-ის, სემანტიკური ვებინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც მარტივი ნავიგაციის საშუალებას იძლევა ერთმანეთთან დაკავშირებულ მონაცემებში. ბაზიდან მონაცემთა გამოთხოვის ტექნიკური სინტაქსის ცოდნის გარეშე, მომხმარებლებს შეუძლიათ მოიძიონ ზმნის ლემა, ნაუღლები ზმნის ფორმები სხვადასხვა დროში, პირსა და რიცხვში და ასევე, ზმნასთან ასოცირებული სხვადასხვა მახასიათებლები. Sparklis-ის მძლავრი სისტემის საშუალებით შესაძლებელია მონაცემთა ბაზის ნებისმიერი ადგილიდან სხვა ადგილას გადასვლა.

პროფესორ პ. მოიერის დახმარებით, წვდომა მოგვეცა Clarino ბაზაზე, რომელიც განკუთვნილია ლინგვისტებისთვის. Clarino ბაზიდან ჩვენ შევძელით დამატებითი ინფორმაციის, კერძოდ სახელზმნების ამოღებაც. სახელზმნა უმეტეს ლექსიკონში ზმნის ლემას წარმოადგენს. იგი, როგორც წესი, შეიცავს ზმნისწინს, რომელიც მნიშვნელოვანია ზმნის მნიშვნელობის გასაგებად. Clarino ბაზაში სახელზმნა ზოგადი ფორმითაა წარმოდგენილი და არ შეიცავს ზმნისწინს, რადგან ენათმეცნიერებს მარტივად შეუძლიათ დაადგინონ სახელზმნის სრული მნიშვნელობა. KARTUVERBS-ში კი, ჩვენ გვჭირდება სრული სახელზმნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ენის შემსწავლელი ვერ შეძლებენ ზმნების მნიშვნე-

25 <http://www.irisa.fr/LIS/ferre/sparklis/>

ლობის მოძებნას ლექსიკონში. მეტიც, Clarino ბაზას აკლია ზოგიერთი ზოგადი მნიშვნელობის სახელზმნა. ჩვენ გამოვიყენეთ მანქანური სწავლების ერთ-ერთი ტექნიკა – გადაწყვეტილების ხე, რათა გამოგვეთვალა ზოგადი სახელზმნების გამოტოვებული მნიშვნელობები. ასევე, დავწერეთ სკრიპტი ზმნებისთვის ზმნისწინების დასამატებლად, რათა სახელზმნების სრული კორპუსი მიგველო.

გადაწყვეტილების ხის მეშვეობით მიღებული სახელზმნები საჭიროებს შემოწმებას და ვალიდაციას ქართული ენის მცოდნეების მიერ. ამისთვის, ჩვენ ვამუშავებთ ვალიდაციის მეთოდებს. უკვე შევიმუშავეთ crowdsourcing-ის პლატფორმა იმისათვის, რომ მივიღოთ როგორც მომხმარებლის მიერ შემოთავაზებული პასუხები, ასევე დარგის პროფესიონალების ექსპერტული დასკვნები. შერჩეული გვაქვს HEADWORK²⁶, ზოგადი crowdsourcing-ის პლატფორმა, რომელიც არის ღია კოდზე დაფუძნებული აკადემიური პლატფორმა კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად.

KARTUVERBS შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შუამავალი ინტერფეისი ნებისმიერი ქართული ლექსიკონისთვის მიუხედავად ლემატიზაციის პრინციპებისა, რომელსაც ეს ლექსიკონი იყენებს ზმნებისთვის. სადღეისოდ, KARTUVERBS შეიცავს 5 მილიონზე მეტ ნაუღლებ ფორმას, რომლებიც დაკავშირებულია 16 000-ზე მეტ ზმნასთან, რომელიც, თავის მხრივ 80 მილიონზე მეტ ბმულს ქმნის ბაზაში. ბაზა გაფართოვდება მეტი ზმნური ფორმებითა და მათი მახასიათებლებით, რომლებიც გამოითვლება მანქანური სწავლების მეთოდებით. გენერირებული ინფორმაციის ბაზაში ინტეგრირებამდე, მისი სისწორე დამოწმებული იქნება HEADWORK crowdsourcing-ის პლატფორმაში. ჩვენი მიზანია შევქმნათ ფუნქციური პლატფორმა, რომელიც შემოწმებულ ინფორმაციას მიაწოდებს მომხმარებელს.

საკვანძო სიტყვები: მონაცემთა შემოწმება, მანქანური სწავლება, გადაწყვეტილების ხე, ქართული ენა.

26 <https://headwork.irisa.fr/headwork/>

English-Georgian and Georgian-English Explanatory Online Dictionary in Chemistry Terminology

Elizbar Elizbarashvili

Agricultural University of Georgia,

Lali Ezugbaia

Free University of Tbilisi

Gia Khatisashvili

Agricultural University of Georgia

Manana Bukia

Arn. Chikobava Institute of Linguistics

Tinatin Butkhuzi, Tamar Khatisashvili

Agricultural University of Georgia

e.elizbarashvili@agruni.edu.ge, l.ezugbaia@freeuni.edu.ge, g.khatisashvili@agruni.edu.ge, manbuki2008@gmail.com, t.butkhuzi@agruni.edu.ge, khatisashvilit@gmail.com

Abstract: The development of this dictionary was guided by the recommendations and proposals provided by the permanent commission of the esteemed International Union of Pure and Applied Chemistry (IUPAC), responsible for ensuring the accuracy and international recognition of chemistry terms, concepts, laws, and definitions.

The online dictionary represents the Georgian version of the compendium of chemical terminology published by IUPAC in 2014 as a so-called Gold Book²⁷. The Dictionary will be published at the following web address www.chemistry.ge/dictionary and will be freely accessible for any interested person. The dictionary is developed by the Agricultural University of Georgia with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation²⁸.

Harmonization and standardization of modern field terminology emerged as one of the core priorities in the Georgian language state program. To address this, we established an extensive editorial board comprising leading specialists from diverse universities, encompassing chemists and terminologists-linguists.


Harmonization and standardization of modern field-specific terminology emerged as one of the core priorities in the Georgian language state program. To address this, we established an extensive editorial board comprising leading specialists from diverse universities, including chemists and linguist-terminologists. Parallel forms have been discussed with the editorial board and the final lexical units have been determined by the consensus or the majority. For example, from the existing parallel forms of the term „solid support”: *მატარებელი, მყარი მატარებელი, მყარი მატრიცა, მყარი სარჩული*, „solid support” has been selected (71.4%). The term „penetrants” was represented by the following forms: *პენეტრანტები, შემღწევი ნივთიერება, შემღწევი ნაერთები, შეღწევის აგენტი*. After some discussion, preference was given (over 50% of votes) to the form close to the international term – *პენეტრანტები*. If in the first case,

27 <https://goldbook.iupac.org/files/pdf/goldbook.pdf>

28 Shota Rustaveli National Science Foundation, Grant # SL-22-339

preference was given to the Georgian equivalent, for the term „penetrants” a borrowed term was adopted.


The Georgian version of the English dictionary follows the same entry structure as the English version. In particular, under a lexical unit is indicated a sub-branch of chemistry or a related discipline; next follows the definition of the term; After the definition comes the „See also” section and finally – the references. Some Georgian sources have been added also to the list of references such as „Four-lingual chemical dictionary”, „English-Georgian-Russian technical online dictionary”, etc. (see Fig. 1):



<p>Electron capture</p> <p>A nuclear transformation in which the nucleus captures an orbital electron. Often the shell, from which the electron is captured, is indicated. (K-, L-, etc.).</p>	<p>ელექტრონის წატაცება</p> <p>ბირთვული გარდაქმნა, რომლის დროსაც ბირთვი იჭერს ორბიტალურ ელემენტს. ხშირად უთითებენ ელექტრონულ გარსს, საიდანაც ხდება ელექტრონის წატაცება. (მაგ. K-, L- და ა.შ.).</p>
---	--

Source/წყარო:

1. PAC, 1982, 54, 1533 (*Glossary of terms used in nuclear analytical chemistry (Provisional)*) on page 1537
2. *ოთხენოვანი ლექსიკონი*



<p>Variable pathlength cell</p> <p><i>In spectrochemical analysis</i></p> <p>A cell whose pathlength can be varied either continuously or in steps by means of spacers.</p>	<p>კიუვეტი ცვლადი სინათლის სვლით</p> <p><i>სპექტრულ ქიმიურ ანალიზში</i></p> <p>კიუვეტი, რომლის სინათლის სვლის მანძილი შეიძლება შეიცვალოს საფეხურების გარეშე ან საფეხურებით.</p>
--	--

Source/წყარო:

- PAC, 1988, 60, 1449 (*Nomenclature, Symbols, units and their usage in spectrochemical analysis – molecular absorption spectroscopy, ultraviolet and visible (UV/VIS) (Recommendations 1988)*) on page 1454

Pic. 1.

Some terms are accompanied by labels: less desirable, obsolete, use is strictly not recommended, ambiguous term – it is recommended to stop using the term (see Fig. 2):



<p>Electron impact ionization [obsolete] <i>In mass spectrometry</i> See also: electron ionization</p>	<p>იონიზაცია ელექტრონის დაჯახებით [მოდველებულია] <i>მას-სპექტრომეტრიაში</i> ასევე იხილეთ: ელექტრონული იონიზაცია</p>
--	--

Source/წყარო:

PAC, 1991, 63, 1541 (*Recommendations for nomenclature and symbolism for mass spectroscopy (including an appendix of terms used in vacuum*

Pic 2.

Despite IUPAC’s prescription, some of the non-recommended terms are still actively used in Georgian terminology; therefore, the editorial board of the dictionary considered it necessary to leave them at this stage. The issue requires further research.

While working on the dictionary, the issues of purely sectoral appropriateness of terms and language normalization-standardization were highlighted.

In the direction of the field, it became necessary:

Editing of the definition and writing of the existing terms (in accordance with the rules of transliteration, as well as considering the use of punctuation).

Agreement/establishment of new terms, in particular, new terms that were not used in the Georgian terminological system of chemistry entered the scientific circulation.

Clarifying and correcting the definitions of terms, taking into account the Georgian scientific knowledge of chemistry.

For example, the term **effluent** in the online dictionary of technical terminology is rendered by the term „wastewater” in the accepted meaning in ecology. In chemistry, particularly in chromatographic analysis, it refers to the mobile phase that leaves the column. Thus, it was decided to borrow this word directly in chemical texts. Also, **antarafacial** is one of the new terms in chemistry, borrowed into many languages, including rich technical terminology. However, after discussion, our commission determined that creating a Georgian version of „ანტარასახოვანი” would be better.

In some cases, a completely new Georgian term was created. For example, the term **concerted reaction** is used to denote a chemical reaction in which the breaking of several chemical bonds and the formation of new ones takes place in one step according to a certain regularity and sequence. We considered that a better Georgian term to express the given process would be „orchestrated reaction.”

The dictionary contains about 4,500 terms that meet the standards of modern chemical terminology. The online dictionary allows us to make changes following the comments of users and specialists. After completion of the work, we will submit the finished dictionary to the Expert Commission of the State Language Department for approval.

Keywords: *chemistry terminology, explanatory dictionary of chemistry terminology, IUPAC recommendations*

ქიმიის ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური განმარტებითი ონლაინლექსიკონი

ელიზბარ ელიზბარაშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ლალი ეზუგბაია

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

გია ხატისაშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

მანანა ბუკია

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თინათინ ბუთხუზი, თამარ ხატისაშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

e.elizbarashvili@agruni.edu.ge, l.ezugbaia@freeuni.edu.ge, g.khatisashvili@agruni.edu.ge, manbuki2008@gmail.com, t.butkhuzi@agruni.edu.ge, khatisashvilit@gmail.com

ლექსიკონი შეიქმნა ქიმიის ახალი ტერმინების შემუშავებაზე, ცნებების, კანონებისა და განმარტებების სწორი და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციის IUPAC (www.iupac.org) მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე.

ლექსიკონს საფუძვლად დაედო ე.წ. „ოქროს წიგნში“²⁹ შესული ტერმინები. IUPAC-ის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიის ბაზაზე შექმნილი ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ქიმიის განმარტებითი ონლაინლექსიკონი განთავსდება ვებმისამართზე: www.chemistry.ge/dictionary და მასზე თავისუფალი წვდომა ექნება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ლექსიკონი შეიქმნა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით³⁰. მოცემული ლექსიკონის გაქართულება არის პირველი ნაბიჯი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტის – თანამედროვე დარგობრივი ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის – მიმართულებით. ლექსიკონის შექმნის პროცესში ჩართულია გაფართოებული სარედაქციო კოლეგია სხვადასხვა უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტების, როგორც ქიმიკოსების, ასევე ტერმინოლოგ-ენათმეცნიერების, მონაწილეობით.

ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანია პარალელიზმისა და სინონიმის დაძლევა. ამ დროს მნიშვნელოვანია სპეციალისტების კონსენსუსი, რისთვისაც მათთან განსახილველად გავითვალისწინებთ პარალელური ფორმები და უბრალო კენჭისყრით გამოვავლინეთ შესარჩევი ლექსიკური ერთეული. მაგალითად, **solid support** ტერმინისთვის არსებული პარალელური

29 Compendium of Chemical Terminology. Gold Book, IUPAC, 2014, Version 2.3.3. <https://goldbook.iupac.org/files/pdf/goldbook.pdf>

30 შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # SL-22-339

ფორმებიდან: მატარებელი, მყარი მატარებელი, მყარი მატრიცა, მყარი სარჩული საბოლოო ფორმად მიღებული იქნა „მყარი სარჩული“ (71.4%), **penetrants** ტერმინისთვის წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმები: პენეტრანტები, შემღწევი ნივთიერება, შემღწევი ნაერთები, შეღწევის აგენტი. კომისიაზე განხილვის შემდეგ უპირატესობა მიენიჭა (ხმათა 50%-ზე მეტი) საერთაშორისო ტერმინთან ახლოს მდგომ ფორმას – **პენეტრანტები**. თუ პირველ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა ქართულ შესატყვისს, ამჯერად ტერმინის სესხების მოსაზრებამ გადაწონა.

ინგლისურენოვანი ლექსიკონის ქართული ვერსია იცავს სიტყვა-სტატიის აგების იმავე პრინციპს, კერძოდ, სალექსიკონო ერთეულს ქვეშ მიეთითება ქიმიის ქვედარგი ან მომიჯნავე დისციპლინა; შემდეგ მოსდევს ტერმინის განმარტება/სტატია; განმარტების მომდევნოდ კი მიითითება: „ასევე იხილეთ“; ხოლო ბოლოს – წყაროები. თითოეული ეს პარამეტრი საჭიროების მიხედვით არის წარმოდგენილი. შევნიშნავთ, რომ ქართულ ვერსიაში წყაროების ჩამონათვალს შესაბამის ადგილას დაემატა ქართული წყაროები: „ქიმიის ოთხენოვანი ლექსიკონი“, „ინგლისურ-ქართულ-რუსული ტექნიკური ონლაინლექსიკონი“ და სხვა (იხ. სურ.1):



Electron capture

A nuclear transformation in which the nucleus captures an orbital electron. Often the shell, from which the electron is captured, is indicated. (K-, L-, etc.).

ელექტრონის წატაცება

ბირთვული გარდაქმნა, რომლის დროსაც ბირთვი იჭერს ორბიტალურ ელემენტს. ხშირად უთითებენ ელექტრონულ გარსს, საიდანაც ხდება ელექტრონის წატაცება. (მაგ. K-, L- და ა.შ.).

Source/წყარო:

1. PAC, 1982, 54, 1533 (*Glossary of terms used in nuclear analytical chemistry (Provisional)*) on page 1537
2. ოთხენოვანი ლექსიკონი



Variable pathlength cell

In spectrochemical analysis

A cell whose pathlength can be varied either continuously or in steps by means of spacers.

კიუვეტი ცვლადი სინათლის სვლით

სპექტრულ ქიმიურ ანალიზში

კიუვეტი, რომლის სინათლის სვლის მანძილი შეიძლება შეიცვალოს საფეხურების გარეშე ან საფეხურებით.

Source/წყარო:

- PAC, 1988, 60, 1449 (*Nomenclature, Symbols, units and their usage in spectrochemical analysis – molecular absorption spectroscopy, ultraviolet and visible (UV/VIS) (Recommendations 1988)*) on page 1454

სურ. 1.

ცალკეულ ტერმინებს თან ახლავს მარკერები: ნაკლებად სასურველი, მოძველებული, გამოყენება მკაცრად არ არის რეკომენდებული, არაცალსახა ტერმინი – რეკომენდებულია ტერმინის გამოყენების შეწყვეტა (იხ. სურ. 2):



<p>Electron impact ionization [obsolete] <i>In mass spectrometry</i> See also: electron ionization</p>	<p>იონიზაცია ელექტრონის დაჯახებით [მოძველებულია] მას-სპექტრომეტრიაში ასევე იხილეთ: ელექტრონული იონიზაცია</p>
--	--

Source/წყარო:

PAC, 1991, 63, 1541 (*Recommendations for nomenclature and symbolism for mass spectroscopy (including an appendix of terms used in vacuum)*)

სურ. 2.

მიუხედავად IUPAC-ის ამგვარი კვალიფიკაციისა, ქართულ ტერმინოლოგიაში დღემდე აქტიურად გამოიყენება არარეკომენდებული ტერმინების ნაწილი, შესაბამისად, ლექსიკონის რედკოლეგიაში ამ ეტაპზე საჭიროდ ჩათვალა მათი დატოვება. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ლექსიკონზე მუშაობისას გამოიკვეთა ტერმინთა წმინდა დარგობრივი მიზანშეწონილობისა და ენობრივი ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საკითხები.

დარგობრივი მიმართულებით საჭირო გახდა:

1. არსებული ტერმინების განმარტებისა და დაწერილობის (გრანსლიტერატურის წესების შესაბამისად, ასევე პუნქტუაციის წესების გათვალისწინებით) რედაქტირება;
2. ახალი ტერმინების შეთანხმება/დამკვიდრება, კერძოდ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ტერმინები, რომლებიც მანამდე არ გამოიყენებოდა ქიმიის ქართულენოვან ტერმინოლოგიურ სისტემაში;
3. ტერმინთა განმარტებების დაზუსტება-კორექტირება ქიმიის ქართული სამეცნიერო ცოდნის გათვალისწინებით.

ამჯერად მოხსენებაში ყურადღებას გავამხვილებთ ახალი ტერმინების შემოღების ძირითად პრინციპებზე. მაგალითად, ტერმინი **effluent** ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინლექსიკონში გადმოცემულია მხოლოდ ეკოლოგიაში მიღებული მნიშვნელობით „ჩამდინარე წყლები“. ქიმიაში, კერძოდ კი, ქრომატოგრაფიულ ანალიზში იგი აღნიშნავს მოძრავ ფაზას, რომელიც ტოვებს სვეტს. ამდენად, გადაწყდა რომ ქიმიურ ტექსტებში ეს სიტყვა პირდაპირ ყოფილიყო ნასესხები.

ასევე, ქიმიაში ერთ-ერთი ახალი ტერმინია **antarafacial**. ეს ტერმინი ძალიან ბევრ ენაში, მათ შორის, ტექნიკური ტერმინოლოგიით მდიდარშიც კი პირდაპირ არის ნასესხები. ჩვენმა კომისიამ მსჯელობის შემდეგ კი დაადგინა, რომ უმჯობესი იქნება, თუ იგი ქართულში „ანტარასახოვანის“ სახით დამკვიდრდება.

ზოგიერთ შემთხვევაში შექმნილია სრულიად ახალი ქართული ტერმინი. მაგალითად, ქიმიური რეაქციის აღსანიშნავად, რომელშიც გარკვეული კანონზომიერებითა და თანმიმდევრობით სინქრონულად მიმდინარეობს რამდენიმე ქიმიური ბმის გაწყვეტა და ახალი ბმების წარმოქმნა ერთ საფეხურად, იყენებენ ტერმინს **concerted reaction**. მივიჩნით, რომ მოცემული პროცესის გამოსახატად უკეთესი ქართული შესატყვისი იქნებოდა „ორკესტრირებული რეაქცია“:

ლექსიკონში აისახება 4500-მდე ტერმინი, რომლებიც ქიმიის თანამედროვე ტერმინოლოგიის სტანდარტებს შეესაბამება. ონლაინლექსიკონი საშუალებას იძლევა მომხმარებელთა და სპეციალისტთა შენიშვნების კვალდაკვალ შევიტანოთ ცვლილება. ბუნებრივია, დასრულებულ ლექსიკონს განსახილველად წარვუდგენთ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიას გრიფირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ქიმიის ტერმინოლოგია, ქიმიის განმარტებითი ლექსიკონი, IUPAC-ის რეკომენდაციები

Comparing Dictionary Lookup Expertise: Two Groups of English Learners

Donna Farina

New Jersey City University, USA

Marjeta Vrbinc and Alenka Vrbinc

University of Ljubljana, Slovenia

dfarina@njcu.edu, Marjeta.Vrbinc@ff.uni-lj.si, alenka.vrbinc@ef.uni-lj.si

Introduction

This paper is a comparison of two previous research studies (Farina et al. 2019; Vrbinc et al. 2023), examining the dictionary look-up behaviors of two cohorts of undergraduate students from the University of Ljubljana, Slovenia: one cohort was majoring in business and economics in the School of Economics and Business (SEB group) and the other was majoring in English in the Faculty of Arts (FA group). In both cohorts, participants were given nine contexts containing a common English word used in an infrequent sense. The following words were used: *tax* (verb), *fix* (verb), *score* (verb), *pitch* (noun), *plug* (noun), *ticket* (noun), *sharp* (adjective), *mean* (adjective), *rich* (adjective). The students had to locate the relevant (infrequent) sense in an unknown-to-them learner's dictionary, *The Britannica Dictionary* (BD). They were asked to think aloud as they looked up words; the researchers observed and recorded their approaches and problems. Prior to, during, and after the look-up process, the students responded to questions about their habits of dictionary use and their perceptions of the utility and quality of definitions and illustrative examples that they encountered.

Results

Frequency

The FA students used dictionaries much more often. The FA group consulted dictionaries several times per week or even daily. The minimum usage in the SEB group was a few times per month, with a few SEBs using dictionaries weekly as the maximum.

Navigation of the dictionary entry

The FAs performed better in the navigation of the dictionary; for eight of the nine target words of the study, all or all but one of the FAs selected the correct sense in the dictionary. In comparison, for only five words of the study, all or all but one of the SEBs selected the correct meaning. As compared with the FAs, the SEBs had many more problems recognizing the part of speech of the words in their contexts and in the entries in the BD.

Evaluation of dictionary components

There was close agreement among the SEBs and the FAs on the general usefulness of the definition over the other parts of the dictionary entry. As for the illustrative examples, members of both cohorts stated much less frequently that they liked the examples best over the definition. There was a great diversity of opinion about the information provided in the square brackets of some (but not all) illustrative examples.

Conclusions and recommendations

This comparison of the results of two studies indicates that the look-up proficiency of the two study groups differed significantly, which has implications for the lexicographer and for future lexicographic work. The lexicographer should be extremely concerned about the success of users who are like the SEBs—educated general users—and should avoid making assumptions about the familiarity of such users with the lexicographic medium. Online lexicographic media of today are still deeply rooted in the print dictionaries of the past and are more oriented toward educated users with dictionary experience, like the FAs. The target users of modern online dictionaries should be provided with an online format that requires as few navigation skills as possible. Any small flaw in the presentation of the information will cause some users to go astray. And if they are led astray, not only will they receive minimal-to-no benefit from the dictionary at hand, but they will hesitate before using an online dictionary again.

Keywords: *dictionary usage, habits of dictionary use, look-up abilities, dictionary definitions, illustrative examples, learner's dictionary.*

References:

- De Schryver, G.-M. and D.J. Prinsloo.** 2011. Do Dictionaries Define on the Level of their Target Users? A Case Study for Three Dutch Dictionaries. *International Journal of Lexicography* 24(1): 5-28. doi:10.1093/ijl/ecq045.
- Farina, D.M.T.Cr., M. Vrbinc and A. Vrbinc.** 2019. Problems in Online Dictionary Use for Advanced Slovenian Learners of English. *International Journal of Lexicography* 32(4): 458-479. doi.org/10.1093/ijl/ecz017.
- Gouws, R.H.** 2014. Article Structures: Moving from Printed to e-Dictionaries. *Lexikos* 24: 155-177. doi.org/10.5788/24-1-1256.
- Herbst, T.** 1996. On the Way to the Perfect Learners' Dictionary: A First Comparison of OALD5, LDOCE3, COBUILD2 and CIDE. *International Journal of Lexicography* 9(4): 321-357. doi.org/10.1093/ijl/9.4.321.
- Lew, R.** 2011. Space Restrictions in Paper and Electronic Dictionaries and their Implications for the Design of Production Dictionaries. Bański, P. and B. Wójtowicz (Eds.). 2011. *Issues in Modern Lexicography*. München: Lincom Europa. Accessed on 14 July 2022. https://repozytorium.amu.edu.pl/bitstream/10593/799/1/Lew_space_restrictions_in_paper_and_electronic_dictionaries.pdf.
- Lew, R. and G.-M. de Schryver.** 2014. Dictionary Users in the Digital Revolution. *International Journal of Lexicography* 27(4): 341-359. doi:10.1093/ijl/ecu011.
- Lorentzen, H. and L. Theilgaard.** 2012. Online Dictionaries — How Do Users Find Them and What Do They Do Once They Have? Fjeld, R.V. and J.M. Torjusen (Eds.). 2012: 654-660.
- Mitchell, E.** 1983. *Search-do Reading: Difficulties in Using a Dictionary*. Formative Assessment of Reading, Working Paper 21. Aberdeen: Aberdeen College of Education.
- Tono, Y.** 1984. *On the Dictionary User's Reference Skills*. Unpublished B.Ed. dissertation. Tokyo: Tokyo Gakugei University.
- Vrbinc, M., A. Vrbinc and D.M.T.Cr. Farina.** 2023. The Lexicographer's Dream Audience: Dictionary Use among English Majors at a Slovenian University. *International Journal of Lexicography*.

ლექსიკონში სიტყვათა მოძიების უნარ-ჩვევების შედარება: ინგლისური ენის შემსწავლელთა ორი ჯგუფი

დონა ფარინა

ქ. ნიუ-ჯერზის უნივერსიტეტი, აშშ,

მარიეტა ვერბინცი და ალენკა ვერბინცი,

ლიუბლიანის უნივერსიტეტი, სლოვენია

dfarina@njcu.edu, Marjeta.Vrbinc@ff.uni-lj.si, alenka.vrbinc@ef.uni-lj.si

შესავალი

ეს ნაშრომი წარმოადგენს ორი ადრინდელი გამოკვლევის (Farina et al. 2019; Vrbinc et al. 2023) შედარებას და იკვლევს ლექსიკონში სიტყვების მოძიებასთან დაკავშირებულ ქცევას, გამოვლენილს ბაკალავრიატის სტუდენტების ორი ჯგუფის მიერ ლიუბლიანის (სლოვენია) უნივერსიტეტიდან: ერთი ჯგუფი სპეციალიზდებოდა ბიზნესსა და ეკონომიკაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე³¹ (SEB-ჯგუფი), ხოლო მეორე – ინგლისურ ენაში ხელოვნების ფაკულტეტზე³² (FA-ჯგუფი). ორივე ჯგუფში მონაწილეებს მიეცათ ცხრა კონტექსტი, რომელიც შეიცავდა იშვიათი მნიშვნელობით გამოყენებულ ფართოდ გავრცელებულ ინგლისურ სიტყვებს: *tax* (ზმნა), *fix* (ზმნა), *score* (ზმნა), *pitch* (არსებითი), *plug* (არსებითი), *ticket* (არსებითი), *sharp* (ზედსართავი), *mean* (ზედსართავი), *rich* (ზედსართავი). სტუდენტებს რელევანტური (იშვიათი) მნიშვნელობები უნდა მოეძიებიათ მათთვის უცნობ სასწავლო ლექსიკონში, ბრიტანიკის ლექსიკონში (BD³³). მათ სთხოვეს ლექსიკონში სიტყვების ძებნისას ხმამაღლა ეფიქრათ; მკვლევრები აკვირდებოდნენ და აფიქსირებდნენ მათ მიდგომებსა და პრობლემებს. ლექსიკონში სიტყვების მოძიებამდე, მოძიების პროცესში და მოძიების შემდეგ სტუდენტები პასუხს სცემდნენ კითხვებს ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებული თავიანთი ჩვევების შესახებ და მათ მიერ მოძიებული დეფინიციებისა და საილუსტრაციო მაგალითების გამოსადეგობისა და ხარისხის მათეული აღქმის შესახებ.

შედეგები

სინშირე

FA-ჯგუფის სტუდენტები ლექსიკონებს გაცილებით უფრო ხშირად იყენებდნენ. FA-ჯგუფი ლექსიკონებს კვირაში ან ყოველდღიურადაც კი რამდენიმეჯერ იყენებდა. SEB-ჯგუფში მინიმალური გამოყენება იყო რამდენიმე ჯერი თვეში, რამდენიმე SEB-ჯგუფელი კი ლექსიკონებს მარტივ კვირაში ერთხელ იყენებდა.

31 School of Economics and Business.

32 Faculty of Arts.

33 The Britannica Dictionary.

ნავიგაცია სალექსიკონო სიტყვა-სტატიის ფარგლებში

FA-ჯგუფელები უკეთესად ართმევდნენ თავს ლექსიკონის ფარგლებში ნავიგაციას; გამოკვლევის ცხრა სამიზნე სიტყვიდან რვა სიტყვისთვის, ყველა, ან ერთის გარდა ყველა FA-ჯგუფელმა ლექსიკონიდან სწორი მნიშვნელობა ამოირჩია. შედარებისთვის, ყველა ან ერთის გარდა ყველა SEB-ჯგუფელმა სწორი მნიშვნელობა ამოირჩია გამოკვლევის მხოლოდ ხუთი სიტყვისთვის. FA-ჯგუფელებთან შედარებით, SEB-ჯგუფელებს ბევრად უფრო უჭირდათ სიტყვათა მეტყველების ნაწილების ამოცნობა მათ კონტექსტებში და BD-ს (ბრიტანიკის ლექსიკონის) სიტყვა-სტატიებში.

სალექსიკონო კომპონენტების შეფასება

SEB-ჯგუფელები და FA-ჯგუფელები პრაქტიკულად ერთნაირი აზრისანი იყვნენ იმის თაობაზე, რომ ზოგადად დეფინიცია უფრო სასარგებლოა, ვიდრე სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სხვა ნაწილები. რაც შეეხება საილუსტრაციო მაგალითებს, ორივე ჯგუფის წევრები ბევრად უფრო იშვიათად აცხადებდნენ, რომ მათ მაგალითები უფრო მოსწონთ, ვიდრე დეფინიცია.

დასკვნები და რეკომენდაციები

ორი გამოკვლევის შედეგების ეს შედარება მიგვანიშნებს, რომ ორი საკვლევი ჯგუფის მიერ გამოვლენილი დახელოვნებულობა ლექსიკონში სიტყვათა მოძიების მხრივ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, რასაც შორს მიმავალი შედეგები აქვს ლექსიკოგრაფისთვის და ლექსიკოგრაფიის მომავლისთვის. ლექსიკოგრაფი დიდად დაინტერესებული უნდა იყოს ლექსიკონის იმ ტიპის მომხმარებელთა წარმატებით, როგორც SEB-ჯგუფელები არიან – განათლებული რიგითი მომხმარებლები – და არ უნდა ივარაუდოს მათი ღრმა გათვითცნობიერებულობა ლექსიკოგრაფიულ რესურსებში.

დღევანდელ ლექსიკოგრაფიულ ონლაინრესურსებს ჯერაც ღრმად აქვთ ფესვები გადგმული წარსული ეპოქის ნაბეჭდ ლექსიკონებში და ეს რესურსები უფრო მეტადაა ორიენტირებული სალექსიკონო გამოცდილების მქონე განათლებულ მომხმარებლებზე, როგორებიც FA-ჯგუფელები არიან. თანამედროვე ონლაინლექსიკონების მიზნობრივ მომხმარებლებს ისეთი ონლაინფორმატი უნდა შევთავაზოთ, რომელიც მათგან რაც შეიძლება მცირე სანავიგაციო უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ნებისმიერ მცირე ხარვეზს ინფორმაციის მიწოდების ფორმის თვალსაზრისით შეუძლია ზოგიერთ მომხმარებელს გზა-კვალი აუზნოს. ხოლო თუ მათ თავგზა აებნათ, ისინი არა მარტო ვერანაირ ან თითქმის ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებენ მათ ხელთ არსებული ლექსიკონისგან, არამედ კარგად დაფიქრდებიან, სანამ ოდესმე კვლავ გამოიყენებენ რომელიმე ონლაინლექსიკონს.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკონის გამოყენება, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები, სიტყვის მოძიების უნარი, ლექსიკონის განმარტებები, საილუსტრაციო მაგალითები, სასწავლო ლექსიკონი.

თეზისი ქართულად თარგმნა გიორგი მელაძემ

Preserving Endangered Kartvelian Languages: Lexicographic Insights for Megrelian Dictionary

Rusudan Gersamia, Irina Lobzhanidze

Ilia State University, Georgia

rgersamia@iliauni.edu.ge, irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge

Abstract: The preservation of endangered languages is an important task in the field of linguistics and cultural heritage preservation. This paper focuses on the task of preserving the Megrelian language, an endangered Kartvelian language, through a compilation of Megrelian-English dictionary using the Fieldwork Language Explorer (FLEx). The study aims to develop a bilingual Megrelian-English dictionary and underscores the significance of this lexicographic effort in both documenting and potentially preserving this endangered language. By integrating modern technology with traditional lexicographic methods, this study offers valuable insights into the preservation and study of endangered Kartvelian languages.

Thus, the paper is subdivided into the following parts:

1. Introduction: This chapter outlines the project dedicated to the compilation of the Megrelian corpus within the framework of the project (FR-21-993-3), financed by the Shota Rustaveli National Science Foundation, 2021-2025. The project aims to develop the appropriately annotated spoken corpus of Megrelian with the sketch grammar and dictionary available online;
2. Lexicographic insights on the development of dictionaries for the endangered Kartvelian languages: The chapter highlights the challenges of preserving endangered Kartvelian languages, including the scarcity of resources and the urgency of the task, and pays special attention to the current situation with regard to Megrelian;
3. Macro – and Micro-structures of the lexicographic database: One of the central components of the project is the creation of a unidirectional bilingual Megrelian-English dictionary. This dictionary is based on the morphosyntactic annotation used for corpus purposes in the FLEx environment and is designed to be user-friendly. So, the chapter describes macro – and micro-structures of the database, emphasizing its licensing and accessibility;
4. Findings: Through systematic data collection and analysis, the project includes language documentation paying special attention to the meaning of separate words and morphemes of the Megrelian language. This information is important for both preserving the language and understanding the Megrelian;
5. In conclusion, the paper underscores the importance of lexicographic efforts in preserving endangered languages, with a specific focus on the Megrelian language.

In summary, the paper demonstrates that electronic lexicography can play an important role in the preservation of endangered Kartvelian languages.

References:

- Bakker, Dik, König, Ekkehard, Dahl, Östen, Haspelmath, Martin, Koptjevskaja-Tamm, Maria, Lehmann, Christian, Siewierska, Anna** (1993). Eurotyp Guidelines. European Science Foundation in Language Typology.
- Comrie, Bernard, Haspelmath, Martin, Bickel, Balthasar** (2008). *The Leipzig Glossing Rules: Conventions for Interlinear Morpheme-by-morpheme Glosses*. Max Planck Institute for Evolutionary Anthropology.
- Gamkrelidze, Thomas, Machavariani, Givi** (1965). *The system of sonants and ablaut in the Kartvelian languages*. Tbilisi: Science.
- Gersamia, Rusudan, Lobzhanidze, Irina** (2022). *Mingrelian Converter*. <https://irinalobzhanidze.com/megrelian/converter/converter.html>. Accessed 15 June, 2022.
- International Phonetic Association** (1999). *Handbook of the International Phonetic Association: a guide to the use of the International Phonetic Alphabet*. Cambridge: Cambridge University Press.
- Standardization, ISO** (1996). *Information and documentation — Transliteration of Georgian characters into Latin characters, No 9984*. <https://www.iso.org/standard/17892.html>. Accessed 15 June, 2022.
- William Goodrich** (1979) Dillman, Don. *Mail and Telephone Surveys-the Total Design Method*. New York: John Wiley & Sons, 1978, Journal of Advertising, 8:1, 52.

ქართველური ენების დაცვა: მეგრული ენის ლექსიკონის ლექსიკოგრაფიული საკითხები

რუსუდან გერსამია, ირინა ლობჯანიძე

ოლიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

rgersamia@iliauni.edu.ge, irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge

თეზისი: საფრთხეში მყოფი ენების შენარჩუნება მნიშვნელოვანი ამოცანაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ლინგვისტური კვლევების თვალსაზრისით. აღნიშნული მოხსენება ემსახურება მეგრული ენის, საფრთხეში მყოფი ქართველური ენის შენარჩუნებას, მეგრულ-ინგლისური ლექსიკონის შედგენის გზით Fieldwork Language Explorer (FLeX)-ის გამოყენებით. კვლევა მიზნად ისახავს ორენოვანი მეგრულ-ინგლისური ლექსიკონის შემუშავებას და ხაზს უსვამს ამ ლექსიკოგრაფიული ძალისხმევის მნიშვნელობას ამ საფრთხეში მყოფი ენის დოკუმენტირებისა და პოტენციურად შენარჩუნების საქმეში. თანამედროვე ტექნოლოგიების ტრადიციულ ლექსიკოგრაფიულ მეთოდებთან ინტეგრირებით, ეს კვლევა გვთავაზობს ღირებულ შეხედულებებს საფრთხეში მყოფი ქართველური ენების შენარჩუნებისა და შესწავლის შესახებ. შესაბამისად, მოხსენება შემდეგ ნაწილებად იყოფა:

1. შესავალი: ეს ნაწილი ემსახურება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2021-2025 წწ. პროექტის (FR-21-993-3) მოკლე აღწერას. პროექტი მიზნად ისახავს მეგრული ანოტირებული სამეცნიერო კორპუსის შექმნას ფორმალური გრამატიკითა და ლექსიკონით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ-რეჟიმში;
2. ლექსიკოგრაფიული საკითხები საფრთხეში მყოფი ქართველური ენების ლექსიკონების შემუშავების შესახებ: მოხსენების ეს ნაწილი ხაზს უსვამს საფრთხეში მყოფი ქართველური ენების შენარჩუნების გამოწვევებს, მათ შორის აღწერს ელექტრონული რესურსების სიმცირესა და ამოცანის აქტუალურობას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეგრულში არსებულ ვითარებას;
3. ლექსიკოგრაფიული ბაზის მაკრო – და მიკრო-სტრუქტურები: პროექტის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია ერთმიმართულებიანი ორენოვანი მეგრულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნა. ეს ლექსიკონი შეიქმნა მეგრული ენის ანოტირებულ კორპუსზე FLeX გარემოში მუშაობის პროცესში, პროექტისთვის შექმნილი მორფოსინტაქსური ანოტაციის გამოყენებით;
4. განხილვა: მონაცემთა სისტემური შევროვებისა და ანალიზის გზით პროექტი ემსახურება ენობრივ დოკუმენტაციას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეგრული ენის ცალკეული სიტყვებისა და მორფემების მნიშვნელობას. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია მეგრული ენის შენარჩუნებისა და შესწავლისათვის;
5. დასასრულს, ნაშრომი ხაზს უსვამს ლექსიკოგრაფიული ძალისხმევის მნიშვნელობას საფრთხეში მყოფი ენების შენარჩუნების საქმეში, მეგრულ ენაზე ფოკუსირების გზით.

კვლევა აჩვენებს, რომ ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საფრთხეში მყოფი ქართველური ენების შესანარჩუნებლად.

Terminological Errors in Legislative and Other Institutional Documents

(In light of the legal approximation of the legislation of Georgia with the EU *acquis*)

Nana Gogia

LEPL – Bureau of Translation of International Agreements of Georgia
Ministry of Foreign Affairs of Georgia

nanagogia22@gmail.com

Abstract: Against the background of deepening relations between Georgia and the European Union, and especially after the signing of the Association Agreement, the process of gradual approximation of the legislation of Georgia with the legislation of the European Union, which is determined by the State Policy for Implementation of the Georgia-EU Association Agreement, has been particularly expanded. One of the important conditions for the success of this process is the translation of EU *acquis* into Georgian and the unification of relevant terminology.

It is absolutely impossible to conduct large-scale translation activities without translation centres specially created for this purpose. This has been shown by the experience of developed European countries: the path that Georgia is now following has been followed by every EU member state as a candidate or potential candidate country for European integration. It should be noted that Georgia is doing well in this regard, as the above work has been carried out by two state translation agencies since 2011.

In the process of legal approximation of the national legislation of Georgia with the EU legislation, it is important to find out how a new legal or specialised term is created and who creates it. This issue is especially relevant today, when law-making activity is associated with the influx of a large number of new terms. Due to the lack of terminologists in public institutions, the whole burden is placed on translators, who, along with correct translation, are responsible for the consistent use of terminology.

The paper describes the process of working on the terms of legal texts as an integral part of translation. Due to the frivolous attitude towards terminological activities in Georgia, many people think that they easily understand specialised terms and are actively engaged in this rather responsible work, without having any competence, knowledge and work experience. The result is also appropriate to this situation.

As a rule, a translator, without outside help, has to translate legal texts saturated with new realities and terms in a short time, and since no one provides him/her with the necessary terminological material in advance, he/she copes with this difficult task alone, and in addition, he/she also performs the function of a terminologist. Not all translators can do this successfully. And what is more, translation is often performed by a subject-matter expert who speaks a foreign language, in this case English, and is familiar with specialised terminology. But insufficient knowledge of language norms, grammatical categories, spelling rules and key stylistic issues often leads to disastrous results, ending in distribution of incorrect texts with inappropriate terms and phrases to various agencies without

consulting a linguist. Using the example of a number of legal documents, the paper examines terminological errors made during the translation of legislation, lists incorrectly selected Georgian equivalents of foreign terms or such foreign words that are simply transliterated/written in Georgian letters, accompanied by respective examples and options that we consider correct.

In conclusion, the paper discusses the activities of the Working Group of Terminologists established in the LEPL – Bureau of Translation of International Agreements of the Ministry of Foreign Affairs of Georgia, which coordinates the process of terminological work related to translation and legislative activities carried out in state institutions. As a result of the joint work of subject-matter experts and language experts, it is planned to create a bilingual interagency terminology database corresponding to the IATE terminology database – the EU interinstitutional terminology management system. The ultimate goal of this activity is to prepare the ground for the Georgian language to obtain the status of a potential candidate language for the EU membership.

keywords: *terminological work, translation agency, translation of terms, inter-agency terminology database.*

ტერმინოლოგიური შეცდომები საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუციურ დოკუმენტებში

(საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი დაახლოების ფონზე)

ნანა გოგია

სსიპ „საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო“
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

nanagogia22@gmail.com

თეზისი: საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის გაღრმავების ფონზე და განსაკუთრებით, ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ მასშტაბური სახე მიიღო ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესმა, რომელსაც განსაზღვრავს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების სახელმწიფო პოლიტიკა. ამ პროცესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა კი არის ევროკავშირის სამართლებრივი დოკუმენტების ქართულად თარგმნა და შესაბამისი ტერმინოლოგიის უნიფიცირება.

მასშტაბური მთარგმნელობითი საქმიანობის წარმართვა ჯეროვნად შეუძლებელია სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი მთარგმნელობითი ცენტრების გარეშე. ეს აჩვენა ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებამ: გზა, რომელსაც ახლა გადის საქართველო, გაიარა ევროკავშირის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ, როგორც ევროინტეგრაციის წევრობის კანდიდატმა ან პოტენციურმა კანდიდატმა ქვეყანამ. აღსანიშნავია, რომ საქართველო, ამ მხრივ, წარმატებულია, რადგან ორი სახელმწიფო მთარგმნელობითი უწყება 2011 წლიდან ემსახურება ზემოხსენებულ საქმეს.

საქართველოში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი დაახლოების პროცესში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ იქმნება ახალი იურიდიული თუ დარგობრივი ტერმინი და ვინ ქმნის მას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც კანონშემოქმედებითი საქმიანობა დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ახალი ტერმინების შემოღინებასთან. სახელმწიფო უწყებებში ტერმინოლოგიების ნაკლებობის გამო მთელი დატვირთვა მოდის მთარგმნელებზე, რომლებიც გამართულ თარგმნასთან ერთად პასუხს აგებენ ტერმინოლოგიის თანმიმდევრულ გამოყენებაზე.

მოხსენებაში განხილულია საკანონმდებლო ტექსტების ტერმინებზე მუშაობის ასპექტე, როგორც თარგმნის განუყოფელი ნაწილი. საქართველოში ტერმინოლოგიური საქმიანობისადმი გამოვლენილი არასერიოზული დამოკიდებულების გამო ბევრი ფიქრობს, რომ დარგობრივ ტერმინებში ადვილად ერკვევა და აქტიურად ერთვება ამ საკმარის პასუხისმგებლო საქმეში ყოველგვარი კომპეტენციის, ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების გარეშე. შედეგიც შესაბამისია.

როგორც წესი, მთარგმნელს ყოველგვარი დახმარების გარეშე შემჭიდროვებულ ვადებში უხდება სრულიად ახალი რეალიებითა და ტერმინებით დახუნძლული სამართლებრივი ტექსტების თარგმნა და ვინაიდან მას წინასწარ არავინ აწვდის საჭირო ტერმინოლოგიურ მასა-

ლას, ის მარტო ეჭიდება ამ რთულ საქმეს და დამატებით ითავსებს ტერმინოლოგიის ფუნქციასაც. ეს კი წარმატებით ყველა მთარგმნელს არ შეუძლია. ამას გარდა, ხშირად თარგმნას თავის თავზე იღებს დარგის სპეციალისტი, რომელიც ფლობს უცხო, ამ შემთხვევაში ინგლისურ ენას და გარკვეულწილად ერკვევა დარგობრივ ტერმინოლოგიაშიც. მაგრამ ენობრივი ნორმების, გრამატიკული კატეგორიების, მართლწერის წესებისა და სტილის საკვანძო საკითხების არასაკმარისი ცოდნა ხშირად სავალალო შედეგს იწვევს და ენის სპეციალისტთან შეუთანხმებლად სხვადასხვა უწყებებში ვრცელდება გაუმართავი ტექსტები შეუფერებელი შესატყვისებითა და ტერმინებით. მოხსენებაში რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტის მაგალითზე მიმოხილულია კანონმდებლობის თარგმნისას დაშვებული ტერმინოლოგიური შეცდომები, ჩამოთვლილია უცხო ტერმინების არასწორად შერჩეული ქართული შესატყვისები ან უბრალოდ, ქართული ასოებით ჩაწერილი უცხო სიტყვები შესაბამისი მაგალითებისა და ჩვენ მიერ მიჩნეული სწორი ვარიანტების თანხლებით.

მოხსენებაში ასევე ვისაუბრებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროსთან“ შექმნილი ტერმინოლოგიური ჯგუფის საქმიანობაზე, რომელიც კოორდინაციას უწევს სახელმწიფო უწყებებში მიმდინარე მთარგმნელობით და კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური მუშაობის პროცესს. დარგის სპეციალისტებისა და ენის სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნება უწყებათშორისი ორენოვანი ტერმინოლოგიური ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება IATE-ს ტერმინოლოგიურ ბაზასთან და სტანდარტებთან. ამ საქმიანობის საბოლოო მიზანია ნიადაგის მომზადება ქართული ენისათვის ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ენის სტატუსის მისანიჭებლად.

საკვანძო სიტყვები: *ტერმინოლოგიური მუშაობა, მთარგმნელობითი უწყება, ტერმინების თარგმნა, უწყებათშორისო ტერმინოლოგიური ბაზა.*

Mapping the Morphing Meanings: Identification and Representation of Contemporary Semantic Shifts in Lexicographical Works

Seda Hovhannisyan, Utpal Pandey

European Master in Lexicography students,
University of Erlangen-Nuremberg, Germany

sed.hovhannisyan456@gmail.com, utpalpandey20@gmail.com

Abstract: Human languages naturally evolve over time, and one significant aspect of this evolution is semantic change. Semantic change among others refers to the process that facilitates the evolution of languages. It can be defined as the association of an existing lexical form with a previously unregistered meaning (Lemnitzer, 2010 : 67) or as an innovation in the signified side of linguistic signs (Marečková, 2011 : 132). This process of semantic change is not sudden, nor is it entirely continuous; instead, it typically unfolds through a series of small steps (Blank, 2005 : 1325).

New meanings of words emerge through cognitive associations and contrasts in the real world. While there are no universal laws governing the process of language change, researchers have identified patterns and directions of semantic change (cf. Keller, 2003; Blank, 1997; Harm, 2000; Bechmann, 2013, 2016). This process can result in qualitative shifts such as amelioration or pejoration, as well as quantitative changes like broadening or narrowing of existing meanings. Keller (1989 : 113) proposes the ‘invisible hand theory’ to explain semantic change. It is a functional, reductional and individualistic theory, which defines this change as the causal cumulative consequence of intentional actions.

Kinne (1996 : 345) describes the formation of new meanings as a lengthy and difficult process, often more challenging to discern than the emergence and enforcement of entirely new words. Lemnitzer (2010, p. 72), in the context of digital lexicography, affirms that identifying new meanings of existing words using contemporary language technology tools remains a significant challenge. Therefore, this paper also aims to review recent advancements in language technology tools and how they can be employed to document and represent the evolving meanings of words in dictionaries.

As the title of this paper suggests, this work seeks to address two main questions: (1) how to determine whether a word has acquired a new meaning and (2) how to represent this new meaning in the lexicographical products. The answers to these questions will be sought in the vocabulary of the German language, which emerged as a response to the coronavirus pandemic. During the COVID-19 pandemic, a plethora of new words were coined, words were borrowed from other languages and existing words got new meanings. The website of the IDS (Leibniz-Institut für Deutsche Sprache), Mannheim features a list of neologisms coined during this pandemic. This list demonstrates that many existing lexical forms have now been associated with new meanings, such as ‘*bürgertest*’ (test of citizens), ‘*babyelefant*’ (baby elephant), ‘*Abklingzeit*’ (decay time), ‘*dauerwelle*’ (perm), and ‘*dunkelrot*’ (dark red) among others. An in-depth corpus-based analysis of these five words will be conducted to enhance our understanding of this phenomenon.

To answer the first question, a corpus containing approximately 5 million words related to the COVID-19 pandemic in the German language, will be utilized which has been created using Sketch Engine. The selected semantic neologisms within this corpus will be compared against a reference corpus in the Sketch Engine to ascertain whether these words have begun to appear in new contexts. The same process will be repeated with the corona corpus of the DWDS (Digitales Wörterbuch der deutschen Sprache). Additionally, the word frequency data (Wortverlaufskurven) and word profile (*Wortprofil*) from DWDS and word graphs (*Wortgraph*) from Wortschatz Leipzig will also be employed to detect changes in word usage frequency and collocation profiles, respectively. Both frequency of usage and collocation profiles are expected to provide valuable insights when tracking shifts in word meanings.

Once the emergence of a new meaning has been confirmed through frequency analysis and collocation profile, the semantic characteristics of the new collocations will be compared with the previous collocation. A similar approach, as used by Stathi (2006) in studying semantic changes in idiomatic expressions, can be applied to paraphrase and define the new meanings for dictionary entries. Thus, changes in the semantic features of words with which the word in question co-occurs can be utilized to formulate new paraphrases of the meanings for these words.

Keywords: *semantic change, semantic neologism, paraphrase of meaning, new meanings, distributional semantics, lexicography of neologisms, corpus lexicography.*

References:

Dictionaries

Neologismenwörterbuch. In OWID – Online Wortschatz-Informationssystem Deutsch, by Leibniz-Institut für Deutsche Sprache, Mannheim. <https://www.owid.de/docs/neo/start.jsp>

Books and Articles

Bechmann, S. (2013). *Bedeutungswandel deutscher Verben: Eine gebrauchstheoretische Untersuchung.* Narr.

Bechmann, S. (2016). *Sprachwandel – Bedeutungswandel.* utb.

Blank, A. (1997). *Prinzipien des lexikalischen Bedeutungswandels am Beispiel der romanischen Sprachen.* Max Niemeyer Verlag.

Blank, A. (2005). *Etymologie und Wortgeschichte III: Neue Zugänge zu semantischem Wandel.* In D. A. Cruse, F. Hundsnurscher, M. Job & P. R. Lutzeier (eds.): *Lexikologie: Ein internationales Handbuch zur Natur und Struktur von Wörtern und Wortschätzen* (pp. 1324-1332). 2. Halbbd. (HSK 21.2). De Gruyter Mouton. <https://doi.org/10.1515/9783110171471.2.29.1324>

Harm, V. (2000). *Regularitäten des semantischen Wandels bei Wahrnehmungsverben des Deutschen.* Franz Steiner Verlag Stuttgart.

Keller, R & Kirschbaum, I. (2003). *Bedeutungswandel: Eine Einführung.* De Gruyter. <https://doi.org/10.1515/9783110895315>

- Keller, R.** (1989). Invisible-Hand Theory and Language Evolution. *Lingua* 77, 113-127.
- Kinne, M.** (1996). Neologismus und Neologismenlexikographie im Deutschen: Zur Forschungsgeschichte und zur Terminologie, über Vorbilder und Aufgaben. *Deutsche Sprache*, 24(4), 327-358.
- Lemnitzer, L.** (2010). Neologismenlexikographie und das Internet. *Lexicographica* 26, 65-78. <https://doi.org/10.1515/9783110223231.1.65>
- Marečková, I.** (2011). Neologismus in den Presstexten: Zum Konzept des Neologismus in diesem Beitrag. *Slowakische Zeitschrift für Germanistik* 1(2). 56-66.
- Stathi, K.** (2006). Korpusbasierte Analyse der Semantik von Idiomen. *Linguistik Online* 27(2). <https://doi.org/10.13092/lo.27.744>.

შეცვლილ მნიშვნელობათა აღნუსხვა: თანამედროვე სემანტიკურ ცვლილებათა გამოვლენა და წარმოდგენა ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში

სედა ჰოვანისიანი, უტპალ პანდეი

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები,
ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტი, გერმანია

sed.hovhannisyan456@gmail.com, utpalpandey20@gmail.com

თეზისი: ენები ბუნებრივად ვითარდება დროთა განმავლობაში და ამ ევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სემანტიკური ცვლილებაა. სემანტიკური ცვლილება, სხვა საკითხთა შორის, ეხება პროცესს, რომელიც ენათა ევოლუციას უწყობს ხელს. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც არსებული ლექსიკური ფორმის ასოციაცია ადრე დაურეგისტრირებელ მნიშვნელობასთან (Lemnitzer, 2010 : 67), ან როგორც ინოვაცია ენობრივი ნიშნების აღსანიშნის მხარეზე (Marečková, 2011 : 132). სემანტიკური ცვლილების ეს პროცესი არც უეცარია და არც სრულიად უწყვეტი; ნაცვლად ამისა, იგი, როგორც წესი, პატარა-პატარა ნაბიჯებით ვითარდება (Blank, 2005 : 1325).

რეალურ სამყაროში სიტყვათა ახალი მნიშვნელობები კოგნიტიური ასოციაციებისა და კონტრასტების მეშვეობით წარმოიქმნება. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ენის ცვლილების პროცესის მარეგულირებელი უნივერსალური კანონები, მკვლევრებმა დაადგინეს სემანტიკური ცვლილების კანონზომიერებები და მიმართულებები (შდრ. Keller, 2003; Blank, 1997; Harm, 2000; Bechmann, 2013, 2016). ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ხარისხობრივი ცვლილება, როგორც მაგალითად მნიშვნელობის ამელიორაცია ან დამცრობა, ისევე როგორც რაოდენობრივი ცვლილებები, როგორც მაგალითად არსებულ მნიშვნელობათა გაფართოება ან დავიწროება. სემანტიკური ცვლილების ასახსნელად კელერი (Keller, 1989 : 113) „უხილავი ხელის“ თეორიას გვთავაზობს. ეს არის თეორია, რომელიც ამ ცვლილებას განსაზღვრავს როგორც განზრახ ქმედებათა მიზეზობრივ კუმულაციურ შედეგს.

კინე (Kinne, 1996 : 345) ახალ მნიშვნელობათა ფორმირებას აღწერს როგორც ხანგრძლივ და რთულ პროცესს, რომლის შემჩნევაც ხშირად უფრო რთულია, ვიდრე სრულიად ახალ სიტყვათა წარმოქმნა და დანერგვა. ლემნიცერი (Lemnitzer, 2010, p. 72), ციფრული ლექსიკოგრაფიის კონტექსტში, ამტკიცებს რომ არსებულ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების გამოვლენა თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიების ინსტრუმენტთა გამოყენებით სერიოზულ გამოწვევად რჩება. ამდენად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია აგრეთვე განვიხილოთ უახლესი მიღწევები ენობრივი ტექნოლოგიების ინსტრუმენტთა დარგში და ის, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება სიტყვების შეცვლილ მნიშვნელობათა ლექსიკონებში დოკუმენტირებისა და წარმოდგენის მიზნებისათვის.

როგორც თავად ამ ნაშრომის სათაურიც მიგვანიშნებს, მისი მიზანია ორი მთავარი საკითხის განხილვა: (1) როგორ დავადგინოთ, შეიძინა თუ არა სიტყვამ ახალი მნიშვნელობა და (2) როგორ წარმოვადგინოთ ეს მნიშ-

ვენელობები ლექსიკოგრაფიულ პროდუქტებში. ამ კითხვებზე პასუხების პოვნას ჩვენ ვეცდებით გერმანული ენის ლექსიკაში, რომელიც კორონავირუსის პანდემიის საპასუხოდ წარმოიქმნა. COVID-19-ის პანდემიის დროს შეიქმნა უამრავი ახალი სიტყვა, სიტყვები ნახესხები იქნა სხვა ენებიდან და არსებულმა სიტყვებმა ახალი მნიშვნელობები შეიძინა. მანჰაიმის IDS-ის (Leibniz-Institut für Deutsche Sprache³⁴) ვებსაიტზე წარმოდგენილია ამ პანდემიის დროს შექმნილი ნეოლოგიზმების სია. ეს სია გვაჩვენებს, რომ მრავალი არსებული ლექსიკური ფორმა ახლა უკვე ასოციირებულია ახალ მნიშვნელობებთან, როგორც მაგალითად *'bürgertest'* (მოქალაქეთა შემოწმება), *'babyelefant'* (პატარა სპილო), *'Abklingzeit'* (დაშლის პერიოდი), *'dauerwelle'* (თმის ქიმიური დახვევა), *'dunkelrot'* (მუქი წითელი) და სხვ. ამ მოვლენის უკეთ გასააზრებლად ჩატარდება ზემომოყვანილი ხუთი სიტყვის სიღრმისეული, კორპუსზე დაფუძნებული ანალიზი.

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვისარგებლებთ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული დაახლოებით 5 მილიონი გერმანული სიტყვისაგან შემდგარი კორპუსით, რომელიც „სკერ-ენჯინის“ გამოყენებით შეიქმნა. ამ კორპუსში შეტანილი სემანტიკური ნეოლოგიზმები შემდეგ შედარებული იქნება „სკერ-ენჯინში“ არსებულ რეფერენციალურ კორპუსთან, რათა დადგინდეს, დაიწყო თუ არა ამ სიტყვებმა ახალ კონტექსტებში გამოჩენა. იგივე პროცესი შემდეგ განმეორდება DWDS-ის (Digitales Wörterbuch der deutschen Sprache³⁵) კორონა-კორპუსთან მიმართებით. გარდა ამისა, სიტყვათხმარების სიხშირეში და კოლოკაციათა პროფილებში მომხდარ ცვლილებათა აღმოსაჩენად გამოყენებული იქნება სიტყვათა სიხშირული მონაცემები (*Wortverlaufskurven*) და სიტყვათა პროფილი (*Wortprofil*) DWDS-იდან და სიტყვათა გრაფები (*Wortgraph*) *Wortschatz Leipzig*-იდან. მოსალოდნელია, რომ როგორც სიტყვათხმარების სიხშირე, ასევე კოლოკაციათა პროფილები მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწოდის სიტყვათა მნიშვნელობებში მომხდარი წანაცვლებების ძიება-აღმოჩენის პროცესში.

როდესაც ახალი მნიშვნელობის წარმოქმნა დადასტურდება სიხშირის ანალიზისა და კოლოკაციათა პროფილის მეშვეობით, ახალ კოლოკაციათა სემანტიკური მახასიათებლები შედარებული იქნება წინა კოლოკაციასთან. ისეთივე მიდგომა, რომელიც გამოიყენა სტათიმ (Stathi, 2006) იდიომატურ გამოთქმებში მომხდარი სემანტიკური ცვლილებების კვლევისას, შეიძლება გამოყენებული იქნეს სალექსიკონო სიტყვა-სტატიებისთვის ახალ მნიშვნელობათა განსაზღვრის მიზნით. ამდენად, ცვლილებები სიტყვათა კოლოკაციებში, მათი კოლოკატების ცვლილებები, შეიძლება გამოვიყენოთ ამ სიტყვებისთვის მნიშვნელობათა ახალი დეფინიციის ფორმულირების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: სემანტიკური ცვლილება, სემანტიკური ნეოლოგიზმი, მნიშვნელობის განსაზღვრა, ახალი მნიშვნელობები, დისტრიბუციული სემანტიკა, ნეოლოგიზმების ლექსიკოგრაფია, კორპუსული ლექსიკოგრაფია.

თეზისი ქართულად თარგმნა გიორგი მელაძემ

34 ლაიპნიცის სახელობის გერმანული ენის ინსტიტუტი.

35 გერმანული ენის ციფრული ლექსიკონი.

On Some Issues of the Contrastive Study of Neologisms

(On the Material of Modern German and Georgian Languages)

Eliso Koridze

Kutaisi Akaki Tsereteli State University, Georgia

elisso.koridze@gmail.com

Abstract: The study of neologisms is one of the topical issues of modern German linguistics (Eisenberg, Busse, Elsen etc.). It is especially interesting to study the mentioned problem in a contrastive way, namely, in German and Georgian languages. In the Georgian, the contrastive examination of neologisms has a certain tradition, which is confirmed by individual lexicological or lexicographic works (Beliashvili, Lomidse etc.), but there are hardly any comparative and contrastive studies of German and Georgian neologisms.

In this direction, the following issues are interesting to discuss and study:

a) How does a neologism change according to its form and content, when and how does it „become Georgian“?

b) It is known that in the modern German language, most neologisms are presented in the form of verbs and nouns, adjectives and adverbs are less common. Is there a similar phenomenon in Georgia?

c) According to studies, in some languages, including German, the so-called „False neologisms“ dominate. It is interesting to represent, describe and compare them with Georgian.

d) How large is the number of neologisms whose equivalents are already functioning and established in the Georgian language?

e) What are the traces of other languages in the neologisms of German and Georgian languages, for example, the influence of Russian in Georgian neologisms: ტრი დე პრინტერი, პერელოზირება და სხვა. (3D-printer, overdose, etc).

f) How long does a new word function as a neologism? What is the time factor in the functioning of neologism?

g) Is there a coincidence between German and Georgian neologisms and barbarisms, because in general the delimitation of the boundaries of neologisms and barbarisms is one of the interesting and controversial issues of modern linguistics.

The comparative study of neologisms in German and Georgian languages can be limited to any functional language, because the areas of distribution of neologisms are the language of mass media, political and economic vocabulary, concepts and designations related to computer technologies, sectoral vocabulary, speech related to specific social groups, linguistic units marked with gender signs, etc.

The study will be based on the dictionary of neologisms (OWID, Neologismenwörterbuch) located on the online platform of the Leibniz Institute for the German Language in Mannheim (IDS – Leibniz Institut für Deutsche Sprache Mannheim), recognized in the German space.

The results of the research can be the basis of **the dictionary of neologisms of the German and Georgian languages**, in which the conclusions obtained from the study of the issues presented above will be taken into account. It should be noted that the existing tradition of creating German-Georgian bilingual dic-

tionaries is quite rich and diverse. Dictionaries of descriptive, sectoral and special languages developed at different times at a high lexicographic level can be found in the Georgian space. **The dictionary of German-Georgian invariant words**, which was published in two parts and prepared within the framework of the existing partnership between Akaki Tsereteli University of Kutaisi and Friedrich Schiller University of Jena (GIP DAAD), takes into account the mentioned experience and is based on the latest concepts. While working on the dictionary, we relied on modern scientific literature, the principles and structure of the latest dictionaries, took into account the advice and instructions of our German colleagues, etc.

We think that when creating a new dictionary, it will be necessary to take into account the fact that the formation of neologisms is determined by linguistic regularities – word formation processes, borrowings, etc. But, such linguistic units are not always neologisms. The mentioned fact creates a great difficulty for the authors of dictionaries, because, accordingly, it is not easy to determine their status and to fix them in the list of neologisms. The main characteristic, on the basis of which it can be determined whether a particular word is a neologism, is to determine the position of the presented unit in the lexical dimension of the language. If it is already firmly established and appears as part of the active vocabulary, it loses the status of a neologism, a new word, and is recorded in normative dictionaries. Accordingly, in this regard, the dictionary of neologisms offered by the Mannheim German Language Institute, which fully presents the neologism body of the modern German language, will be of great help to us.

Keywords: *neologisms, German, English, contrastive study, dictionary of neologisms.*

References:

- ბელიაშვილი, თ. (2015). ნეოლოგიზმების ფუნქციონირება ქართულ და ფრანგულ მედიადისკურსში. *სპეკალი*. მე-9 ნომერი. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/9/83>
- დუმბაძე, ს. (2017). ლინგვისტური ნეოლოგია და ოკაზიონალიზმების ფუნქციონირება ინგლისურ და ქართულ ენებში. სადოქტორო დისერტაცია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ლომიძე, კ. (2005). ანგლიციზმების ორთოგრაფიული, ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციის ტიპები ქართულ ენაში. საენათმეცნიერო ძიებანი. 28. თბილისი.
- Eisenberg, P. (2018). *Das Fremdwort im Deutschen*. de Gruyter.
- Busse, U. (1996). Neologismen. Der Versuch einer Begriffsbestimmung. In: Gellerstam, Martin/Järnberg, Jerker/Malmgren, Sven-Göran/ Norén, Kerstin/Rogström, Lena/Papmehl, Catarina Rödger (Hg.): *Euralex* ,96. *Proceedings I-II*. Papers submitted to the Seventh EURALEX International Congress on Lexicography in Göteborg, Sweden, Part II. Göteborg.
- Busse, U. (2001). Typen von Anglizismen: von der heilago geist bis Extremsparng – aufgezeigt anhand ausgewählter lexikographischer Kategorisierungen. In: Stickel, Gerhard (Hg.): *Neues und Fremdes im deutschen Wortschatz. Aktueller lexikalischer Wandel*. Berlin/New York Jahrbuch Institut für Deutsche Sprache.

- Busse, U.** (2004). Anglizismen in Deutschland. Historische Entwicklungen, Klassifizierung, Funktion(en) und Einstellungen der Sprachteilhaber. In: Moraldo, Sandro M. (Hg.): *Deutsch aktuell. Einführung in die Tendenzen der deutschen Gegenwartssprache*. Band 1. Theoretische und praktische Probleme der Neologismenlexikographie. Berlin.
- Elsen, H.** (2011). *Neologismen. Formen und Funktionen neuer Wörter in verschiedenen Varietäten des Deutschen*. BoD – Books on Demand.
- Innerwinkler, S.** (2015). *Neologismen. Literaturhinweise zur Linguistik*. Band I. Herausgegeben im Auftrag des Instituts für Deutsche Sprache von Elke Donalies und Carolin Müller-Spitzer. Universitätsverlag Winter Heidelberg.
- Kinne, M.** (1996): Neologismus und Neologismenlexikographie im Deutschen: In: *Deutsche Sprache* Jg. 24. Nr. 4.
- Teubert, W.** (1998): Korpus und Neologie. In: W. Teubert, *Neologie und Korpus*. Tübingen. OWID – A dictionary net for corpus-based lexicography of contemporary German.
<https://euralex.org/publications/owid-a-dictionary-net-for-corpus-based-lexicography-of-contemporary-german/>

ნეოლოგიზმების კონტრასტული კვლევის ზოგიერთი საკითხისათვის

(თანამედროვე გერმანული და ქართული ენების მასალაზე)

ელისო ქორიძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

elisso.koridse@gmail.com

თეზისი: ნეოლოგიზმების კვლევა წარმოადგენს თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს (აიზენბერგი, ბუსე, ელსენი და სხვ.). განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული პრობლემატიკის შესწავლა შეპირისპირებით პლანში, კერძოდ, გერმანულ და ქართულ ენებში. ქართულ სივრცეში, ნეოლოგიზმების კონტრასტულად გამოკვლევას გარკვეული ტრადიცია გააჩნია, რასაც ადასტურებს ცალკეული ლექსიკოლოგიური თუ ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (ბელიაშვილი, ლომიძე და სხვ.). მაგრამ თითქმის არ არსებობს გერმანული და ქართული ნეოლოგიზმების შედარებითი და შეპირისპირებითი კვლევები.

ამ მიმართულებით საინტერესოა შემდეგი საკითხების განხილვა და შესწავლა:

ა) როგორ იცვლება ნეოლოგიზმი ფორმისა და შინაარსის მიხედვით, როდის და როგორ ხდება მისი „გაქართულება“?

ბ) ცნობილია, რომ თანამედროვე გერმანულ ენაში, უმეტესი ნეოლოგიზმები წარმოდგენილია ზმნებისა და არსებითი სახელების სახით, უფრო მცირეა ზედსართავი სახელები და ზმნიზედები. არის თუ არა იგივე მოვლენა ქართულშიც?

გ) კვლევების თანახმად, ზოგ ენაში, ასევე გერმანულშიც, დომინირებენ ე.წ. „ცრუ ნეოლოგიზმები“. საინტერესოა მათი წარმოდგენა, აღწერა და ქართულთან შედარება.

დ) რამდენად დიდია იმ ნეოლოგიზმების რიცხვი, რომელთა ეკვივალენტებიც უკვე ფუნქციონირებენ და დამკვიდრებულია ქართულ ენაში?

ე) როგორია სხვა ენების კვალი გერმანული და ქართული ენების ნეოლოგიზმებში, მაგალითად, რუსულის გავლენა ქართულ ნეოლოგიზმებში: ტრი დე-პრინტიერი, პერედოზირება და სხვ.

ვ) რამდენ ხანს ფუნქციონირებს ახალი სიტყვა როგორც ნეოლოგიზმი? როგორია დროითი ფაქტორი ნეოლოგიზმის ფუნქციონირებისას?

ზ) არის თუ არა თანხვედრა გერმანულ და ქართულ ნეოლოგიზმებსა და ბარბარიზმებს შორის, რადგან ზოგადად ნეოლოგიზმებისა და ბარბარიზმების საზღვრების გამიჯვნა არის თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ საინტერესო და საკამათო საკითხი.

ნეოლოგიზმების შეპირისპირებითი კვლევა გერმანულ და ქართულ ენებში შეიძლება შემოიფარგლოს რომელიმე ფუნქციური ენით, რადგან ნეოლოგიზმების გავრცელების არეალებია მასმედიის ენა, პოლიტიკური და ეკონომიკური ლექსიკა, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ცნებები და აღნიშვნები, დარგობრივი ლექსიკა, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებთან დაკავშირებული მეტყველება, გენდერული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები და სხვ.

კვლევა დაეყრდნობა გერმანულ სივრცეში აღიარებულ მანჰაიმის ლაიბნიცის გერმანული ენის ინსტიტუტის (IDS – Leibniz Institut für Deutsche Sprache Mannheim) ონლაინპლატფორმაზე განთავსებულ ნეოლოგიზმების ლექსიკონს (OWID, Neologismenwörterbuch).

კვლევის შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს **გერმანული და ქართული ენების ნეოლოგიზმების ლექსიკონს**, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოთ წარმოდგენილი საკითხების შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები. აღსანიშნავია, რომ გერმანულ-ქართული ორენოვანი ლექსიკონების შექმნის მხრივ არსებული ტრადიცია საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ქართულ სივრცეში მოიპოვება სხვადასხვა დროს მაღალ ლექსიკოგრაფიულ დონეზე დამუშავებული, როგორც აღწერითი, ასევე დარგობრივი და სპეციალური ენების ლექსიკონები. აღნიშნულ გამოცდილებას ითვალისწინებს და უახლეს კონცეპციებს ეყრდნობა ჩვენ მიერ შექმნილი ნაშრომი **გერმანულ-ქართული ფორმაუცვლელი სიტყვების ლექსიკონი**, რომელიც გამოიცა ორ ნაწილად და მომზადდა ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტსა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტს შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში (GIP DAAD). ლექსიკონზე მუშაობისას დავეყრდენით თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურას, უახლესი ლექსიკონების აგების პრინციპებსა და სტრუქტურას, გავითვალისწინეთ ჩვენი გერმანელი კოლეგების რჩევები და მითითებები და სხვა.

ვფიქრობთ, ახალი ლექსიკონის შექმნისას გასათვალისწინებელი იქნება ის გარემოებაც, რომ ნეოლოგიზმების წარმოქმნა განისაზღვრება ენობრივი კანონზომიერებებით – სიტყვათწარმოებითი პროცესები, ნაწესხობები და ა.შ. მაგრამ, ამგვარი ენობრივი ერთეულები ყოველთვის არ არის ნეოლოგიზმები. აღნიშნული ფაქტი დიდ სირთულეს უქმნის ლექსიკონების ავტორებს, რადგან, შესაბამისად, არ არის იოლი მათი სტატუსის განსაზღვრა და ნეოლოგიზმთა რიგში დაფიქსირება. მთავარ მახასიათებელს, რის საფუძველზეც შეიძლება დაზუსტდეს, არის თუ არა კონკრეტული სიტყვა ნეოლოგიზმი, წარმოადგენს იმის დადგენა, რა პოზიცია უჭირავს წარმოდგენილ ერთეულს ენის ლექსიკურ განზომილებაში. თუ ის უკვე მყარადაა დამკვიდრებული და აქტიური ლექსიკური მარაგის შემადგენლობაში გვევლინება, კარგავს ნეოლოგიზმის, ახალი სიტყვის სტატუსს და დაფიქსირებულია ნორმატიულ ლექსიკონებში. შესაბამისად, ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევს მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ნეოლოგიზმთა ლექსიკონი, რომელშიც სრულადაა წარმოდგენილი თანამედროვე გერმანული ენის ნეოლოგიზმთა კორპუსი.

საკვანძო სიტყვები: *ნეოლოგიზმები, გერმანული, ქართული, კონტრასტული კვლევა, ნეოლოგიზმების ლექსიკონი.*

Merging Old and New Methodologies: a Corpus-driven Study on Italian Lexical Blends

Mauro Le Donne

University for Foreigners of Perugia, Italy, Ph.D. student

mauro.ledonne@unistrapg.it

- Santos, C., & Costa, R.** (2015). Domain specificity: semasiological and onomasiological knowledge representation. In H. J. Kockaert & F. Steurs (Eds.), *Handbook of terminology*, (Vol. 1, pp. 153-179). John Benjamins. <https://doi.org/10.1075/hot.1>
- Taljard, E.** (2015). Collocations and grammatical patterns in a multilingual online term bank. *Lexikos*, 25(1), 387-402. <https://doi.org/10.5788/25-1-1304>
- Temmerman, R.** (2000). Training terminographers: The sociocognitive approach. In U. Heid, S. Evert, E. Lehmann & C. Rohrer (Eds.), *Proceedings of the 9th EURALEX International Congress* (pp. 453-460). Institut für Maschinelle Sprachverarbeitung. <https://euralex.org/publications/training-terminology>

Other sources:

English-Georgian Parallel Corpus = Ilia State University (n.d.). Parallel Corpus. <https://corp.dict.ge/>

Georgian Explanatory Dictionary = Language Modeling Association (n.d.). Explanatory Dictionary. <http://ena.ge/explanatory-online>

IATE = IATE European Union Terminology (n.d.). IATE (Interactive Terminology for Europe). <https://iate.europa.eu/home>

International Auditing and Assurance Standards Board. (2020). *Handbook of international quality control, auditing, review, other assurance and related services pronouncements* (Vol. 1, Vol. 2, Vol. 3).

LDOCE Online = Longman (n.d.). Longman Dictionary of Contemporary English Online. <https://www.ldoceonline.com/>

Linguee = DeepL SE (n.d.). Linguee English-German Dictionary. <https://www.linguee.com/> Merriam-Webster = Merriam-Webster (n.d.). Merriam-Webster Online. <https://www.merriamwebster.com/>

Sketch Engine = Lexical Computing CZ S.R.O. (n.d.). Sketch Engine. <https://www.sketchengine.eu/>

კოლოკაციები დარგობრივ კონტექსტში: ფინანსური აუდიტის ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ბაზის მოდელირებისთვის

ქეთევან ჭილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის მაგისტრი

ketitchighladze@gmail.com

თეზისი: ტერმინოლოგიამ, როგორც დარგმა და მისმა კვლევის მე-თოდებმა დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა – თუ ტრადიციული შეხედულებით ტერმინი განიხილებოდა როგორც უბრალოდ დარგობრივი ცნებების სახელდების საშუალება, დღეს მეტად გავრცელებულია უფრო კომპლექსური მიდგომა, რომლის თანახმადაც ტერმინი განიხილება ენის (ამ შემთხვევაში რომელიმე დარგობრივი/სპეციალიზებული ენის) ლექსიკური მარაგის სრულფასოვან წევრად, რომელთა შესწავლა და აღწერა შეიძლება მოხდეს ზუსტად ისე, როგორც ენის სხვა ლექსიკური ერთეულებისა. შეხედულებათა მსგავსი ცვლილება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორებიცაა, მაგალითად, სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების შედარებით მჭიდრო ურთიერთკავშირი, გლობალურ დონეზე ინფორმაციის გაცვლის აჩქარებული ტემპი, ზოგად და დარგობრივ ენაში ტერმინთა შექმნის/ფორმირების პროცესების დამსგავსება. ტერმინოლოგიის კვლევებში ერთ-ერთი თანამედროვე და ახალი ასპექტია იმ დარგობრივი კოლოკაციების/შესიტყვებების (ასევე მოიხსენიებენ, როგორც სპეციალიზებულ ლექსიკურ კომბინაციებს) შესწავლა, რომლებიც დამოკიდებულია კონტექსტზე და რომელზეც გავლენას ახდენს კონკრეტული დარგის ცნებათა სტრუქტურა/მოწყობა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დარგი ხასიათდება თავისი სპეციფიკით. მათი კონცეპტუალური სისტემები და შესაბამისი ტერმინოლოგია განსხვავებულია. ამ საკითხის შესწავლა კიდევ უფრო მეტ ცოდნასა და დაკვირვებას მოითხოვს, როდესაც საქმე ეხება ტერმინოლოგიური სისტემებისა და მათი კონტექსტური მახასიათებლების აღწერას ორ ან მეტ ენაში, განსაკუთრებით იმ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან მეტი საერთაშორისოობით და ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ჩვენს ყოველდღიურობაში. ერთ-ერთი ასეთია სწორედ ფინანსური სფერო და მასში შემავალი ქვედისციპლინები – ბუღალტერია და აუდიტი.

მოცემული კვლევის მიზანი იყო სწორედ ფინანსური აუდიტის ტერმინოლოგიის კონცეპტუალური და ლინგვისტური მახასიათებლების შესწავლა და ამაზე დაყრდნობით ამ დარგის სპეციფიკაზე მორგებული ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ონლაინ ტერმინოლოგიური ბაზის საწყისი მოდელის შექმნა.

კვლევის ჩასატარებლად შეიქმნა ერთი მხრივ ინგლისურენოვანი დარგობრივი კორპუსი კორპუსის მენეჯერისა და ტექსტის ანალიზის პროგრამის, Sketch Engine-ის გამოყენებით. კორპუსი მოიცავს ფინანსური აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ტექსტებს. სტანდარტებში გამოყენებული ფინანსური აუდიტის ტერმინებისა და შესაბამისი კოლო-

კაციების ამოსაღებად გამოყენებულ იქნა Sketch Engine-ის სხვადასხვა ინსტრუმენტები – Automatic Keyword Extraction, Word Sketch, CQL. მეორე მხრივ, ქართულ ენაზე შესაბამისი მონაცემების გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის ქვეკორპუსი – საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი – რომელიც ზუსტად იდენტურ ტექსტებს შეიცავს ინგლისურ-ქართულ ენებზე.

კვლევისას, ერთი მხრივ, შესწავლილ იქნა ფინანსური აუდიტის იმ ტერმინების კონცეპტუალური და ლინგვისტური მახასიათებლები, რომლებმაც გაიარეს ტერმინოლოგიზაციის პროცესი. მეორე მხრივ, კი გავაანალიზეთ შერჩეული ტერმინების და ზოგად ენაში მათი იდენტური ლექსიკური ერთეულების კოლოკაციური თავისებურებანი როგორც დარგობრივ, ისე ზოგად კონტექსტებში, ორივე – ინგლისურ და ქართულ ენებზე. ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნიუანსები სხვადასხვა კონტექსტში ტიპური კოლოკაციების შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით.

დასკვნების საფუძველზე, შემუშავებულ იქნა ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ონლაინ ტერმინოლოგიური ბაზის საწყისი მოდელი. აღნიშნული მოდელი მოიცავს მონაცემთა კატეგორიებს (როგორებიცაა, მაგალითად, ტერმინის სტატუსი, ძირითადი განმარტება, განმარტებითი შენიშვნა, კონტექსტი, კოლოკაციები, გამოყენებასთან დაკავშირებული შენიშვნა და ა.შ.), რომლებსაც შეუძლიათ ზუსტად ასახონ ფინანსური აუდიტის ტერმინების კონცეპტუალური და ენობრივი მახასიათებლები, რაც პოტენციურ მომხმარებლებს დაეხმარება მოცემულ დარგში ორივე ენაზე ინფორმაციის მარტივად კოდირებასა და დეკოდირებაში.

ტერმინოლოგიური ბაზის შემოთავაზებული სტრუქტურა ასახავს შესწავლილი ტერმინოლოგიის მრავალფეროვან ნიუანსებსა და სირთულეებს. მოდელს აქვს შესაძლებლობა გახდეს ღირებული რესურსი, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება ჰქონდეთ წვდომა და მარტივად გაიგონ ცნებათა რთული ტექნიკური განმარტებები, მიიღონ ინსტრუქციები სხვადასხვა კონტექსტში დარგობრივი ტერმინებისა და კოლოკაციების სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით. გვჯერა, რომ შემოთავაზებული მოდელი გააადვილებს ტერმინოლოგიური ინფორმაციის ზუსტ და ეფექტურ მოძიებას და ხელს შეუწყობს ეფექტურ კომუნიკაციას ინგლისურ და ქართულ ენებზე.

საკვანძო სიტყვები: ორენოვანი ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ბაზა, ფინანსური აუდიტის ტერმინოლოგია, დარგობრივი კოლოკაციები, ტერმინოლოგიზაცია.

Explanatory Combinatorial Dictionary Article for

ლვინო *ghvino* „wine“

Ketevan Tevdoradze

European Master in Lexicography, Georgia

tevdoradzeketi@yahoo.com

Abstract: The aim of my study is, to describe the term ლვინო *ghvino* ‘wine’ according to the Explanatory Combinatorial Lexicography, to discuss the culture-specific terms related to ლვინო *ghvino* ‘wine’.

Combinatorial Lexicography focuses on lexical units, their meanings, particularly, on their combinations. The field of Combinatorial Lexicography has been gaining increasing attention in recent years, especially in the context of culture-specific terminology, a set of words, expressions, and symbols that are specific to a particular culture or subculture. Understanding the meanings and combinations of such terminology is crucial for cross-cultural communication and effective translation.

We come across rich culture-related vocabulary in the language of a society, for whom wine culture is characteristic and traditional. This is also true for the Georgian language, which is characterized by an abundance of wine terminology, as the wine-making tradition has a centuries-old history in Georgia. The domain is represented with its orderly terms. This is natural, as wine production and winemaking, including consumption, is a long chain process, which lasts for several months and needs many components: human resources, necessary material for getting wine (grapes or fruit), a suitable place for wine producing, vessels, necessary tools for wine-producing or consuming, the process of making wine, tasting, consumption, advertising, selling... All the above-mentioned aspects of wine-making, all participants involved in the whole process or procedures have their appurtenant terms, which express relevant concepts scrupulously.

Combinatorial Lexicography provides a framework for analyzing the structure and meaning of cultural terminology. This approach involves the study of collocations, which are words that commonly occur together. By analyzing the collocations, we can gain insights into the cultural context that surrounds the terminology.

The study of collocations of the Georgian word ლვინო *ghvino* ‘wine’ reveals many synonymous words for denoting high-quality wine in Georgian: კეთილი *ketili* (literally: ‘kind, noble’); სამარკო *samarko* (literally: ‘vintage, ‘fine’); თავი *tavi* (literally: ‘top-quality, ‘best’); თავანკარა *tavankara* (literally: ‘pure’); შუმბი *shumi* (literally: ‘pure, ‘untainted’), წყალშეურეველი *tskalsheureveli* (literally: ‘pure, ‘unadulterated’); ხატის *khatis* (literally ‘pure’); ცქრიალა *tskvriala* (literally: ‘lively, ‘vivacious’); ჩინებული *chinebuli* (literally: ‘excellent, ‘exceptional’), etc. Interestingly, there are as many terms for sour, low-quality wine in Georgian. The possible explanation for the abundance of such terms may be the fact that wine was produced virtually in every household in Georgia, including poor families: ბჟუქურა *bzhukura* (literally: ‘sour’); შვლაპი *shvlapi* (literally: ‘sour’); ტანგმოდებული *tchangmodebuli* (literally: ‘turned sour’); წყალწყალა *tsqaltsqala* (literally: ‘watery, ‘adulterated’, მჭ(ვ)ახე *mch(v)akhe* (literally: ‘tart, ‘sour’; ნაკებნი

nakbeni ('turned soured/corked' (literally: 'bitten')). If we observe carefully, we will see that the English equivalents for all those Georgian lexical units, in the majority of cases, are either 'pure', 'top-quality', or 'sour', which cannot express the lexical richness of corresponding Georgian concepts.

The term ღვინო *ghvino* 'wine' has 2 meanings in Georgian: wine 1 means the wine made out of grape juice, which is the first sense of the vocable and the second sense, wine 2 means wine, made out of other fruits: cherry-laurel, blackberry, apple, cherry, danewort.

In my talk, I will present the dictionary entry for the term ღვინო *ghvino* 'wine', compiled by me, according to the Explanatory Combinatorial Lexicography of I. Mel'čuk. The term will only be discussed in its first sense (wine made out of grape juice).

In conclusion, Combinatorial Lexicology is a valuable framework for understanding the structure and meaning of culture-specific terminology across different communities. By analyzing the collocations Combinatorial Lexicography provides insight into the cultural context that surrounds the terminology. Understanding culture-specific terminology is essential for effective cross-cultural communication, translation, and the appreciation of cultural diversity.

Keywords: *Explanatory Combinatorial Lexicography, Georgian, culture-specific terms, wine.*

References:

- Mel'čuk, I.A. & L. Wanner (1996). „Lexical Functions and Lexical Inheritance for Emotion Lexemes in German”. *Lexical Functions in Lexicography and Natural Language Processing*, ed. by L. Wanner. 209–278. Amsterdam: Benjamins Academic Publishers.
- Mel'čuk, I.A (2013). „Explanatory Combinatorial Dictionary [=ECD]”. *Studies in Language Companion Series* 135. 259–376. Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- Mel'čuk, I.A, Polguère A (2018). „Theory and Practice of Lexicographic Definition”. *Journal of Cognitive Science* 19-4:417-470. Institute for Cognitive Science, Seoul National University.

სიბჟავა-სტაბია „ღვინო“ განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონის მიხედვით

ქეთევან თევდორაძე

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის მაგისტრი, საქართველო

tevdoradzeketi@yahoo.com

თეზისი: ჩემი კვლევის მიზანია აღვწერო ტერმინი „ღვინო“ განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოგრაფიის პრინციპების მიხედვით, განვიხილო „ღვინოსთან“ დაკავშირებული ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინები.

კომბინატორული ლექსიკოგრაფია ფოკუსირებულია ლექსიკურ ერთეულებზე, მათ მნიშვნელობებზე, კერძოდ, მათ შესიტყვებებზე. კომბინატორული ლექსიკოგრაფია სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს ბოლო წლებში, განსაკუთრებით კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის კონტექსტში. ესაა სიტყვები, გამოთქმები, სიმბოლოები, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული კულტურისათვის. მათი სწორად გაგება და ინტერპრეტაცია მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი კავშირისა და ეფექტური თარგმნისათვის.

ჩვენ ვხვდებით „ღვინოსთან“ დაკავშირებულ მდიდარ ლექსიკას იმ საზოგადოების ენაში, რომლისთვისაც ეს კულტურა დამახასიათებელი და ტრადიციულია. ეს ენება ქართულ ენასაც, რომელიც გამოირჩევა ღვინის ტერმინოლოგიის სიუხვით, ვინაიდან ღვინის დამზადების ტრადიციას საუკუნობრივი ისტორია აქვს საქართველოში. დარგი წარმოდგენილია თავისი შესაბამისი ტერმინებით. ღვინის წარმოება და მეღვინეობა, მოხმარების ჩათვლით, გრძელი ჯაჭვური პროცესია, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება და ბევრ კომპონენტს მოიცავს: ადამიანურ რესურსებს, საჭირო მასალებს ღვინის მისაღებად (ყურძენი ან ხილი), შესაფერის ადგილს ღვინის დასამზადებლად, ჭურჭელს, საჭირო დანადგარებს ღვინის დასამზადებლად, ღვინის წარმოების პროცესს, დაჭაშნიკებას, მოხმარებას, რეკლამირებას, გაყიდვას და ა.შ. ღვინის წარმოების ყველა ამ ასპექტს თავისი შესაბამისი ტერმინები აქვს, რომლებიც ზედმიწევნით გამოხატავენ შესაბამისი ცნებებს.

კომბინატორული ლექსიკოლოგრაფია ქმნის თეორიულ ჩარჩო ამა თუ იმ კულტურისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის სტრუქტურისა და მნიშვნელობის გასაანალიზებლად. ეს მიდგომა დიდ ყურადღებას აქცევს შესიტყვებების შესწავლას, რადგან სწორედ მათი ანალიზი გვაძლევს საშუალებას ჩავწვდეთ ამგვარი ტერმინოლოგიის არსს, იმ კულტურულ კონტექსტს, რომლითაც მოცულია ეს ტერმინოლოგია.

ქართული სიტყვა 'ღვინის' შესიტყვებების შესწავლა ბევრ სინონიმურ სიტყვას ავლენს მაღალი ხარისხის ღვინის გამოსახატად: კეთილი, სამარკო, თავი, თავანკარა, შუმი, წყალშეურეველი, ხატის, ცქრიალა, ჩინებული და ა.შ. საინტერესოა, რომ ბევრი ტერმინია ასევე მჟავე, დაბალხარისხიანი ღვინისათვის ქართულში. ასეთი ტერმინების სიჭარბის შესაძლო ახსნა შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ღვინო

მზადდება ფაქტობრივად ყველა ოჯახში, ღარიბი ოჯახების ჩათვლით: ბჟუქურა, შვლაპი, ჭანგმოდებული, წყალწყალა, მჭ(ვ)ახე, ნაკბენი და სხვა. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ინგლისური ეკვივალენტი ყველა ამ ქართული ლექსიკური ერთეულისათვის უმეტეს შემთხვევაში არის ან 'pure', 'top-quality' ან 'sour', რომელიც არ გამოხატავს ქართულ ენაში ლექსიკალიზებული ცნებების სიმრავლესა და სიმდიდრეს.

ტერმინ „ღვინოს“ 2 მნიშვნელობა აქვს ქართულში: პირველი მნიშვნელობა აღნიშნავს ღვინოს, რომელიც დამზადებულია ყურძნის წვენიდან, ხოლო მეორე მნიშვნელობა ნიშნავს ღვინოს, რომელიც სხვა ხილისგან კეთდება: წყავი, მაყვალი, ვაშლი, ალუბალი, ანწლი.

ჩემს მოხსენებაში წარმოვადგენ ჩემ მიერ შედგენილ სალექსიკონო სიტყვა-სტატიას ტერმინი „ღვინისათვის“, ი. მელჩუკის განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოლოგიის პრინციპების მიხედვით. ტერმინი განხილული იქნება მხოლოდ მისი პირველი მნიშვნელობით (ღვინო, რომელიც დამზადებულია ყურძნის წვენიდან).

კომბინატორული ლექსიკოლოგია მნიშვნელოვანი თეორიული ჩარჩოა კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის სტრუქტურისა და მნიშვნელობის გასაგებად. შესიტყვებების ანალიზით კომბინატორული ლექსიკოგრაფია უზრუნველყოფს ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული კულტურული კონტექსტის სიღრმისეულ წვდომას. ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის სწორად გაგება მნიშვნელოვანია ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაციის, თარგმნისა და კულტურული განსხვავებების აღქმისათვის.

საკვანძო სიტყვები: განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოგრაფია, ქართული ენა, კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინები, ღვინო.

Dictionary Use in Teaching English

Tinatín Vardidze

Samtskhe-Javakheti State University, Georgia

vardidzetinatín@gmail.com

Abstract: The paper presents the results of the study which aimed to identify the importance of dictionary use in ESL classroom when teaching polysemous nouns. It also aimed to investigate the effectiveness of teaching polysemous nouns through an innovative method that I call a similarity-based approach (SBA) and to compare it to the translation-based vocabulary instruction method (TBM). The objective of the study was to show how guiding students' comprehension of a polysemous word through semantic relations and the use of dictionary entry improves their understanding. At the same time, it was the aim of the study to demonstrate the effectiveness of the similarity-based instruction by teaching vocabulary through showing semantic relations of word meanings presented in dictionaries to learners compared to the old, traditional way of memorizing words. The results of the study revealed that through SBA students remember the vocabulary better compared to the traditional method of memorization. SBA might represent a new approach in teaching polysemous vocabulary to learners, while TBM implies a traditional, well rooted way of teaching polysemous words in ESL classrooms.

Methods of teaching vocabulary vary from teacher to teacher. The preferred method of teaching new vocabulary to learners is limited to repeating words after the teacher, spelling them and finally memorizing the list, and in most cases focusing on the first, main meaning of a word presented in dictionaries. This method of memorization has a low rate of retention because there is no context or definition to help students in the future. It is observed that when a student simply memorizes a word without proper perception of the sense there is high likelihood to fail to recall it later on. If two children of the same age are compared, they will likely show a range of differences in abilities for memorization.

Vocabulary is a fundamental part of a language and vitally important for language learners. David Wilkins (Wilkins, 1972, pp. 111 – 112) points out: „without grammar very little can be conveyed, without vocabulary nothing can be conveyed”. Therefore, identifying best practices in teaching vocabulary in order to opt for the best one for your students is of high importance. Looking back at teaching methods, vocabulary has gone through a number of phases ranging from old methods of memorization to various classroom activities, but until recently polysemy has been viewed as one of the most important topics for experimenting.

Vocabularies of developed languages are huge. Fortunately, we know that it is possible to get along in English with fewer than 10,000 words (Nation, 2006). High frequency words that are found in any English language dictionary with numerous meanings assist us to convey the message and there is no necessity to acquire very many words in order to process and produce the language. First three thousand words are believed to be enough in order to produce the language, however, we should decide which words or which meanings to choose when making an effort to teach vocabulary.

In my speech I will present a detailed plan of a lesson, including pre-lesson and post-lesson tests.

Keywords: *teaching English, dictionary use, polysemous nouns, similarity-based method.*

References:

- Wilkins, D. A.** (1972). *Linguistics in Language Teaching*. London: Edward Arnold.
- Nation, I.S.P.** (2006). How large a vocabulary is needed for reading and listening? *Canadian Modern Language Review*, 63 (1), 59 – 81.

ლექსიკონის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში

თინათინ ვარდიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

vardidzetatin@gmail.com

თეზისი: ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა ლექსიკონის გამოყენების მნიშვნელობის ანალიზს ინგლისური ენის, როგორც მეორე უცხო ენის სწავლებისას, განსაკუთრებით, პოლისემიური არსებითი სახელების სწავლების პროცესში. განხორციელებული კვლევა ასევე მიზნად ისახავდა შეესწავლა მრავალმნიშვნელობიანი არსებითი სახელების სწავლების ეფექტურობა ინოვაციური მეთოდით, რომელსაც მე ვუწოდებ მსგავსებაზე დაფუძნებულ მეთოდს (Similarity-based Approach – SBA) და შეედარებინა იგი სიტყვის თარგმანზე დაფუძნებული მეთოდისთვის (Translation-based Method – TBM). კვლევის მიზანი იყო ეჩვენებინა, თუ როგორ აუმჯობესებს სიტყვის მნიშვნელობის გაგების პროცესს მოსწავლეებისათვის პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობებს შორის არსებული სემანტიკური კავშირების დანახვა-აღქმა და ამისათვის სალექსიკონო სიტყვა-სტატიის გამოყენება. ამავდროულად, კვლევის მიზანი იყო მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომის ეფექტურობის დემონსტრირება ლექსიკონების გამოყენების გზით, ლექსიკონებში წარმოდგენილი სიტყვების მნიშვნელობების სემანტიკური მსგავსებების ჩვენებით, სიტყვების დამახსოვრების ძველ, ტრადიციულ მეთოდთან შედარებით. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ SBA-ს მეშვეობით მოსწავლეებს უფრო კარგად ამახსოვრდებათ ლექსიკა, ვიდრე ტრადიციული დამახსოვრების მეთოდით. მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდი შეიძლება გახდეს ახალი მეთოდი პოლისემიური ლექსიკის სწავლებისას.

ლექსიკის სწავლების მეთოდები განსხვავდება მასწავლებლებს შორის. მოსწავლეებისთვის ახალი ლექსიკის სწავლების სასურველი მეთოდი შემოიფარგლება კარნახის მეთოდით – მასწავლებლის შემდეგ სიტყვების გამეორებით, მართლწერით და ბოლოს სიტყვათა ჩამონათვალის დაზეპირებით და უმეტეს შემთხვევაში ლექსიკონებში წარმოდგენილ სიტყვის პირველ, მთავარ მნიშვნელობაზე ფოკუსირებით. დამახსოვრების ეს მეთოდი ნაკლებად შედეგიანია, აქვს მახსოვრობის დაბალი მაჩვენებელი, რადგან არ ახლავს კონტექსტი ან დამატებითი განმარტება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს მომავალში სიტყვის მნიშვნელობის გახსენებაში. შეიმჩნევა, რომ როდესაც მოსწავლე უბრალოდ იზეპირებს სიტყვას მნიშვნელობას სათანადო აღქმის გარეშე, დიდია ალბათობა იმისა, რომ მოგვიანებით ვერ გაიხსენოს ის. თუ ერთი და იმავე ასაკის ორ ბავშვს შევადარებთ, ისინი სავარაუდოდ განსხვავებული დამახსოვრების უნარებს გამოავლენენ.

ლექსიკა არის ენის ფუნდამენტური ნაწილი რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელეებისთვის. დევიდ უილკინსი (Wilkins, 1972, pp. 111 – 112) აღნიშნავს: „გრამატიკის გარეშე ძალიან ცოტას გადმოცემაა შესაძლებელი, ხოლო ლექსიკის გარეშე თითქმის არაფრის“. ამიტომ, ლექსიკის სწავლების საუკეთესო მეთოდის შერჩევას

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსწავლეებისათვის. შორეული წარსულიდან მოყოლებული ლექსიკის სწავლების პროცესმა გაიარა რამდენიმე ეტაპი, დამახსოვრების ძველი მეთოდებიდან დაწყებული საკლასო აქტივობებით დამთავრებული, მაგრამ ბოლო დრომდე პოლისემია განიხილებოდა, როგორც ექსპერიმენტების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა.

განვითარებული ენების ლექსიკა ძალიან დიდია. საბედნიეროდ, ჩვენ ვიცით, რომ შესაძლებელია ინგლისურ ენას თავი გავართვათ 10,000-ზე ნაკლები სიტყვით (Nation, 2006). მაღალი სიხშირის სიტყვები, რომლებიც გვხვდება ნებისმიერ ინგლისურენოვან ლექსიკონში მრავალი მნიშვნელობით, გვეხმარება სათქმელის გადმოცემაში და შესაბამისად ენის დამუშავებისა და გამოყენებისათვის სულაც არ არის საჭირო უამრავი სიტყვის დასწავლა. როგორც ამბობენ, პირველი სამი ათასი სიტყვა, საკმარისია იმისათვის, რომ შევძლოთ ენის გამოყენება, თუმცა, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ სიტყვის რომელი მნიშვნელობა ავირჩიოთ, როდესაც ვცდილობთ ლექსიკის სწავლებას. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა თუ რამდენად ხშირად და სწორად იყენებენ მოსწავლეები ლექსიკონს, რამდენად სწორად ხდება სიტყვის მნიშვნელობის შერჩევა დასწავლისას, რამდენად ეფექტურია ლექსიკის სწავლებისას მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდი.

მოხსენებაში დეტალურად წარმოვადგენ აღნიშნულ მეთოდს გაკვეთილის გეგმისა და გაკვეთილისწინა და გაკვეთილის შემდეგომი ტესტების ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: ინგლისური ენის სწავლება, ლექსიკონის გამოყენება, პოლისემიური არსებითი სახელები, მსგავსებაზე დაფუძნებული მეთოდი.

Comparative Analysis of English Collocations Dictionaries: A Study of the Oxford Collocations Dictionary and the Macmillan Collocations Dictionary

Akerke Yessenali

European Master in Lexicography (EMLex) student

Université de Lorraine, France

akerke.yessenali@mail.ru

Abstract: The significance of phraseological information in lexicographic resources is rapidly increasing, as evidenced by the emergence of numerous combinatory or collocation dictionaries in recent years. This research paper presents a comprehensive comparative analysis of two prominent English collocations dictionaries, namely the Oxford Collocations Dictionary (OCD, 2003) and the Macmillan Collocations Dictionary (MCD, 2002), with a specific focus on their treatment of collocations associated with the verb „light.”

Collocations are fundamental in language learning and comprehension. The emergence of specialized collocations dictionaries has brought phraseological knowledge into sharper focus, making it crucial to assess their value for learners and educators. The primary aim is to evaluate the potential value of these dictionaries for individuals learning the English language.

The study critically examines the methodologies employed by each dictionary in encoding, classifying, and presenting collocational information. Key aspects under investigation include the treatment of homonyms, the inclusion of different entry features, and the overall organization of collocations. Notably, the OCD categorizes collocations based on grammatical structure and incorporates a dedicated section for phrases, while the MCD adopts semantic grouping and provides noun collocates for adjective and verb entries.

Through an in-depth analysis of dictionary entries, encompassing definitions, collocational categories, explanatory information, and usage examples, this study assesses the strengths and weaknesses of each resource. Findings highlight the importance of offering multiple access methods, facilitating clear collocation classification, providing comprehensive descriptive information, and presenting contextual usage examples to enhance language learners’ understanding and proficiency in using collocations effectively.

The comparative analysis reveals the existing variations in the representation and organization of collocational information within dictionaries, indicating the lack of a standardized approach. Consequently, this research underscores the need for further exploration and standardization efforts in the field of phraseological knowledge. The study contributes to the ongoing discourse on the significance of collocations in language learning and provides insights into the representation and structure of collocational information in lexicographic resources.

Keywords: *collocations, collocations dictionaries, Oxford Collocations Dictionary, Macmillan Collocations Dictionary, phraseological knowledge, language learning, lexicographic resources.*

ინგლისური ენის შესიძვებათა ლექსიკონების შედარებითი ანალიზი: ოქსფორდისა და მაკმილანის შესიძვებების ლექსიკონების კვლევა

აკერკე იესენალი

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (EMLex)
ლოთარინგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

akerke.yessenali@mail.ru

თეზისი: ლექსიკოგრაფიულ რესურსებში ფრაზეოლოგიური ინფორმაციის მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება, რაც დასტურდება უკანასკნელ წლებში მრავალი კომბინატორული თუ შესიტყვებათა ლექსიკონის გამოცემით. ამ კვლევით ნაშრომში წარმოდგენილია ინგლისური ენის ორი ცნობილი შესიტყვებათა ლექსიკონის, კერძოდ ოქსფორდის შესიტყვებათა ლექსიკონისა (OCD, 2003) და მაკმილანის შესიტყვებათა ლექსიკონის (MCD, 2002), დეტალური შედარებითი ანალიზი განსაკუთრებული აქცენტით, ზმნა „Light-თან“ დაკავშირებული შესიტყვებების შესწავლაზე.

შესიტყვებები ენის შესწავლისა და გაგებისთვის არსებით როლს ასრულებენ. სპეციალიზებული შესიტყვებათა ლექსიკონების გამოჩენამ ფრაზეოლოგიური ინფორმაცია უფრო დიდი ყურადღების ქვეშ მოაქცია და შესაბამისად, შემსწავლელებისა და მასწავლებლებისთვის მათი მნიშვნელობის შეფასება გადამწყვეტი გახდა. მთავარი მიზანია ინგლისური ენის შემსწავლელთათვის ამ ლექსიკონების პოტენციური მნიშვნელობის შეფასება.

კვლევაში კრიტიკულადაა განხილული მეთოდოლოგიები, რომლებსაც თითოეული ლექსიკონი შესიტყვებათა ინფორმაციის კოდირების, კლასიფიკაციისა და წარმოდგენისათვის იყენებს. კვლევის საკვანძო ასპექტები მოიცავს ომონიმთა შესწავლას, სიტყვა-სტატიის სხვადასხვა კომპონენტს და ზოგადად შესიტყვებათა წარმოდგენის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ოქსფორდის შესიტყვებათა ლექსიკონი (OCD) გრამატიკული სტრუქტურის საფუძველზე ახდენს შესიტყვებათა კლასიფიკაციას და მათთვის სპეციალური ადგილი აქვს გამოყოფილი, ხოლო მაკმილანის შესიტყვებათა ლექსიკონი (MCD) იყენებს სემანტიკურ დაჯგუფებას და ზედსართავისა და ზმნის სიტყვა-სტატიებში წარმოდგენილი აქვს არსებითი სახელების კოლოკატები.

აღნიშნული კვლევა სალექსიკონო სიტყვა-სტატიების სიღრმისეულ ანალიზზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეფინიციების, შესიტყვებათა კატეგორიების, განმარტებითი ინფორმაციისა და საილუსტრაციო მაგალითების შესწავლას, მიზნად ისახავს თითოეული რესურსის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას. კვლევის შედეგები, ენის შემსწავლელთათვის შესიტყვებების ეფექტიანად გამოყენების გააზრებისა და ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, ხაზს უსვამს ინფორმაციაზე წვდომის სხვადასხვა მეთოდის შეთავაზების, შესიტყვებების მკაფიო კლასიფიკაციის, ამომწურავი აღწერითი ინფორმაციისა და საილუსტრაციო მაგალითების წარმოდგენის აუცილებლობას.

შედარებითმა ანალიზმა ლექსიკონებში შესიტყვებათა ინფორმაციის წარმოდგენასა და ორგანიზებასთან დაკავშირებული განსხვავე-

ბები გამოავლინა, რაც ერთიანი მიდგომის არარსებობაზე მეტყველებს. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა ხაზს უსვამს ფრაზეოლოგიური ინფორმაციის შემდგომი შესწავლისა და სტანდარტიზაციის აუცილებლობას. წინამდებარე კვლევა ეხმიანება ენის შესწავლის პროცესში შესიტყვებათა მნიშვნელობასთან დაკავშირებულ მიმდინარე დისკუსიას და წარმოადგენს დამატებით თვალსაზრისს ლექსიკოგრაფიულ რესურსებში შესიტყვებათა აღწერისა და სტრუქტურის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *შესიტყვებები, შესიტყვებათა ლექსიკონები, ოქსფორდის შესიტყვებათა ლექსიკონი, მაკმილანის შესიტყვებათა ლექსიკონი, ფრაზეოლოგიური ინფორმაცია, ენის სწავლება, ლექსიკოგრაფიული რესურსები.*

თეზისი ქართულად თარგმნა ქეთევან მჭედლიშვილმა

Abstracts of Posters
პოსტერების თეზისები

Korean-Georgian Online Learner's Dictionary (KGOLD)

(Presentation of the ongoing project)

Tamta Abuladze

Ilia State University, Georgia, Ph.D. student

tamta.abuladze@iliauni.edu.ge

1. Introduction

The „Korean wave” (Kor. 한류, Translit. Hallyu; Eng. Korean Wave³⁶ ᄒᆞᆫ Hal-lyu³⁷), which implies the increased awareness and interest in the Korean language, culture, and traditions, has gained popularity since the 1990s due to South Korea's international policy aimed at spreading the Korean language and culture to other countries.

The interest in the Korean language is growing day by day in Georgia. As a teacher of the Korean language, I have been witnessing this growing trend in Georgian youth over the past 5-6 years. Various aspects of Korean society and culture, as well as the promotional activities directed to the popularization of Korean wave, serve as an incentive that attract the youth and give them the motivation to take up the Korean language as a foreign language (KFL). Nowadays, many Georgian students display their desire to learn the Korean language and improve their language skills. Therefore, the need for teaching resources, developed by field professionals for Georgian learners of Korean, is high on the agenda.

There are many teaching resources (both in print and digital) readily available for Korean language learners of different countries, but there are none for Georgian. The given reality hinders the teaching process. The absence of a Korean-Georgian academic learner's dictionary is particularly felt during the teaching process. From my personal experience as a teacher, the students usually struggle the most when it comes to understanding the exact meaning of Korean words. This is understandable, as they have to translate the Korean words into English and then into Georgian, which additionally complicates the whole process.

Considering all the above-mentioned needs, I set out to compile a Korean-Georgian Learner's Dictionary and for this purpose, I applied at Ilia State University to pursue a Ph.D. degree in lexicography.

2. The Macrostructure of the Dictionary

We selected words that cover the A1 and A2 levels of the Korean language. While selecting the vocabulary, we also compiled the corpus of Korean language textbooks, which are used to teach the Korean language in Georgian higher education institutions. We also use the mentioned corpus to select illustrative examples. In the macrostructure of the dictionary, we include homonymous words as separate lexical units and mark them with small Arabic numbers. After the completion of the first stage, the work on the dictionary will continue and words of higher linguistic competence will be added to it.

36 <https://www-oed-com.ezproxy.iliauni.edu.ge/view/Entry/104363?redirectedFrom=korean+wave#eid1327734900>

37 <https://www-oed-com.ezproxy.iliauni.edu.ge/view/Entry/92458492#eid1327641980>

3. Microstructure of the dictionary

Based on my experience of teaching Korean to Georgian students, we identified the needs of students and worked out the following structure of a dictionary entry:

- 1) Korean headword, written in the Korean alphabet;
- 2) Due to the fact that the Korean language has its own writing system, we include a transliteration of each Korean word;
- 3) Transcription of a headword. We have made this decision based on the specificity of the pronunciation of Korean words, especially since we are working on a learner's dictionary;
- 4) The next component of the entry is a part of speech label;
- 5) Polysemous meanings of an entry word are described and numbered;
- 6) Where necessary, we indicate stylistic labels;
- 7) Each meaning of a word is illustrated with example sentences, which are transliterated and translated into Georgian;
- 8) In case of availability, we include frequently used collocations and idioms in the entry, which are also transliterated and translated into Georgian.

4. Conclusion

The aim of my study is to compile the KGOLD which will comprise vocabulary of A1 and A2 levels, expanded at the next stage with the lexis of higher levels. At the same time, my aim is to study the best practice of Korean lexicography, to identify and solve various lexicological or lexicographical problems in the process of compilation of the KGOLD, and to develop a method adapted to the Korean-Georgian lexicography, which will contribute to the further development of this field in Georgia.

Keywords: *Korean-Georgian Dictionary, learner's dictionary, online dictionary, macrostructure, microstructure.*

კორეულ-ქართული სასწავლო ონლაინლექსიკონი (KGOLD)

(მიმდინარე პროექტის პრეზენტაცია)

თამთა აბულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, დოქტორანტი

tamta.abuladze@iliauni.edu.ge

1. შესავალი

„კორეულმა ტალღამ“ (კორ. 한류, ტრანსლიტ. Hallyu, ჰალიუ; ინგ. Korean wave ან Hallyu), რაც მოიაზრებს კორეული ენის, კულტურისა და ტრადიციების მიმართ ცნობადობისა და ინტერესის გაზრდას, პოპულარობა მოიპოვა 1990-იანი წლებიდან. ეს განპირობებული იყო სამხრეთ კორეის საერთაშორისო პოლიტიკით, რომელიც მიმართულია სხვა ქვეყნებში კორეული ენისა და კულტურის გატანაზე.

კორეული ენის მიმართ ინტერესი საქართველოში დღითიდღე იზრდება. როგორც კორეული ენის მასწავლებელი, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში ქართველ ახალგაზრდებში ამ მზარდი ტენდენციის მომსწრე ვარ. ბევრი ქართველი სტუდენტი გამოხატავს კორეული ენის შესწავლისა და ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების სურვილს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე საგრძნობია კორეული ენის შესასწავლი რესურსების ნაკლებობა. კორეული ენის ქართველი შემსწავლელები ძირითადად ეყრდნობიან უცხოენოვან მასალებს, რაც ენის შესწავლის პროცესს ართულებს. იმის გამო, რომ კორეული ენის სტრუქტურა რადიკალურად განსხვავებულია ქართული ენისგან, სწავლების პროცესში მესამე, დამატებითი ენის არსებობა, ქმნის ერთგვარ დაბრკოლებას.

ამიტომ დღის წესრიგში დადგა აკადემიური სასწავლო რესურსების, მათ შორის ლექსიკონის, შექმნა ქართველი შემსწავლელებისთვის. ამ გარემოებამ გადაამაწყვეტინა საფუძვლიანად შემესწავლა ლექსიკოგრაფია და ჩამებარებინა დოქტორანტურის საფეხურზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2. ლექსიკონის მაკროსტრუქტურა

პირველი ეტაპისთვის შევარჩიეთ სიტყვები, რომლებიც მოიცავს კორეული ენის A1 და A2 დონეებს. სიტყვანის შერჩევისას ასევე შევადგინეთ კორეული ენის იმ სახელმძღვანელოების კორპუსი, რომლებითაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება კორეული ენა. აღნიშნულ კორპუსს ასევე ვიყენებთ საილუსტრაციო მაგალითების შესარჩევად. ლექსიკონის მაკროსტრუქტურაში ცალკე სალექსიკონო ერთეულად შეგვავქვს ომონიმური სიტყვები და მათ აღვნიშნავთ პატარა არაბული ციფრებით.

3. ლექსიკონის მიკროსტრუქტურა

ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრეთ ქართველი სტუდენტების საჭიროებები და შევიმუშვეთ ქვემოთ მოცემული სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სტრუქტურა:

1. მეთაური კორეული სიტყვა, ჩაწერილი კორეული ანბანით;
2. კორეული სიტყვის ტრანსლიტერაცია. გამომდინარე იქიდან, რომ კორეულ ენას გააჩნია საკუთარი დამწერლობის სისტემა, ყოველ კორეულ სიტყვას ვურთავთ მის ტრანსლიტერაციას;
3. სიტყვის ტრანსკრიფცია. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ კორეული სიტყვების წარმოთქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მით უფრო რომ ჩვენ სასწავლო ლექსიკონზე ვმუშაობთ;
4. სიტყვა-სტატიის შემდეგი კომპონენტია გრამატიკული კვალიფიკაცია, ანუ ვუთითებთ რომელი მეტყველების ნაწილია კორეული სიტყვა;
5. სიტყვა-სტატიაში ნუმერაციით ვმიჯნავთ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებს;
6. საჭიროების შემთხვევაში ვუთითებთ სტილისტიკურ კვალიფიკაციებს;
7. ყოველი მნიშვნელობა ილუსტრირებულია მაგალითით, რომელიც ტრანსლიტერირებულია და თარგმნილია ქართულად;
8. არსებობის შემთხვევაში, სიტყვა-სტატიაში შეგვაქვს ხშირად ხმარებული შესიტყვებები და იდიომები, ასევე ტრანსლიტერირებული და თარგმნილი ქართულად.

4. დასკვნა

ჩემი კვლევის მიზანია შევადგინო კორეულ-ქართული სასწავლო ლექსიკონი (KGOLD), რომელიც მოიცავს A1 და A2 დონის ლექსიკას და მოგვცემს საშუალებას შემდეგ ეტაპზე გავამდიდროთ ლექსიკონი ენის ცოდნის უფრო მაღალი დონის სიტყვებით. ამავდროულად, ჩემი მიზანია შევისწავლო კორეული ლექსიკოგრაფია, გამოვავლინო და გადაწყვიტო სხვადასხვა ლექსიკოლოგიური თუ ლექსიკოგრაფიული პრობლემები კორეულ-ქართული სასწავლო ლექსიკონის შედგენის პროცესში და შევიმუშაო კორეულ-ქართულ ლექსიკოგრაფიისთვის შესაფერისი მეთოდოლოგია, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგის შემდგომ განვითარებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *კორეულ-ქართული ლექსიკონი, სასწავლო ლექსიკონი, ონლაინლექსიკონი, მაკროსტრუქტურა, მიკროსტრუქტურა.*

Electronic Thesauri in EFL Classroom: Students' Perspectives on Representation of Color Adjectives

Gulnara Gimaletdinova, Liliia Khalitova

Kazan Federal University, Russian Federation

gim-nar@yandex.ru, liliya.halitova@kpfu.ru

Abstract: Despite the fact that there are scientific works investigating electronic dictionaries as a tool for learning / teaching English as a foreign language (EFL) (Bower & McMillan, 2007; Wang, 2012; Alharbi, 2016; Metruk, 2017), limited research has been conducted to investigate electronic thesauri (Kunze & Lemnitzer, 2002; Redkar et al, 2018; Gimaletdinova & Khalitova, 2020), moreover to seek EFL learners' perspectives on the use of electronic thesauri as a learning tool. The study investigates the educational potential of online electronic database for the English language WordNet (Miller, 1995; Fellbaum, 1998) and for the Russian language RuWordNet (Loukachevitch, 2011; Loukachevitch, Lashevich, 2016) in EFL classroom. In particular, the authors seek to know the undergraduate students' perception of the representation of color adjectives in these databases. The research data was limited to one group of color adjectives – RED / KRASNYY.

According to Wierzbicka, color is not a universal human concept (1996). Being a very ancient and culturally specific phenomenon, color terms are contained in the cultural memory of peoples who speak a particular language. Thus, color terms reflect historical ideas about the world around us, culturally specific phenomena, symbolisms and associations.

WordNet and WordNet-like thesauri are the best resources of synonyms, as nouns, verbs, adjectives and adverbs grouped into sets of cognitive synonyms. So, the researchers decided to use WordNet to enlarge students' vocabulary in EFL classroom. Additionally, we asked the students to compare English WordNet and Russian RuWordNet thesauri making focus on structure and organization of synonyms, and express overall impression / satisfaction with the content of the thesauri.

The participants of the study were 50 EFL students whose native language is Russian and who specialize in foreign (English) philology at Kazan University (Russia). The study consisted of two stages. At the first stage, the students were asked to analyze all the meanings and related synonyms for color term KRASNYY (Eng.: RED) in RuWordNet thesaurus <https://ruwordnet.ru/en/search/красный>, and for the color term RED in WordNet database <http://wordnetweb.princeton.edu/perl/webwn?s=red>. The comparison of the Russian and English databases revealed similarities and differences in the way similar concepts (color terms KRASNYY and RED) and their synonyms are used in the Russian and the English languages.

At the second stage, in order to study the functioning of color terms in speech, the participants used the national corpora of the English and the Russian languages (<http://www.natcorp.ox.ac.uk/> and <https://ruscorpora.ru/>). This allowed EFL students to compare the dictionary meanings and synonymous relations of color terms with their functioning in actual speech, study collocations with RED and KRASNYY, which contributed to broadening the linguistic horizons and sociocultural knowledge of language learners.

To collect the data and document how electronic databases can be used at EFL

classroom, we invited the participants of the study to respond to the questionnaire which consisted of 8 questions (4 close-ended and 4 open-ended ones). The following questions were suggested in the questionnaire:

1. How fully do you think the adjective „KRASNYY” is described in the RuWordNet thesaurus?

2. Do you find the description of the adjective „KRASNYY” in RuWordNet helpful for Russian language learners?

3. How fully do you think the adjective „RED” is described in the WordNet thesaurus?

4. Do you find the description of the adjective „RED” in WordNet helpful for English language learners?

5. What synonyms for the adjective „KRASNYY”, including set phrases, do you consider necessary to add to the RuWordNet thesaurus?

6. What synonyms for the adjective „RED”, including set phrases, do you consider necessary to add to the WordNet thesaurus?

7. In which of the analyzed thesauri (RuWordNet and WordNet) the description of the adjective „KRASNYY / RED” in your opinion is the most successful? Why?

8. What sources (dictionaries, thesauri, databases, etc.) did you use when answering the survey questions?

The students expressed generally positive attitudes towards the use of these thesauri for educational purposes: 47 participants out of 50 find the description of the adjective KRASNYY in RuWordNet useful for Russian language learners, and all 50 participants think that the description of the adjective RED is helpful for English language learners. At the same time, the students think that the adjectives RED and KRASNYY are not described sufficiently enough. The students noted a few challenges, for example, the fact that both WordNet and RuWordNet do not give all existing synonyms and meanings of the color adjectives KRASNYY and RED. So, responding to questions 5 and 6, the participants suggested adding into the thesauri Russian adjectives CHERVONNYY, PUNTSOVYY, KORALLOVYY, PLAMENNYY, TITSIANOVYY, BRUSNICHNYY, OGNENNY, OGNEVOY, VINNYY, RDYANIY and English adjectives BURGUNDY, BLOODY AND VERMILION. 46 participants out of 50 find the description of the adjective RED more successful in WordNet than the representation of KRASNYY in RuWordNet (question 7). Thus, we have the following opinions: „WordNet provides a more complete description of synonyms, giving examples of contextual use and demonstrating descriptions of concepts, making the thesaurus more informative, especially for English language learners. Also, I liked the relevance of the synonyms proposed by WordNet, since each option is actively used in modern English and can often be found both in colloquial speech and in writing. RuWordNet does not provide such an opportunity and shows synonyms without scope of use, without context” (Respondent #4). „WordNet is more appealing, because it provides much clearer description of the term RED, and gives more illustrative examples a person studying English as a foreign language can understand” (Respondent #7).

The study revealed that working with electronic thesauri and databases in EFL classroom solves important cognitive tasks, such as speech development, vocabulary enrichment, and language intuition. Moreover, the results of the study are of practical significance for developers of WordNet-like lexical databases and electronic thesauri.

Keywords: *EFL, WordNet, RuWordNet, color term adjectives, synonyms.*

ელექტრონული თეზაურუსები ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას: სტუდენტთა შეხედულებები ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების წარმოდგენასთან დაკავშირებით

გულნარა გიმალეტდინოვა, ლილია ხალიტოვა

ყაზანის ფედერალური უნივერსიტეტი, რუსეთის ფედერაცია

gim-nar@yandex.ru, liliya.halitova@kpfu.ru

თეზისი: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ ელექტრონულ ლექსიკონებს, როგორც პროგრამულ ინსტრუმენტებს ინგლისურის, როგორც უცხო ენის (EFL) სწავლების პროცესში (Bower & McMillan, 2007; Wang, 2012; Alharbi, 2016; Metruk, 2017), ნაკლებადაა შესწავლილი ამ თვალსაზრისით ელექტრონული თეზაურუსები და მათი სასწავლო რესურსებად გამოყენების პოტენციალი (Kunze & Lemnitzer, 2002; Redkar et al, 2018; Gimaletdinova & Khalitova, 2020). ჩვენი კვლევის მიზანი იყო შევგვესწავლა ინგლისური ენის შემსწავლელთა შეხედულებები ისეთი მონაცემთა ბაზების შესახებ, როგორცაა ინგლისური WordNet (Miller, 1995; Fellbaum, 1998) და რუსული RuWordNet-ის (Loukachevitch, 2011; Loukachevitch, Lashevich, 2016). კერძოდ, ჩვენი მიზანი იყო ონლაინ ელექტრონული მონაცემთა ბაზების საგანმანათლებლო პოტენციალის გაანალიზება ინგლისურის, როგორც უცხო ენის შესასწავლად. უფრო კონკრეტულად, ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების მოსაზრებები ამ მონაცემთა ბაზებში ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების წარმოდგენასთან დაკავშირებით. საკვლევი მონაცემები შემოიფარგლებოდა ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების ერთი ჯგუფით – RED / KRASNYY.

Wierzbicka-ს თანახმად, ფერი ადამიანებისთვის უნივერსალური ცნება არ არის (1996). როგორც უძველესი და ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენი, ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შესულია კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე ხალხთა კულტურულ მენსიურებაში. ამრიგად, ფერის აღმნიშვნელი სიტყვები ასახავს ისტორიულ წარმოდგენებს ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს, კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენების, სიმბოლიზმებისა და ასოციაციების შესახებ.

WordNet-ი და WordNet-ის მსგავსი თეზაურუსები სინონიმებისთვის საუკეთესო რესურსია, რადგან არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და ზმნიზედები დაყოფილია კოგნიტიური სინონიმების ჯგუფებად. ამიტომ, მკვლევრებმა გადაწყვიტეს WordNet-ი გამოეყენებინათ ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტების ლექსიკის გასამდიდრებლად. გარდა ამისა, სტუდენტებს ვთხოვეთ შეედარებინათ ინგლისური WordNet-ისა და რუსული RuWordNet-ის თეზაურუსები. მათ ყურადღება უნდა გაემახვილებინათ სინონიმების სტრუქტურასა და აგებულებაზე და გამოეხატათ საერთო შთაბეჭდილება / კმაყოფილება თეზაურუსის შინაარსობრივ მხარეზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელმა 50 სტუდენტმა, რომელთა მშობლიური ენა არის რუსული

და რომელთაც განათლება მიღებული აქვთ უცხოური (ინგლისური) ფილოლოგიის მიმართულებით ყაზანის უნივერსიტეტში (რუსეთი). კვლევა შედგებოდა ორი ეტაპისაგან: პირველ ეტაპზე, სტუდენტებს ვთხოვეთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვის KRASNYY (Eng.: RED) ყველა მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სინონიმები გაეანალიზებინათ RuWordNet თეზაურუსში <https://ruwordnet.ru/en/search/красный>, ხოლო სიტყვა RED-ისა კი WordNet-ის მონაცემთა ბაზაში <http://wordnetweb.princeton.edu/perl/webwn?s=red>. რუსული და ინგლისური ენების მონაცემთა ბაზების შედარებამ გამოავლინა მსგავსებები და განსხვავებები რუსულ და ინგლისურ ენებში მსგავსი ცნებების (ფერის აღმნიშვნელი სიტყვების KRASNYY და RED) და მათი სინონიმების გამოყენებისას.

მეორე ეტაპზე, ზეპირ მეტყველებაში ფერის აღმნიშვნელი სიტყვების დანიშნულების/ფუნქციის შესასწავლად, მონაწილეებმა გამოიყენეს ინგლისური და რუსული ენების ეროვნული კორპუსები (<http://www.natcorp.ox.ac.uk/> და <https://ruscorpora.ru/>). ინგლისური ენის შემსწავლელ სტუდენტებს ეს საშუალებას აძლევდა ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სალექსიკონო მნიშვნელობები და სინონიმური კავშირები შეედარებინათ რეალურ ზეპირ მეტყველებაში მათ ფუნქციონირებასთან, შეესწავლათ RED-ისა და KRASNYY-ის შესიტყვებები / კოლოკაციები, რამაც ხელი შეუწყო ენის შემსწავლელთა ენობრივი ჰორიზონტისა და სოციო-კულტურული ცოდნის გაფართოებას.

მონაცემების შესაგროვებლად და იმის დასადასტურებლად, თუ როგორ შეიძლება ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენება ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, კვლევის მონაწილეებს ვთხოვეთ შეევსოთ 8 კითხვისგან (4 დახურული და 4 ღია) შემდგარი კითხვარი. კითხვარში მოცემული იყო შემდეგი კითხვები:

1. თქვენი აზრით, რამდენად სრულად არის აღწერილი ზედსართავი სახელი „KRASNYY“ RuWordNet-ის თეზაურუსში?

2. თქვენი აზრით, რუსული ენის შემსწავლელთათვის RuWordNet-ში ზედსართავი სახელის „KRASNYY“ აღწერა სასარგებლოა?

3. თქვენი აზრით, რამდენად სრულად არის აღწერილი ზედსართავი სახელი „RED“ WordNet-ის თეზაურუსში?

4. თქვენი აზრით, ინგლისური ენის შემსწავლელთათვის WordNet-ში ზედსართავი სახელის „RED“ აღწერა სასარგებლოა?

5. თქვენი აზრით, მყარი გამონათქვამების ჩათვლით, კიდევ რომელი სინონიმები უნდა დაემატოს ზედსართავ სახელს „KRASNYY“, RuWordNet თეზაურუსში?

6. თქვენი აზრით, მყარი გამონათქვამების ჩათვლით, კიდევ რომელი სინონიმები უნდა დაემატოს ზედსართავ სახელს „RED“, WordNet თეზაურუსში?

7. თქვენი აზრით, გაანალიზებული თეზაურუსებიდან (RuWordNet and WordNet), ზედსართავი სახელის „KRASNYY / RED“ რომელი აღწერაა ყველაზე სრულყოფილი? რატომ?

8. რომელი წყაროები (ლექსიკონები, თეზაურუსები, მონაცემთა ბაზები და ა.შ.) გამოიყენეთ საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემისას?

სტუდენტებმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს თეზაურუსების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით. 50 მონაწილიდან 47 მიიჩნევს, რომ რუსული ენის შემსწავლელთათვის RuWordNet-ში ზედსართავი სახელის KRASNYY აღწერა სასარგებლოა,

ხოლო 50-ვე მონაწილე თვლის, რომ ზედსართავი სახელის RED აღწერა ინგლისური ენის შემსწავლელთათვის სასარგებლოა. ამავე დროს, სტუდენტები ფიქრობენ, რომ ზედსართავები RED და KRASNYY არ არის საკმარისად აღწერილი. სტუდენტებმა აღნიშნეს რამდენიმე საკითხი. მაგალითად, არც WordNet და არც RuWordNet არ იძლევა ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების KRASNYY და RED ყველა არსებულ სინონიმსა და მნიშვნელობას. ამიტომ, მე-5 და მე-6 კითხვაზე პასუხისას, მონაწილეებმა თეზაურუსში დასამატებლად მიუთითეს შემდეგი რუსული ზედსართავები: CHERVONNYY, PUNTSOVYY, KORALLOVYY, PLAMENNYY, TITSIANOVYY, BRUSNICHNYY, OGNENNYY, OGNEVOY, VINNYY, RDYANIY და ინგლისური ზედსართავები: BURGUNDY, BLOODY და VERMILION. 50-დან 46 მონაწილისთვის, ზედსართავი სახელის RED აღწერა WordNet-ში უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე KRASNYY-ისა RuWordNet-ში (მე-7 შეკითხვა). შესაბამისად, გვაქვს ასეთი მოსაზრებები: „WordNet-ი უზრუნველყოფს სინონიმების უფრო სრულ აღწერას, იძლევა კონტექსტურ მაგალითებს და წარმოაჩენს ცნებებს, რაც თეზაურუსს უფრო ინფორმაციულს ხდის, განსაკუთრებით ინგლისური ენის შემსწავლელებისთვის. ასევე, მომეწონა WordNet-ის მიერ შემოთავაზებული სინონიმების მართებულობა/აქტუალურობა, რადგან თითოეული ვარიანტი აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ინგლისურში და ხშირად გვხვდება როგორც სასაუბრო, ასევე წერილობით მეტყველებაში. RuWordNet ასეთ შესაძლებლობას არ იძლევა და სინონიმები ნაჩვენებია კონტექსტის გარეშე“ (რესპონდენტი #4). „WordNet არის მეტად საინტერესო, რადგან მასში სიტყვა RED უფრო გასაგებად არის აღწერილი და მოცემულია უფრო მეტი საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც გასაგები იქნება ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელი ადამიანისთვის“ (რესპონდენტი #7).

კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული თეზაურუსებითა და მონაცემთა ბაზებით მუშაობა, ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან კოგნიტიურ სამუშაოს, როგორცაა მეტყველების განვითარება, ლექსიკის გამდიდრება და ენობრივი ინტუიცია. გარდა ამისა, კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს WordNet-ის მსგავსი ლექსიკური მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული თეზაურუსების შემქმნელებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *EFL, WordNet, RuWordNet, ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები, სინონიმები.*

თეზისი ქართულად თარგმნა თამარ ლალუაშვილმა

A New Academic Italian-Georgian Online Learner's Dictionary

Sofia Gojaeva

Master in lexicography

Ilia State University, Georgia

sofia.gojaeva@gmail.com

Abstract: The vocabulary of the Georgian language provides a rather detailed account of the history of the Georgian people and its contacts with other nations and languages. The first bilingual dictionary of the Georgian language with respect to European languages was a *Georgian-Italian Dictionary*, compiled by Stefano Paolini and Nikiphores Cholokashvili (Irbachi), a Georgian diplomat. The Dictionary published in Rome in 1629 by the Catholic missionary organization Propaganda Fide, was the first printed book in Georgian. More Italian-Georgian and Georgian-Italian dictionaries, compiled in the XVII-XIX centuries, speak of the bilateral interest of Rome and Georgia. The Vatican strived to spread Catholicism in Georgia and the entire region, as for Georgians, they sought help and political support in Rome (Uturgaidze, 1990; Chkuaseli, 2018; Margalitzadze, 2020).

In the XX century and the beginning of the XXI century, new Italian-Georgian and Georgian-Italian dictionaries saw the light, namely *Italian-Georgian Dictionary* by Luigi Mantovani and Marina Otskheli (2006), *Italian-Georgian Dictionary* by Nino Tsertsvadze, Claudio Debiasi, Tinatin Akhmeteli (1999, second edition published in 2006) and *Georgian-Italian Dictionary* by George Bukhnikashvili and Claudio Debiasi (2011).

The growing interest in the Italian language resulted in the opening of Italian departments at universities, the Italian language was also introduced at schools in Tbilisi. These circumstances determined the decision of the „Center for Lexicography and Language Technologies” at Ilia State University to provide Georgian students of Italian with a digital lexicographic work.

The New Academic Italian-Georgian Online Learner's Dictionary (NAIGOLD) is academic because it is developed by university-based researchers and also because it encompasses the vocabulary of so-called „academic Italian” i.e. the vocabulary for students, aged 13-18 which will enable them to deal with not too specialised Italian texts.

The Italian macrostructure of NAIGOLD is based on a list of 3000 most frequent Italian words. After the first phase (3000 „fundamental” words), the work on the Dictionary will continue to compile other words reflecting a higher level of proficiency.

Being a learner's dictionary NAIGOLD has a microstructure that is tailored to the needs of Georgian learners:

– each headword is followed by its phonetic transcription, showing both the pronunciation of a word and the place of the accent in it, since in the headword only graphical accents are represented;

– irregular forms of nouns and adjectives are given in an entry and cross-referenced to their headwords;

– entries are kept as short as possible, and change of part of speech due to conversion is clearly indicated;

– the transitive and intransitive meanings of a verb are united in one form, while its reflexive meanings are given under the „-si” form. The transitivity and intransitivity of an Italian verb are expressed with the help of finite forms of Georgian equivalent verbs, given in parenthesis, alongside masdar. We usually indicate the third-person singular forms of the present or future tenses. This choice was determined by the fact that these forms contain maximum morphological information (aspect, version, and voice).

The treatment of verbs in the NAIGOLD was based on the careful comparative study of verbal categories in Italian and Georgian, which are extremely complex in both languages (Gippert, 2016), structurally so different from one another. Special attention was paid to the categories of mood and tense in both languages, to the category of voice and version in the Georgian language, in order to define the relation between these categories and the category of reflexivity in the Italian language.

In this paper a comparative analysis of entries, dealing with the same Italian word, in the recent, above-mentioned bilingual Italian-Georgian dictionaries and in the NAIGOLD will be provided, in order to show the latter’s concern for learner’s needs and the advantages of being accessible online.

Keywords: *bilingual dictionary, learner’s dictionary, online dictionary, macro-structure, microstructure.*

References:

- Chkuaseli Ana** (2018), Methods and Strategies for Studying Georgian as a Foreign Language by the First Europeans. *International Journal of Multilingual Education*, vol.11, pp. 19-26 <http://multilinguaeducation.org/ua/article/43>
- Gippert, Jost** (2016). Complex Morphology and its Impact on Lexicology: the Kartvelian Case. In Margalitadze, Tinatin & Meladze, George (eds.), *Proceedings of the XVII EURALEX International Congress: Lexicography and Linguistic Diversity*. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp.16-36 <https://euralex.org/publications/complex-morphology-and-its-impact-on-lexicology-the-kartvelian-case/>
- Margalitadze, T.** (2020). ‘Lexicography of Georgian’. In: P. Hanks, G.-M. de Schryver (eds.), *International Handbook of Modern Lexis and Lexicography*. Publisher: Springer-Verlag GmbH, Germany, 2022. https://doi.org/10.1007/978-3-642-45369-4_103-1
- Uturgaidze, T.** (1990) Learning of the Georgian Language by the Missionaries. *Iberian-Caucasian Linguistics*, #XXIX, Tbilisi, 123 – 147.

ახალი აკადემიური იტალიურ-ქართული სასწავლო ონლაინლექსიკონი

სოფიო გოჯაევა

ლექსიკოგრაფიის მაგისტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

sofia.gojaeva@gmail.com

თეზისი: ქართული ენის ლექსიკა საოცარი სიზუსტით აღწერს ქართველი ხალხის ისტორიას და მის კონტაქტებს სხვა ერებთან და ენებთან. ქართული ენის პირველი ორენოვანი ლექსიკონი ევროპულ ენებთან მიმართებით სწორედ ქართულ-იტალიური ლექსიკონი იყო, რომელიც შეადგინეს სტეფანე პაოლინიმ და ქართველმა დიპლომატმა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა (ირბახი). კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების „პროპაგანდა ფიდეს“ მიერ 1629 წელს რომში გამოცემული ლექსიკონი იყო პირველი ნაბეჭდი წიგნი ქართულ ენაზე. უფრო მეტი იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები, რომლებიც შედგენილია XVII-XIX საუკუნეებში, მეტყველებს რომისა და საქართველოს ორმხრივ ინტერესზე. ერთი მხრივ, ვატიკანი ცდილობდა კათოლიციზმის გავრცელებას როგორც საქართველოში, ისე მთელს რეგიონში, მეორე მხრივ კი ქართველები დახმარებას და პოლიტიკურ მხარდაჭერას ეძებდნენ რომში (უთურგაიძე, 1990; ჭკუასელი, 2018; მარგალიტაძე, 2020).

XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა ახალი იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები, კერძოდ, ლუიჯი მანტოვანისა და მარინა ოცხელის *იტალიურ-ქართული ლექსიკონი* (2006), ნინო ცერცვაძის, კლაუდიო დებიაზის, თინათინ ახმეტელის *იტალიურ-ქართული ლექსიკონი* (1999, მეორე გამოცემა გამოქვეყნდა 2006 წ.) და გიორგი ბუნნიკაშვილისა და კლაუდიო დებიაზის *ქართულ-იტალიური ლექსიკონი* (2011).

იტალიური ენისადმი მზარდმა ინტერესმა გამოიწვია უნივერსიტეტებში იტალიური მიმართულებების გახსნა, იტალიური ენა დაინერგა თბილისის სკოლებშიც. ამ გარემოებებმა განაპირობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ გადაწყვეტილება, მიეწოდებინა იტალიური ენის ქართველი შემსწავლელებისათვის ელექტრონული ლექსიკონი.

ახალი აკადემიური იტალიურ-ქართული სასწავლო ონლაინლექსიკონი (NAIGOLD) არის აკადემიური, რადგან ის შემუშავებულია უნივერსიტეტში მომუშავე მკვლევრების მიერ და ასევე იმიტომ, რომ იგი მოიცავს ე.წ. «აკადემიური იტალიურის» ლექსიკას, ანუ ლექსიკას 13-18 წლის შემსწავლელებისათვის.

NAIGOLD-ის იტალიური მაკროსტრუქტურა ეფუძნება 3000 ყველაზე ხშირად ხმარებულ იტალიურ სიტყვათა სიას. პირველი ეტაპის შემდეგ ლექსიკონზე მუშაობა გაგრძელდება და ლექსიკონს დაემატება ენის ცოდნის უფრო მაღალი დონის ამსახველი ლექსიკა.

NAIGOLD-ს აქვს მიკროსტრუქტურა, რომელიც მორგებულია ქართველი შემსწავლელების საჭიროებებზე:

– ყველა სასათაურო სიტყვას ახლავს ტრანსკრიფცია, რომელიც არ-

ვენებს როგორც სიტყვის წარმოთქმას, ასევე მასში მახვილის ადგილს, სასათაური სიტყვაში კი წარმოდგენილია მხოლოდ გრაფიკული მახვილი;

– არსებითი სახელების არაწესიერი წარმოების მრავლობითი რიცხვის ფორმები, ზედსართავ სახელების არაწესიერი წარმოების ხარისხის ფორმები მითითებულია სიტყვა-სტატიაში და გამოტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულებად თავის ადგილას ანბანის მიხედვით, სათანადო მითითებებით ძირეულ ფორმებზე;

– სიტყვა-სტატიები მოკლეა და მკაფიოდაა გამიჯნული კონვერსიით ნაწარმოები სიტყვები;

– ზმნის გარდამავალ და გარდაუვალ მნიშვნელობებს ვაერთიანებთ ერთ ფორმაში, ზმნის რეფლექსურ მნიშვნელობებს კი მეორე – „-si“ – ფორმაში. იტალიური ზმნის გარდამავლობა და გარდაუვალობა არის გამოსატყობი ქართული ეკვივალენტური ზმნის პირიანი ფორმით, რომელიც მასდართან მიეთითება ფრჩხილებში. ჩვეულებრივ ვუთითებთ ზმნის აწმყოს ან მყოფადის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმას. ასეთი არჩევანი განაპირობა იმან, რომ ეს ფორმები მაქსიმალური მორფოლოგიური ინფორმაციის შემცველია (ასპექტი, ქცევა, გვარი).

NAIGOLD-ში ზმნების წარმოდგენა ეფუძნება იტალიურ და ქართულ ენებში ზმნური კატეგორიების გულდასმით შედარებით კვლევას. ზმნა ორივე ენაში უაღრესად რთულია (Gippert, 2016) და სტრუქტურულად ძალიან განსხვავებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზმნის კილოსა და დროის კატეგორიას ორივე ენაში, ასევე გვარისა და ქცევის კატეგორიებს ქართულში, რათა დაგვედგინა თუ რა მიმართება არსებობს ამ კატეგორიებსა და იტალიურ ენაში წარმოდგენილ ზმნის რეფლექსურობის (უკუქცევითობის) კატეგორიას შორის.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება ზემოხსენებული იტალიურ-ქართული ლექსიკონებისა და NAIGOLD-ის სიტყვა-სტატიების შედარებითი ანალიზი, რათა წარმოჩნდეს სასწავლო ლექსიკონის იმ პრინციპების უპირატესობა, რაც NAIGOLD-შია გამოყენებული.

საკვანძო სიტყვები: *ორენოვანი ლექსიკონი, სასწავლო ლექსიკონი, ონლაინლექსიკონი, მაკროსტრუქტურა, მიკროსტრუქტურა.*

Development of Dictionary Use Skills in Learners of English

Elene Khuskivadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ph.D. student, Georgia

ekhuskivadze@yahoo.com

Abstract: From the 1970s there developed a new direction in lexicography – research on dictionary use. These studies were important, as basing on the feedback received from users, many dictionaries were improved from the point of view of both, macrostructure and microstructure. However, these studies also revealed that many users did not know how to use effectively a dictionary and how to extract the maximum information contained in it.

Dictionary use comprises many issues and envisages development of different skills. But I would like to highlight one issue, the polysemy, as English words are characterized by having many meanings, although semantically connected to each other. Detection of a polysemous meaning of a word and development of this skill in a learner of English demands considerable efforts from teachers of English both at schools and at universities. As a teacher of English I know that majority of teachers do not try to give an insight to students, to explain meanings of a polysemous word with the help of a dictionary, to show semantic links between meanings, to explain how to guess a contextual meaning of a word with the help of a dictionary and so on.

Among studies conducted on the dictionary use, we are particularly interested in those ones, which are oriented on the development of dictionary use skills. Nearly all experiments carried out in different countries verify that the users who were taught how to use a dictionary are much better at extracting the relevant information from a dictionary, at tasks related to dictionary use, much better at understanding and memorizing foreign words. We conducted our experiment in this direction and it was connected to the need of development of dictionary use skills.

Proceeding from the above-mentioned, our research questions were as follows: Is it necessary to have special exercises that would facilitate the study of polysemous words for a foreign language learner? Does a foreign language learner need to learn dictionary use skills from school?

In order to find answers to above questions, I conducted an experiment at one of the public schools in Tbilisi where I teach the English language. I chose the tenth-grade students with the intermediate English language level. My aim was to find out whether a preliminary work, conducted with students on the development of dictionary use skills would help them work with a dictionary and guess a contextual meaning of a polysemous word with the help of a dictionary.

I divided the tenth-grade students in two groups: A and B. I trained the group A students with exercises, specially prepared for this experiment with the focus on polysemy and conversion. No such work was conducted with the group B students. After one month of training, I planned the second part of the experiment. At this stage I gave all students, including groups A and B, specially prepared contexts which contained words, known to them but in rare and unknown

to them senses. They had to find out contextual meanings of those words with the help of dictionaries. As material for this part of the experiment I used the contexts, worked out by Donna Farina of New Jersey University together with her Slovenian colleagues for their study at Ljubljana University (Farina, 2019). I had a written consent from authors about the application of this material.

In my presentation I will talk about the process of planning the experiment, main results of the study, the conclusion and recommendations.

Keywords: *research on dictionary use, dictionary use skills, polysemy, experiment.*

References:

Farina, D.M.T.Cr., M. Vrbinc and A. Vrbinc. 2019. Problems in Online Dictionary Use for Advanced Slovenian Learners of English. *International Journal of Lexicography* 32(4): 458-479. doi.org/10.1093/ijl/ecz017.

ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება ინგლისური ენის შემსწავლელელებში

ელენე ხუსკივაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტი, საქართველო

ekhuskivadze@yahoo.com

თეზისი: მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გაჩნდა ახალი მიმართულება ლექსიკოგრაფიაში – ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა. ეს კვლევები მეტად მნიშვნელოვანი იყო და მომხმარებლებისგან მიღებულმა უკუკავშირმა გააუმჯობესა ბევრი ლექსიკონის როგორც მაკროსტრუქტურა, ისე მიკროსტრუქტურა. თუმცა, ამ კვლევებმა ასევე გამოავლინა, რომ ლექსიკონის მომხმარებლებმა ხშირად არ იციან, თუ როგორ გამოიყენოს ეს ნაშრომი ეფექტურად და როგორ მიიღონ მასში ჩადებული ინფორმაციის მაქსიმუმი.

ლექსიკონის გამოყენება მრავალ საკითხს მოიცავს და სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვითარებას ითვალისწინებს. მაგრამ მე ყურადღება მინდა გავამახვილო პოლისემიაზე, რადგან ინგლისური სიტყვები გამოირჩევა დიდი პოლისემიურობით, სიტყვას აქვს სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა. პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობის ამოცნობა და ამ უნარის განვითარება ინგლისური ენის შემსწავლელში, დიდ ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებლისგან როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელში. როგორც ინგლისური ენის სკოლის მასწავლებელმა, კარგად ვიცი, რომ მასწავლებლების უმრავლესობაში გავრცელებულია ტაქტიკა არ ჩაუღრმავდნენ პოლისემიურ სიტყვებს მაშინვე, უბრალოდ ახსნან ის კონკრეტული მნიშვნელობა, რაც ამ სიტყვას აქვს მოცემულ კონტექსტში. სიტყვების დაუფლების უფრო ნაყოფიერი სტრატეგია იქნება, გაკვეთილზე ვაჩვენოთ მოსწავლეებს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობები ლექსიკონში, დავანახოთ სემანტიკური კავშირები მათ შორის, ავუხსნათ მათ როგორ შეიძლება მოცემული სიტყვის სწორი მნიშვნელობის პოვნა ლექსიკონის დახმარებით და სხვა.

ლექსიკონის მომხმარებლებისა და ლექსიკონის მოხმარების მიმართულებით ჩატარებული კვლევებიდან, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევებზე ჩატარებული კვლევები. თითქმის ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ის მომხმარებელი, ან ენის შემსწავლელი, რომელსაც ასწავლეს ლექსიკონის გამოყენება, ბევრად უკეთ იღებს ლექსიკონიდან სათანადო ინფორმაციას, ბევრად უკეთ ასრულებს ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებულ დავალებებს და უკეთ იგებს და იმახსოვრებს უცხო ენის სიტყვებს. ჩვენი კვლევა სწორედ ამ მიმართულებით ჩავატარეთ და იგი ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების საჭიროებას უკავშირდება.

ზემოდ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე დაისმის შემდეგი კითხვები: საჭიროა თუ არა არსებობდეს სპეციალური სახის სავარჯიშოები, რომლებიც უცხო ენის შემსწავლელს გაუადვილებდა პოლისემიური სიტყვების შესწავლას? საჭიროა თუ არა უცხო ენის შემსწავლელს სკოლიდანვე განუფითაროთ ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევები?

ამის დასადგენად ჩავატარე კვლევა ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, სადაც ვასწავლი

ინგლისურ ენას, ცდისპირებად კი შევარჩიე მეათე კლასის მოსწავლეები, რომელთაც ინგლისური ენის ფლობის საშუალო დონე აქვთ. ჩემი კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად გაუადვილებდა მოსწავლეს ლექსიკონთან მუშაობას და პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობის ამოცნობას მასთან წინასწარ ჩატარებული მუშაობა ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.

მეათე კლასის მოსწავლეები დავყავი ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფში (A ჯგუფი) შევიტანე წინასწარ მომზადებული სავარჯიშოები, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული იყო პოლისემიისა და კონვერსიის მიმართულებით ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მეორე ჯგუფს (B ჯგუფი) კი, რომელიც ასევე მონაწილეობდა კვლევაში, ასეთი წინასწარი მუშაობა არ ჩატარებია. ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, დაიგემა კვლევის მეორე ეტაპი. ეს ეტაპი ითვალისწინებდა მოსწავლეებთან საკვლევი მასალის შეტანას კონტექსტების სახით, სადაც მათ ინგლისური სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა უნდა ამოეცნოთ ლექსიკონის დახმარებით. კონტექსტები მოიცავდა მოსწავლეებისათვის კარგად ნაცნობ სიტყვებს, თუმცა გამოყენებულს იშვიათი და მოსწავლეებისათვის უცნობი მნიშვნელობით. კონტექსტებად გამოვიყენე ის საკვლევი მასალა, რომელიც შეიმუშავეს ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის პროფესორმა, დონა ფარინამ და მისმა სლოვენელმა კოლეგებმა მათ მიერ ლიუბლიანას უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტისათვის (Farina, 2019). მასალის გამოყენებაზე მქონდა ავტორების წერილობითი თანხმობა.

ჩემს მოხსენებაში წარმოვადგენ როგორც კვლევის დაგეგმვის პროცესს, ისე კვლევის შედეგებს, დასკვნასა და რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები, პოლისემია, ექსპერიმენტი.

Georgian Terminology: Tradition and Present State

Tamar Kvitsiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

tamunakviciani@yahoo.com

Abstract: The end of the 20th century and the beginning of the 21st century were marked with major changes in almost every field of science and technology. Modern technologies penetrated into different fields, causing revolutionary changes. This process naturally resulted in the creation of many new scientific concepts and, consequently, terms which flooded the Georgian language and posed a big challenge to the Georgian language. Unprocessed and unclear terminology may become an impediment factor for the development of the field itself. That is why it is so important to pay more attention to the process of terminological work and take into consideration the history of Georgian term-formation. Even a superficial observation of modern Georgian terminology makes it clear that the terms almost in all fields are introduced into Georgian by means of transliteration.

This was the main reason for our choice as to the research topic: study of Georgian terms with regard to their sources and structural-semantic composition. We analyzed terms basing on the contrastive study: on the one hand, we analyzed the terms created in the first half of the 20th century and, to this end, selected 800 terms from the traditional fields, such as botany, zoology and anatomy, as well as 800 terms selected from the fields developed later, such as immunology, genetics and biotechnology. The research material was extracted from the *English-Georgian Online Biology Dictionary* (<http://bio.dict.ge/>), created by the Lexicographic Centre at Tbilisi State University.

The research showed that the main source for botanical, zoological and anatomical terms is the Georgian language resources. The study also showed that the Georgian language and the words from common Georgian vocabulary were quite skilfully used for the creation of terms in the first half of the 20th century. Almost 80% of the analyzed terms from that period are created by using resources of the Georgian language proper.

The situation is different as concerns the terms from the fields developed relatively later, such as immunology, genetics and biotechnology. The research showed that 90% of new Georgian terms are merely transliterated from their respective source-language equivalents. In the process of analyzing terms, norms of the Georgian language are often neglected. On the other hand, there is also the increasing number of analytical terms in modern terminology. Transliteration of analytical terms causes considerable terminological ambiguity, which is a negative tendency for the development of the field itself.

Contrastive study of the terms with regard to their sources and structural-semantic composition has revealed several noteworthy issues, which are important from the point of view of the formulation of terminological policy.

Thus the aim of our study was to analyze sources and structural-semantic characteristics of Georgian terms against the backdrop of the history of Georgian term-formation, basing on the contrastive study of the terms created in the classical period on the one hand, and the terms from the fields of knowledge developed relatively recently, on the other hand. The history of Georgian term-formation

provides a remarkable proof of the fact that the Georgian language has ample resources for the formation of new terms. We would also like to emphasize that it is impossible to create all terms relying exclusively on the resources of the Georgian language itself and that we cannot avoid using internationalisms and borrowings. In our opinion, there is an urgent need that terminologists and domain experts make important decisions on the terminological policy for the Georgian language.

Keywords: *terminology, transliterated terms, term-formation, Georgian language resources.*

References:

English-Georgian Online Biology Dictionary. <http://bio.dict.ge/ka/>.

Margalitadze, T. (2019). Towards Terminological Policy in Georgia. *Proceedings of the International conference Humanities in the Information Society III.* Batumi Shota Rustaveli State University Publishing House.

Margalitadze, T. (2018). New Platform for Georgian Online Terminological Dictionaries and Multilingual Dictionary Management System. *Proceedings of EURALEX International Congress.* Ljubljana, Slovenia, 2018.

<https://euralex.org/wp-content/themes/euralex/proceedings/Euralex%202018/118-4-2995-1-10-20180820.pdf>

ქართული ტერმინოლოგია: ტრადიცია და თანამედროვეობა

თამარ კვიციანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო

tamunakviciani@yahoo.com

თეზისი: მე-20 საუკუნის დასასრული და 21-ე საუკუნის დასაწყისი ალინიშნა ძალიან დიდი ძვრებით მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში. თანამედროვე ტექნოლოგიებმა სხვადასხვა დარგში შეაღწია და რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია ამ დარგებში. ამ პროცესს ბუნებრივად მოჰყვა ბევრი ახალი სამეცნიერო ცნების, და შესაბამისად, ტერმინის გაჩენა, რომლებიც მოაწყდა ქართულ ენას და დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა იგი. ბუნდოვანი, სიცხადეს მოკლებული ტერმინოლოგია შესაძლოა დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორადაც იქცეს. სწორედ ამიტომ ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა ტერმინოლოგიურ მუშაობას, ქართულ ტერმინქმნადობას, ვინაიდან სწორად შექმნილი გამართული ტერმინოლოგია დარგის განვითარებას უწყობს ხელს. ბოლო 15 წლის განმავლობაში ენაში შემოსულ ტერმინოლოგიაზე ზედაპირული დაკვირვებაც კი გვიჩვენებს, რომ ენაში ძირითადად თითქმის ყველა დარგში ტერმინები მკვიდრდება ტრანსლიტერაციის წესით.

ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომლის მიზანი იყო, ტერმინები შეგვესწავლა, როგორც წყაროების, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით. შევისწავლეთ კლასიკურ პერიოდში შექმნილი ტერმინოლოგია და უფრო გვიან განვითარებული დარგების ტერმინოლოგია და მოვახდინეთ მათი შეპირისპირებითი ანალიზი. გაანალიზდა 1600 ტერმინი, მათ შორის 800 ტერმინი ისეთი ტრადიციული დარგებიდან, როგორიცაა: ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ხოლო 800 ტერმინი შევისწავლეთ უფრო გვიან განვითარებულ დარგებში, როგორიცაა: გენეტიკა, იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია. საკვლევი მასალა ამოკრებილ იქნა ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინლექსიკონიდან (<http://bio.dict.ge/>), რომელიც შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ქართული ტერმინების წყარო ქართული ენის რესურსებია, ანუ ტერმინები იქმნება ქართული ენის რესურსების აქტიური გამოყენებით. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართული ენა და ქართული საერთო ლექსიკის სიტყვები მეტად მარჯვედ გამოიყენება ტერმინების შესაქმნელად. მაშასადამე, კლასიკურ პერიოდში შექმნილი ქართული ტერმინოლოგია ძირითადად საზრდოობს ქართული წყაროებით და აქტიურად იყენებს ქართულ რესურსებს ტერმინოლოგიის შესაქმნელად. თითქმის ტერმინთა 80% ქართულ, ბუნებრივ ტერმინს წარმოადგენს და დიდი შემოქმედობითობით გამოირჩევა.

სრულიად განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით შედარებით გვიან განვითარებული დარგების (იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა) ტერმინების ანალიზის შედეგად. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის,

რომ ტერმინების სრული უმრავლესობა, 90% ქართულად გადმოტანილია ტრანსლიტერაციის გზით. კვლევამ აჩვენა, რომ ქართულად გადმოტანის დროს არ ხდება ქართული ენის ნორმების დაცვა და არ გამოიყენება ქართული ენის რესურსები. ასევე მოზღვავებულია მრავალსიტყვიანი ანუ ანალიტიკური ტერმინები, რომელთა ქართულად ტრანსლიტერაციის გზით გადმოტანა იწვევს ბუნდოვანებას. ყოველივე ეს კი აფერხებს თავად დარგის განვითარებას.

ტერმინთა ამგვარი შესწავლა, მით უფრო კლასიკური პერიოდისა და უფრო გვიან განვითარებული დარგების ტერმინების შეპირისპირებითი ანალიზი მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო, მათ შორის ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე მივდივართ დასკვნამდე, რომ დღეს ქართული ტერმინოლოგია საჭიროებს სპეციალისტების მხრიდან უფრო მეტ დახმარებას. ამის აუცილებლობა სწორედ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი ტერმინებისა და შედარებით გვიან განვითარებული დარგების ტერმინების შეპირისპირებითაა ანალიზმა გამოკვეთა. ქართული ტერმინთა შემოქმედების ისტორია კი გამოკვეთს, რომ ქართულ ენას აქვს რესურსები, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ტერმინები შეიქმნას სწორედ მისი რესურსების აქტიური გამოყენებით და არ მოხდეს ყველა ტერმინის ტრანსლიტერაციის გზით გადმოტანა, ეს ყოველივე საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქართულ ტერმინოლოგიას, არამედ თავად ქართულ ენასაც. თუმცა, ეს ფაქტი არ გულისხმობს იმას, რომ თავი ავარიდოთ ინტერნაციონალიზმებს და ნასესხობას. ამიტომ ვთვლით, რომ აუცილებელია ტერმინოლოგიებისა და დარგის სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავების მიზნით ქართული ენისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ტრანსლიტერირებული ტერმინები, ტერმინთა შემოქმედება, ქართული ენის რესურსები.

Towards the Methodology of Detecting Neologisms in Modern Georgian Language

(Presentation of an ongoing project)

Tamar Lалуashvili

Ilia State University, Georgia, Ph.D. student

tamar.laluashvili.1@iliauni.edu.ge

Abstract: Neologism is a natural phenomenon characteristic of a language, because the language is constantly changing, developing, the linguistic community is also evolving, new concepts appear that need to be named. Such changes are taking place in the Georgian language as well. This has been particularly noticeable after the collapse of the Soviet Union and gaining of independence. There were established new legal and economic relations, direct diplomatic relations with foreign countries, the Georgian army was created, etc (Margalitadze 2020; Maisuradze 2019). In the latter half of the 20th century and the beginning of the 21st century, there was a remarkable surge in scientific discoveries, development of the Internet, advancements in the information and communication technologies, the establishment of the European Union and an unprecedented acceleration of globalization (Beliashvili, 2013; Margalitadze, 2021). Consequently, the Georgian language was flooded with new terms and concepts. The study of neologisms is particularly relevant for lexicography, which, in addition to studying the theoretical aspects of the issue, also serves purely practical purposes. It involves updating existing dictionaries, adding new words, and assigning new meanings to the already existing ones (Grochocka 2011). Contemporary users evaluate the quality of dictionaries by their ability to keep pace with the latest vocabulary and meanings. Dictionaries that fall short of capturing modern vocabulary tend to lose their appeal and popularity.

Neologisms introduced into the Georgian language have been the focus of many Georgian researchers (Beliashvili 2015; Goshkheteliani, Kikvadze 2017; Tandashvili 2013; Mchedlishvili 2019 and others). However, there is currently no established methodology for identifying neologisms in modern Georgian. Therefore, we decided to develop such methodology and for this purpose we studied existing methods of identifying neologisms used for other languages (e.g. German project Die Wortwarte) and formulated our own approach.

In order to collect Georgian neologisms, we constructed a corpus of the Georgian language and applied Dr. Irina Lobzhanidze's lemmatization tool. The lemmatizer is available on the website of Ilia State University at the URL <https://qartnlp.iliauni.edu.ge> (Lobzhanidze, 2021). The lemmatizer relies upon the dictionary, integrated with it, which itself is mainly composed of the word lists of the 8-volume Explanatory Dictionary of the Georgian Language and various other Georgian normative dictionaries. Accordingly, the lemmatization tool is capable of lemmatizing only those lexical units, which are included in these resources. As our research has shown and as has already been mentioned above, a considerable segment of the vocabulary of the contemporary Georgian language is not represented in Georgian explanatory and orthographic dictionaries and, as a result, the said lemmatizer cannot identify them. This will allow us to look for Georgian ne-

ologism candidates in the unlemmatized, out-of-vocabulary (OOV) lexis.

The corpus, developed by us, includes textual material from Georgian-language online newspapers and magazines, news websites, sites of NGOs, social media sites and Georgian Wikipedia. Wikipedia is a good resource for identifying potential neologisms (Yano, Kang 2008, 2). It must be also noted, that texts from Wikipedia are not uniform (Barbaresi 2015, 72). There are articles from various fields there, such as music, cinema, history, art, politics, etc.

Web crawlers were designed for downloading material from websites. Websites of different genres have been analysed individually in order to identify those of them which are most productive with regard to the generation of neologisms. For the purposes of this research, we expanded the concept of neologism and it will be our task to collect all new words which are not included in the Explanatory Dictionary of the Georgian Language, in Georgian orthographic dictionaries or in other lexicographic sources. After the tokenization and lemmatization of the corpus material, the OOV lexical units are subjected to analysis and the potential neologisms are sampled.

The identified potential neologisms are studied further. Actual neologisms are selected from among the „candidates” based on the frequency principle and their collation with various dictionaries. Other methods of identifying neologisms are being developed as well. Georgian word embedding software is also used in finding neologisms (<https://wordembedding.spellchecker.ge>).

Based on the research carried out: (a) an online dictionary of neologisms will be composed; (b) the methodology and tools for the detection of neologisms will be perfected in the course of the project for the development of the neologism monitoring procedure for Modern Georgian; (c) there will be developed a concept and there will be set up a website for the future monitoring of neologisms which appear in the Georgian language; and (d) the recommendations will be put forward with respect to the inclusion of the newly identified neologisms in the Georgian dictionaries.

Keywords: *neologism, Georgian language corpus, lemmatizer, out-of-vocabulary (OOV) lexis, neologism detection methodology.*

References:

Barbaresi, A. (2015). *Ad hoc and general-purpose corpus construction from web sources*. PhD Thesis, Lyon. <https://theses.hal.science/tel-01167309> Accessed January 15, 2023.

Grochocka, M. (2011). *Lexical creativity in English: A corpusbased study*. PhD Thesis, Filologii Angielskiej, Uniwersytet im. Adama Mickiewicza w Poznaniu, Poznań.

Yano, Tae, and Moonyoung Kang (2008). *Taking advantage of Wikipedia in Natural Language Processing*. <https://www.cs.cmu.edu/~taey/pub/wiki.pdf> Accessed January 16, 2023.

ბელიაშვილი, თინათინ (2015). „ნეოლოგიზმების ფუნქციონირება ფრანგულ და ქართულ მედიადისკურსში.“ *სამეცნიერო ბილინგვური ელექტრონული ჟურნალი „სპეკალი“* (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) (9). <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/9/83> Accessed January 13, 2023.

- ლობჯანიძე, ი. (2021). ქართული ენის ლემატიზატორი. <https://qartnlp.ili-auni.edu.ge>. Accessed January 16, 2023.
- მაისურაძე, გ. (2019). თანამედროვე ქართული ენა და მისი ინგლისური „დიალექტი“. October 16. <https://indigo.com.ge/articles/tanamedrove-qartuli-ena-da-misi-inglisuri-dialekti/> Accessed January 13, 2023.
- მარგალიტაძე, თ. (2020). Language and ecology of culture. *Lexicographica* (de Gruyter) 36 (2020): 225-240. <https://doi.org/10.1515/lex-2020-0012>. Accessed January 20, 2023.

ნეოლოგიზმების აღმოჩენის მეთოდოლოგიის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ ენაში

(მიმდინარე პროექტის პრეზენტაცია)

თამარ ლალუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი, საქართველო

tamar.lalushvili.1@iliauni.edu.ge

თეზისი: ნეოლოგიზმი არის ენისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენა, რადგან ენა მუდმივად იცვლება, მუდმივად ვითარდება, იცვლება და ვითარდება ენობრივი საზოგადოებაც, ჩნდება ახალი ცნებები, რომელთაც სჭირდება სახელის დარქმევა. ამგვარი ცვლილებები ქართულ ენაშიც მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. საქართველოში განვითარდა ახალი სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკა, გაჩნდა პირდაპირი დიპლომატიური კავშირები უცხოეთთან, შეიქმნა ქართული ჯარი და სხვა (მარგალიტაძე 2020; მაისურაძე, 2019). ამ პროცესს დაერთო მეცნიერების დარგების სწრაფი განვითარება მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, ინტერნეტისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, ევროკავშირის შექმნა, საზღვრების მოშლა, გლობალიზაციის არნახული ტემპები და სხვა (ბელიაშვილი, 2013; მარგალიტაძე 2021). შესაბამისად ქართულ ენასაც მოაწყდა ახალი ცნებები და სიტყვები.

ნეოლოგიზმების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია ლექსიკოგრაფიისათვის, რაც საკითხის თეორიული ასპექტების შესწავლის გარდა, წმინდად პრაქტიკულ მიზნებსაც ემსახურება. ესაა არსებული ლექსიკონების შევსება, განახლება, ახალი სიტყვების დამატება, არსებული სიტყვების ახალი მნიშვნელობების აღნუსხვა (Grochocka 2011). თანამედროვე მკითხველი ლექსიკონის ხარისხს იმიტაც აფასებს, თუ რამდენად არის მასში აღნუსხული მისთვის ცნობილი უახლესი სიტყვები და მნიშვნელობები. ლექსიკონი ვერ გახდება პოპულარული, თუ მკითხველი მასში ვერ იპოვის თანამედროვე ლექსიკას.

ქართულ ენაში შემოსულმა ნეოლოგიზმებმა არაერთი ქართველი მკვლევრის ყურადღება მიიქცია (ბელიაშვილი 2015; გოშხეთელიანი, კიკვაძე 2017; თანდაშვილი 2013; მჭედლიშვილი 2019 და სხვა). თუმცა არ არის დამუშავებული მეთოდოლოგია, როგორ აღმოვაჩინოთ ნეოლოგიზმები თანამედროვე ქართულ ენაში. ამიტომ, ჩვენ სწორედ ეს მიზანი დავისახეთ, გავეცანით სხვადასხვა ენისათვის შექმნილ მეთოდებს (მაგ. გერმანული პროექტი „სიტყვის კარიბჭე“) და შევიმუშავეთ ჩვენი სამუშაო მეთოდი.

ქართული ნეოლოგიზმების შეკრების მიზნით შევექმენით ქართული ენის კორპუსი ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად და გამოვიყენეთ ი. ლობჯანიძის ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული ენის ლემატიზატორი (ლობჯანიძე, 2021), რომელიც ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე <https://qartnlp.iliauni.edu.ge>. ლემატიზატორი ეყრდნობა მასში ჩაშენებულ ლექსიკონს, რომლის ძირითად ნაწილსაც 8-ტომიანი ქართული ენის განმარტებითი

ლექსიკონისა და სხვა ნორმატიული ლექსიკონების სიტყვანი შეადგენს. შესაბამისად, ლემატიზატორს, ძირითადად, იმ ლექსიკონის ლემატიზება შეუძლია, რომელიც ამ წყაროებშია წარმოდგენილი. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, თანამედროვე ქართული ენის ახალი ლექსიკონის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის ასახული განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, შესაბამისად ამ სიტყვებს ხსენებული ლემატიზატორი ვერ ამოიცნობს, რაც საშუალებას გვაძლევს არალემატიზებულ ლექსიკაში ვეძებოთ ნეოლოგიზმების კანდიდატები.

რაც შეეხება კორპუსს, მასში შევიტანეთ მასალა ქართულენოვანი ონლაინ ჟურნალ-გაზეთებიდან, ახალი ამბების ვებგვერდებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების ვებგვერდებიდან, სოციალური ქსელებიდან, ქართული ვიკიპედიიდან და სხვა. ვიკიპედია კარგი რესურსია ნეოლოგიზმების კანდიდატების გამოსავლენად (Yano, Kang 2008). აღსანიშნავია ისიც, რომ ვიკიპედიაზე განთავსებული ტექსტები არ არის ერთგვაროვანი (Barbaresi 2015), მასში გვხვდება სტატიები სხვადასხვა სფეროდან, იქნება ეს მუსიკა, კინო, ისტორია, ხელოვნება, პოლიტიკა, ტექნოლოგიები თუ სხვა. საიტების ჩამოსატვირთად შეიქმნა ვებკროლერები. სხვადასხვა ჟანრის საიტები ცალ-ცალკე გაანალიზდა, რათა გამოგვევლინა ენაში ახალი სიტყვების აღმოცენების თვალსაზრისით უფრო პროდუქტიული საიტები. ამ კვლევის მიზნებისათვის გავაფართოვეთ ნეოლოგიზმის ცნება და შევკრიბეთ ყველა ახალი სიტყვა, რომელიც არ არის შეტანილი ქართული ენის განმარტებით, ორთოგრაფიულ ლექსიკონებში და სხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროებში. კორპუსის მასალის ტოკენიზაციისა და ლემატიზაციის შემდეგ ვაანალიზებთ არალემატიზებულ ლექსიკას და ვაგროვებთ ნეოლოგიზმების პოტენციურ კანდიდატებს. გამოვლენილი პოტენციური ნეოლოგიზმები საფუძვლიან ანალიზს ექვემდებარება. „კანდიდატების“ რიცხვიდან ეტაპობრივად გამოიყოფა ფაქტობრივი ნეოლოგიზმები სიხშირული პრინციპისა და მათი ლექსიკონებში გადამოწმების საფუძველზე. მუშავდება ნეოლოგიზმების იდენტიფიკაციის სხვა მეთოდებიც. ნეოლოგიზმების მოსაპოვებლად ვიყენებთ ქართული სიტყვამწერის პროგრამასაც (<https://wordembedding.spellchecker.ge>).

ჩატარებული კვლევის საფუძველზე: (ა) შეიქმნება ნეოლოგიზმების განმარტებითი ონლაინლექსიკონი; (ბ) დაიხვეწება ნეოლოგიზმების გამოვლენის მეთოდოლოგია და პროგრამული ინსტრუმენტები, რასაც დაეფუძნება ქართულ ენაში ნეოლოგიზმების მონიტორინგის პროცედურა; (გ) დამუშავდება კონცეფცია და შეიქმნება ვებსაიტი მომავალში ქართულ ენაში წარმოქმნილი ნეოლოგიზმების მონიტორინგისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საიტზე; (დ) შემუშავდება რეკომენდაციები ქართული ენისათვის ნეოლოგიზმების ლექსიკონებში შეტანის თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: ნეოლოგიზმი, ქართული ენის კორპუსი, ლემატიზატორი, არალემატიზებული ლექსიკა, ნეოლოგიზმების აღმოჩენის მეთოდოლოგია.

A Reader and Translator's False Friends in Shakespeare's Plays *Macbeth* and *King Lear*: Lexicological and Lexicographic Aspects

Ketevan Mchedlishvili

Ilia State University, Ph.D. student, Georgia

ketevani.mchedlishvili3@iliauni.edu.ge

Abstract: The eternal themes raised in the works of William Shakespeare, a distinguished member of world drama, have attracted the attention of many scholars over the centuries. It is noteworthy that in addition to literary research, there has been considerable interest in the study of the linguistic features of Shakespeare's language due to the development of digital technologies and corpus linguistics methods. The creation of Shakespeare's corpora made it possible to conduct more in-depth research at all levels of the language system and refine Shakespeare's dictionaries.

One of the most interesting issues in Shakespeare's work is the problem of false friends, which has been extensively discussed by David Crystal (D. Crystal, 2008), Jonathan Culpeper (J. Culpeper, 2021), and others. In this study I defined and identified Shakespeare's false friends based on Shakespeare's plays *Macbeth* and *King Lear*, for which I used Shakespeare's corpus ESC: First Folio Plus (A. Hardie, J. Culpeper et al. 2021) hosted on the CQPweb server (A. Hardie, 2012). In the research conducted as part of the master's dissertation, I combined different software tools and methods used in Shakespeare's dictionaries and selected 34 lexical items which are considered false friends.

As a result of the study I compiled a bilingual English-Georgian glossary of Shakespeare's false friends. In addition, two versions of Shakespeare's Georgian translations by Ivane Machabeli (1954) and Manana Antadze (2017) are present in dictionary entries. Each entry is accompanied by comments analyzing how false friends influence translators and readers, how adequately the original text is translated into Georgian, and how relevant this issue is for English philology students in Georgia, for which I used the results of the survey conducted at Tbilisi State University.

I developed the structure of the dictionary entry which consists of the following components: headword, transcription, grammatical label (part of speech), etymology, polysemous meanings, Georgian equivalents, illustrative examples with Georgian translations, comments. It should be noted that out of 42 preselected context containing false friends students managed to answer correctly only in 24 instances. As for the translators, it should be mentioned that the study revealed only 2 cases of falling under the influence of false friends (Machabeli – Ecstasy, Antadze – safe). Therefore, we should highlight the professionalism and skills of Georgian translators to translate English texts into the Georgian Language and to choose adequate equivalents for false friends.

The model of a dictionary entry, developed as a result of this study, can be used in the future for the compilation of a bilingual dictionary of false friends of Shakespeare.

Keywords: *Shakespeare, false friends, translations, corpus methods.*

References:

- შექსპირი უ. (1954) *ტრაგედიები*, ტომი II, თბილისი: საბჭოთა მწერალი.
- შექსპირი უ. (1954) *ტრაგედიები*, ტომი III, თბილისი: საბჭოთა მწერალი.
- შექსპირი უ. (2017) *ტრაგედიები*, ტომი I, თბილისი: გამომცემლობა „კენტი“.
- Aronoff M., Miller J.** (2017) *The handbook of Linguistics*, 2nd edition, Oxford: John Wiley & Sons Ltd.
- Crystal, D.** (2012) *Think on my words: Exploring Shakespeare's language*. Cambridge: Cambridge University Press.
- Crystal D. Crystal B.** (2004) *Shakespeare's words: A glossary and language companion*. Penguin Books. Accessed 20.03.2022 at: <https://archive.org/details/shakespearesword00crys/page/n9/mode/2up> Crystal; online edition: <https://www.shakespeareswords.com/>
- Culpeper J. et al.** (2021) Supporting the corpus-based study of Shakespeare's language: Enhancing a corpus of the First Folio. *ICAME Journal*, 45(1), 37-86, <https://doi.org/10.2478/icame-2021-0002>
- Culpeper J.** (2011) A new kind of dictionary for Shakespeare's plays: an immodest proposal. Chapter III. *Stylistics and Shakespeare: Transdisciplinary Approaches*. London: Continuum, 2011, 58-83. *Encyclopedia of Shakespeare's language*. (n.d.). accessed 06.03.2022 at: <https://wp.lancs.ac.uk/shakespearelang/>
- Hardie A.** (2012) CQPweb – combining power, flexibility and usability in a corpus analysis tool. *International Journal of Corpus Linguistics*, 17 (3): 380-409.

მკითხველისა და მთარგმნელის ცრუ მეგობრები უილიამ შექსპირის პიესებში „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“: ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ასპექტები

ქეთევან მჭედლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი, საქართველო

ketevani.mchedlishvili3@iliauni.edu.ge

თეზისი: მსოფლიო დრამატურგიის გამორჩეული წევრის, უილიამ შექსპირის შემოქმედებაში წამოჭრილი მარადიული თემები საუკუნეების მანძილზე არაერთი მკვლევრის ყურადღებას იპყრობდა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურული კვლევის გარდა, საკმაოდ გაიზარდა ინტერესი შექსპირის ენის ლინგვისტური თავისებურებების შესწავლის კუთხით, რაც განპირობებულია ციფრული ტექნოლოგიებისა და კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდების განვითარებით. შექსპირის კორპუსების შექმნამ ყველა ენობრივი სისტემის დონეზე შესაძლებელი გახადა უფრო მეტად სიღრმისეული კვლევების ჩატარება და შექსპირის ლექსიკონების დახვეწა.

ერთ-ერთ საინტერესო საკითხი შექსპირის შემოქმედებაში არის ცრუ მეგობრების პრობლემა, რომელიც ვრცლად აქვთ განხილული დევიდ კრისტალს (D. Crystal, 2008), ჯონათან კალპეპერს (J. Culpeper, 2021) და სხვებს. ამ კვლევისთვის გამოყავი და განვიხილე შექსპირის ცრუ მეგობრები მისი ორი პიესის „მაკბეტისა“ და „მეფე ლირის“ საფუძველზე, რისთვისაც გამოვიყენე CQPweb-ის (A. Hardie, 2012) სერვერზე განთავსებული შექსპირის კორპუსი ESC: First Folio Plus (A. Hardie, J. Culpeper et al. 2021). სხვადასხვა პროგრამული ინსტრუმენტისა და შექსპირის ლექსიკონებში გამოყენებული მეთოდების კომბინაციის შედეგად შეირჩა 34 ლექსიკური ერთეული, რომელიც ცრუ მეგობრებად განიხილება.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში და მისი ერთ-ერთი შედეგია შექსპირის ცრუ მეგობრების ორენოვანი, ინგლისურ-ქართული სიტყვა-სტატიის მოდელის შემუშავება და სიტყვა-სტატიების შედგენა შერჩეულ ლექსიკური ერთეულებისათვის უილიამ შექსპირის პიესებზე „მაკბეტისა“ და „მეფე ლირზე“ დაყრდნობით. სიტყვა-სტატიაში გამოვყავი შემდეგი კომპონენტები: სასათაურო სიტყვა, ტრანსკრიფცია, გრამატიკული ინფორმაცია, ეტიმოლოგია, ქართული ეკვივალენტები, საილუსტრაციო მაგალითები ქართული თარგმანების დართვით და კომენტარი. ქართული თარგმანებისათვის გამოვიყენე ორი ვარიანტი, ივანე მაჩაბლისა (1954) და მანანა ანთაძის (2017) ავტორობით. რაც შეეხება სიტყვა-სტატიისათვის დართულ კომენტარს, მასში გაანალიზებულია თუ რამდენად ექცევიან მთარგმნელები და მკითხველები ცრუ მეგობრების ზეგავლენის ქვეშ, რამდენად ადეკვატურადაა გადმოცემული დედნისეული ტექსტი ქართულენოვან თარგმანებში და რამდენად აქტუალურია ეს საკითხი საქართველოში ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის, რისთვისაც გამოვიყენე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

სტუდენტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მათთვის წინასწარ შემოთავაზებული 42 ცრუ მეგობრის შემცველი კონტექსტიდან, ცდისპირებმა მხოლოდ 24 შემთხვევაში დააფიქსირეს სწორი პასუხი. რაც შეეხება მთარგმნელებს, ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთარგმნელების მხრიდან ცრუ მეგობრების ზეგავლენის ქვეშ მოქცევის სულ 2 შემთხვევას ვხვდებით (მაჩაბელი – ecstasy, ანთაზე – safe). ამ მხრივ ხაზგასასმელია ქართველ მთარგმნელთა მაღალი პროფესიონალიზმი და ინგლისურენოვანი ტექსტის ქართულ ენაზე ადეკვატურად გადმოცემის ხელოვნება.

კვლევის ფარგლებში შექმნილი შექსპირის ცრუ მეგობრების ლექსიკონის სიტყვა-სტატიის მოდელი მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ვრცელი ლექსიკონის შესადგენად.

საკვანძო სიტყვები: *შექსპირი, ცრუ მეგობრები, თარგმანები, კორპუსული მეთოდები.*

An Insight into Entry Word Selection for a Specialised Dictionary: Plant Names

Silga Sviķe

Ventspils University of Applied Sciences, Latvia

silga.svike@gmail.com

Abstract: In the era of printed dictionaries, the issue of entry word selection was very topical because printed dictionaries could not include all the entry words that the lexicographer wanted to have in them. Henning John Bergenholtz (Bergenholtz 2001, 12–14) analyzed 252 dictionary reviews and concluded that 22% of all the remarks were related to the selection of entry words. An analysis of six printed modern bilingual dictionaries with Latvian with a 50-year publication interval also shows that they did not contain essential units of the special lexis of botany — plant names that are often used in daily routine (Sviķe 2016).

It seems that modern electronic lexicography could solve this problem of entry word selection since dictionaries published electronically can include an unlimited number of words, but is this really the case?

This study deals with the issue of selecting entry words for a specialized dictionary – mobile app (a multilingual Latvian-Latin-English, German-Russian dictionary of botany terms with Latvian as the main language). The study describes the ways the initial prototype of the dictionary (including only 500 entry words (see Sviķe, Šķirmante 2019)) was improved, in particular by analyzing the problems of selection of entry words to achieve a small-volume dictionary of special lexis with about 3000 entry words. The division of a so-called external selection (of entry words) and an internal selection (of information types) (Bergenholtz 2001, 12–14) is used in the study. The study also describes the possibilities of the method of dividing the center and periphery of the vocabulary proposed by Filipec (1995, 23–42).

The study found that the principles of entry word selection also apply to electronic dictionaries and can be divided into several basic steps: selection of lexicographic sources (for the main dictionary language and equivalents); selection of sources for additional micro-structural information (e.g. definitions, examples). The resources can be divided into print resources as well as digitized resources, including „using the internet as a complementary tool (to be handled with care)” (Scholze-Stubenrecht 2013, 1373), including the types of texts that are most frequently used in practical lexicographical work, including those referred by Stolze-Stubenrecht (2013, 1366–1368), which often helps the lexicographer in making important decisions about lexicographic information selection. The study illustrates the difficulties in word and information selection with examples (e.g. choosing equivalent variants, correcting automatically retrieved definitions), and describes solutions for compiling a small-size electronic dictionary.

The study showed that despite a certain range of data available in various digital resources for researching the diversity of the Latvian language, such as the Latvian text corpora (www.korpuss.lv), they are not useful for terminology research and for dictionary compiling in such a narrow field (Jasmonts, Sviķe, Šķirmante 2022). The new open-access interactive multifunctional database management system for special lexis of biology, which will be made public under

the domain Biolekspedija.lv at the end of 2023 (see Stalažs, Šķirmante, Sviķe et al. 2023, 52–67), proved to be much more useful in the selection of entry words (frequency of names in a set of specialised excerpts – organism names, exact scientific names etc.).

The author of the study does not agree with M. T. Cabré (1998, 47–48) that „in the case of specialized translation, the reader will be a specialist in the field” only. Before the compilation of this dictionary the author has taken into account almost all suggestions and desires of potential users, while in the case of dictionaries, the intended user of the dictionary should be strictly taken into account, but this does not exclude the possibility that the dictionary may also be used by a non-expert user who was unknown to the compiler of the dictionary.

However, as far as entry word selection is concerned, a fairly precise procedure has to be defined for the inclusion of a set of entry words appropriate for the users of such a small dictionary.

Acknowledgments

This research has been funded by the Latvian Council of Science, project „Smart complex of information systems of specialized biology lexis for the research and preservation of linguistic diversity“, No. lzp-2020/1-0179.

References:

- Bergenholtz, H.** (2001). Lexikografie ist Selektion ist Selektion ist Selektion. J. Korhonen (Hrsg.) *Von der mono – zur bilingualen Lexikografie Für das Deutsche*. Frankfurt am Main u.a.: Peter Lang, 11–30.
- Cabré, M. T.** (1998). *Terminology: Theory, methods and applications*, Philadelphia PA: John Benjamins.
- Filipec, J.** (1996). Probleme des Sprachzentrums und der Sprachperipherie im System des Wortschatzes. J. Filipec. *Studia lexicologica*. München: Otto Sagner, 23–42.
- Scholze-Stubenrecht, W.** (2013). The World Wide Web as a Resource for Lexicography. R. H. Gouws, U. Heid, W. Schweickard and H. E. Wiegand (eds.) *Dictionaries. The International Encyclopedia of Lexicography*. Supplementary Volume: Recent Developments with Focus on Electronic and Computational Lexicography. Berlin, New York: Walter de Gruyter. 1365–1374.
- Jasmonts, G., Sviķe, S., Šķirmante, K.** (2022). New information extracting and analysis methodology for the terminology research purposes: The field of biology. In *CEUR Workshop Proceedings: Vol. 3160. IRCDL 2022: Italian Research Conference on Digital Libraries*. Retrieved September 2023 from <https://ceur-ws.org/Vol-3160/paper2.pdf>.
- Stalažs, A., Šķirmante, K., Sviķe, S., Jasmonts, G., Ziediņš, R. E.** (2023). Experience of design and development of a new open access interactive multifunctional database management system for special lexis of biology. *Studies about Languages / Kalbu studijos*, 42. Kaunas: Kaunas University of Technology, 52–67.
- Sviķe, S.** (2016). *Special lexis in general bilingual dictionaries: plant names*. Summary of Promotional Paper, Ventspils: Ventspils university of Applied Sciences.
- Sviķe, S., Šķirmante, K.** (2019). Practice of Smart LSP Lexicography: The Case of a New Botanical Dictionary with Latvian as a Basic Language. *Proceedings of the eLex 2019 conference*. 1-3 October 2019, Sintra, Portugal, Brno: Lexical Computing CZ, s.r.o. 1–17.

თერმინოლოგიურ ლექსიკონში შესატანი მეთაური სიტყვების შერჩევის პრინციპებისთვის: მცენარეთა სახელები

სილგა სვიკე

ვენტსპილსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლატვია

silga.svike@gmail.com

თეზისი: ნაბეჭდი ლექსიკონების ეპოქაში მეთაური სიტყვების შერჩევის საკითხი მეტად აქტუალური იყო, ვინაიდან ნაბეჭდი ლექსიკონებში ვერ შევიდოდა ყველა ის მეთაური სიტყვა, რომელთა ლექსიკონში შეტანაც ლექსიკოგრაფს შეიძლება ნდომებოდა. ჰენინგ ჯონ ბერგენჰოლცმა (Bergenholtz 2001, 12–14) გააანალიზა 252 ლექსიკონის რეცენზია და დაასკვნა, რომ ყველა შენიშვნათა 22% მეთაურ სიტყვათა შერჩევის საკითხს ეხებოდა. 50-წლიან ინტერვალში გამოქვეყნებული, ლატვიური ენის მიმართ შექმნილი ექვსი თანამედროვე ნაბეჭდი ლექსიკონის ანალიზიც აჩვენებს, რომ მათში არ შედის ბოტანიკის დარგის სპეციალური ლექსიკონის აუცილებელი ერთეულები – მცენარეთა სახელები, რომლებიც ყოველდღიურობაში ხშირად გამოიყენება (Svīķe 2016).

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თანამედროვე ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას შეუძლია მეთაურ სიტყვათა შერჩევის აღნიშნული პრობლემა წარმატებით მოაგვაროს, რამდენადაც ელექტრონულად გამოქვეყნებულ ლექსიკონებში სიტყვათა შეზღუდვა რაოდენობა შეიძლება შევიდეს, მაგრამ შეესატყვისება თუ არა ეს სინამდვილეს?

ჩვენი გამოკვლევა შეეხება მეთაური სიტყვების შერჩევას დარგობრივი ლექსიკონისთვის – მობილური აპლიკაციისთვის (ბოტანიკური ტერმინების მრავალენოვანი ლატვიურ-ლათინურ-ინგლისური, გერმანულ-რუსული ლექსიკონისთვის, სადაც ძირითადი ენა ლატვიურია). ნაშრომში აღწერილია, როგორ შეივსო საწყისი პროტოტიპული ლექსიკონი (რომელშიც მხოლოდ 500 მეთაური სიტყვა შედიოდა (იხ. Svīķe, Skirmante 2019)) მეთაურ სიტყვათა შერჩევის პრობლემების გაანალიზების გზით, რამაც შედეგად მოგვცა დაახლოებით 3000 მეთაური სიტყვის შემცველი მცირე მოცულობის დარგობრივი ლექსიკონი. კვლევაში გამოყენებულია ე.წ. (მეთაურ სიტყვათა) გარეგანი შერჩევისა და (ინფორმაციის ტიპების) შინაგანი შერჩევის გამიჯვნა (Bergenholtz 2001, 12–14). ნაშრომში აგრეთვე აღწერილია ფილიპეცის (1995, 23–42) მიერ შემოთავაზებული ლექსიკური მარაგის ცენტრისა და პერიფერიის გამიჯვნის მეთოდის შესაძლებლობები.

კვლევამ აჩვენა, რომ მეთაურ სიტყვათა შერჩევის პრინციპები ელექტრონულ ლექსიკონებზეც ვრცელდება და რამდენიმე ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს: ლექსიკოგრაფიული წყაროების შერჩევა (ლექსიკონის მთავარი ენისთვის და ეკვივალენტებისთვის); წყაროების შერჩევა დამატებითი მიკროსტრუქტურული ინფორმაციისთვის (მაგ. დეფინიციები, მაგალითები). რესურსები შეიძლება დაიყოს ნაბეჭდი რესურსებად და აგრეთვე ციფრულ რესურსებად, „ინტერნეტის, როგორც (სიფრთხილით მოსაკიდებელი) დამატებითი რესურსის გამოყენების“ (Scholze-Stubenrecht 2013, 1373) ჩათვლით, მათ შორის ისეთი სახის

ტექსტებად, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიულ სამუშაოში, შტოლცე-შტუბენრენტის (2013, 1366–1368) მიერ მოხსენიებული ისეთი ტექსტების ჩათვლით, რომლებიც ხშირად ეხმარება ლექსიკოგრაფს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაში ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის შერჩევასთან დაკავშირებით.

სათანადო მაგალითების მოყვანითა და განხილვით, ნაშრომში ნაჩვენებია სიტყვებისა და ინფორმაციის შერჩევასთან დაკავშირებული სირთულეები (როგორც მაგ. ეკვივალენტთა ვარიანტების არჩევა, ავტომატურად მოპოვებული დეფინიციების გასწორება) და აღწერილია მცირე ზომის ელექტრონული ლექსიკონის შესადგენად მისაღები გადაწყვეტილებები.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ციფრულ რესურსებში ხელმისაწვდომია გარკვეული დიაპაზონის მონაცემები ლატვიური ენის მრავალფეროვნების საკვლევად, როგორც მაგალითად ლატვიური ტექსტური კორპუსი (www.korpuss.lv), მაინც ისინი სასარგებლო ვერ იქნება ამგვარი ვიწროდარგობრივი ლექსიკონების შესადგენად განკუთვნილი ტერმინოლოგიური კვლევისათვის (Jasmonts, Sviķe, Šķirmante 2022).

ახალი, ღია წვდომის ინტერაქციული მრავალფუნქციური მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა ბიოლოგიის დარგობრივი ლექსიკონისათვის, რომელიც 2023 წლის ბოლოს გამოქვეყნდება დომენში Bioleksipedia.lv (იხ. Stalažs, Šķirmante, Sviķe et al. 2023, 52–67) გაცილებით უფრო სასარგებლო აღმოჩნდა მეთაურ სიტყვათა შესარჩევად (სახელწოდებათა სიხშირე სპეციალიზებული ფრაგმენტების ჯგუფში – ორგანიზმთა სახელები, ზუსტი სამეცნიერო სახელწოდებები და ა.შ.).

გამოკვლევის ავტორი არ ეთანხმება მ. ტ. კაბრეს (Cabré, M. T. 1998, 47–48) მოსაზრებას, რომ „დარგობრივი თარგმნის შემთხვევაში მკითხველი დარგის სპეციალისტი“ იქნება და სხვა არავინ. ამ ლექსიკონის შედგენამდე ავტორმა გაითვალისწინა ლექსიკონის პოტენციურ მომხმარებელთა თითქმის ყველა წინადადება და სურვილი, რადგანაც ლექსიკონის შემთხვევაში სავარაუდო მომხმარებელი აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ლექსიკონი შეიძლება გამოიყენოს არასპეციალისტმა მომხმარებელმაც, რომელიც ლექსიკონის შემდგენლისთვის უცნობი იყო.

თუმცა, რამდენადაც საქმე მეთაურ სიტყვათა შერჩევას ეხება, საჭიროა შემუშავდეს საკმაოდ ზუსტი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ამგვარი მცირე ლექსიკონის მომხმარებლისთვის შესაფერისი მეთაური სიტყვების ლექსიკონის სიტყვანში შეტანის საკითხს.

მადლობა ხელშეწყობისთვის

ეს გამოკვლევა დაფინანსდა ლატვიის სამეცნიერო საბჭოს პროექტის „დარგობრივი ბიოლოგიური ლექსიკონის საინფორმაციო სისტემათა „ჭკვიანი“ კომპლექსი ენობრივი მრავალფეროვნების კვლევისა და შენარჩუნებისთვის“ (No. lzp-2020/1-0179) ფარგლებში.

თეზისი ქართულად თარგმნა გიორგი მელაძემ

Towards Compilation of Macrostructure for Georgian-X Type Learner's Dictionaries

(Presentation of an ongoing project)

Salome Tchighladze

Ilia State University, Georgia, Ph.D. student

salome.tchighladze.1@iliauni.edu.ge

Abstract: From the 1920s, mainly for pedagogical purposes, experts started the compilation of the frequency lists, the so-called „controlled vocabularies” in order to facilitate the teaching of the English language. A group of scholars had to identify words that played a major role in everyday communication. Accordingly, based on different methodologies, they started creating lists of 1000-2000 words, which would help language learners communicate in everyday situations. While compiling those lists, researchers used both the frequency of word usage (counted manually in large amounts of texts), as well as the experience of English language teachers, and some other criteria. The development of computer technologies and corpus linguistics, the use of corpora in lexicography, contributed to the development of frequency dictionaries of languages, and word frequency turned into an important, although not the only, principle for compiling macrostructures of learner's dictionaries. Expert knowledge was still counted as an important approach (Cowie 1999). We studied methods for compiling frequency dictionaries for different languages, among which the Kelly project drew our attention (Coxhead and Young 2020; Davies and Gardner 2010; Tschirner and Jones 2006; Cermák and Kxen 2011; Kiligarrif et al 2014; ზერიძე და სხვ., 2018). Within the framework of this project, corpus methods for generating frequency lists were developed for nine languages (<http://kelly.sketchengine.co.uk>). The method involves several steps, including translating each list generated for the nine languages into the other eight languages and using those translations for filling the existing lists with additional words.

Learner's dictionaries have been published in Georgia since the 1930s when I. Gvarjaladze's English-Georgian and Georgian-English dictionaries appeared (გვარჯალაძე 1975). J. Mchedlishvili's *English-Georgian dictionary* was published for the first time in the 1990s. (მჭედლიშვილი 2010). In 2019, the „Lexicographic Center” of Ivane Javakhishvili Tbilisi State University published the *English-Georgian Learner's Dictionary* (მარგალიტაძე, მელაძე და სხვები 2019). In 2014, „Bakur Sulakauri Publishing House” released *Georgian Dictionary* (ცოცანიძე, ლოლაძე და დათუკიშვილი 2014), which belongs to the genre of learner's lexicography.

Despite this, currently there is no word list based on modern methodology, on which a Georgian-English, or any Georgian-X type bilingual learner's dictionary could be based. It should also be taken into account that there is not a fully representative corpus of the Georgian language, which could be the only source for generating a frequency word list.

Proceeding from these considerations, we decided to study word lists of existing dictionaries, the existing corpora of the Georgian language, and based on them, to develop a macrostructure for Georgian-X type bilingual dictionaries.

The word list, developed by us, will be used in the project of the „Centre for Lexicography and Language Technologies” – an Online Dictionary of Georgian-English Collocations. In our approach, we combined several principles for the compilation of the word list: frequency, expert knowledge, and the method used in the Kelly Project, namely the application of other language frequency word lists, translated into Georgian.

In order to create the word list of the Georgian-English learner’s dictionary, the word lists of several dictionaries and corpora were selected. In particular: The Georgian part of the *Comprehensive English-Georgian Dictionary*, which mainly includes academic, literary Georgian lexis; frequency list of the *National Georgian Corpus*; *Georgian Dictionary* published by Sulakauri publishing house, which is based on expert knowledge; a frequency list developed by S. Daraselia, which is extracted from the web corpus created by her at the University of Leeds (დარასელია 2015), and a frequency list created under the supervision of I. Lobzhanidze. This work is interesting as the frequency list, generated from the corpus was compared to the lexis of the Georgian language based on the methodology of the Common European Reference for Languages (ჩალიგავა 2022; ოქელი 2020). At the next stage, we compared the word list, created by us on the basis of above-mentioned dictionaries and corpora, with the frequency list of the English language, namely the Oxford 3000 (<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>), which was translated into Georgian.

In the report, I will present a detailed description of the work that has been done. At this stage of my research, I have a word list of 20,000 words. The word list is still being analyzed, we study both, the words that are shared by all the above-mentioned sources, as well as the words that are not common for them.

Keywords: *Georgian language, learner’s dictionary, word list of the dictionary, frequency, expert knowledge.*

References:

- ბერიძე, მარინა, მაკა თეთრაძე, სოფიკო დარასელია, ნინო შარაშენიძე, ნაირა ბეპიევა, ნინო პოპიაშვილი და სადიატ ქუმარიტოვი (2018). *ქართულ-ოსურ-ინგლისური სიხშირული ლექსიკონი*. Wojnowice: სახელმწიფო ენის დეპარტამენტი; ლიდსის უნივერსიტეტი.
- ბერიძე, მარინა, მაკა თეთრაძე, სოფიკო დარასელია, ნინო შარაშენიძე და ნათია პონიავა (2018). *ქართულ-აზერბაიჯანულ-ინგლისური სიხშირული ლექსიკონი*. Wojnowice: სახელმწიფო ენის დეპარტამენტი; ლიდსის უნივერსიტეტი.
- გვარჯალაძე, თამარ, ისიდორე გვარჯალაძე (1975). *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- დარასელია, სოფიკო (2015). *ქართულ-ევროპული ტიპის ახალი სასწავლო ლექსიკონების შედგენის საკითხები კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით*. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლობჯანიძე, ირინა (2021). *ქართული ენის მორფოსინტაქსური ანოტირებისა და სასრული პოზიციის მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- მარგალიტაძე, თინათინ, მელაძე გიორგი, ხუნდაძე გელა, შუქია აფრდონიძე, ნათია კვერნაძე (2019). *ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი*. თბილისი: თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი.
- მჭედლიშვილი, ჯუანშერ, მჭედლიშვილი, დავითი, ივეტა გოცირიძე (2010). *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი.
- ოძელი, მარიკა (2020). „საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონის განსაზღვრა საჯარო მოხელეებისა და საქართველოს მოქალაქეების მოსურნე პირთათვის.“ *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები* 108-133.
- ჩალიგავა, ლაიზა (2022). *ქართული ენის კორპუსის (ქეკ) ანალიზი ენის სწავლების ამოცანიდან გამომდინარე*. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ცოცანიძე, გიორგი, ნანა ლოლაძე, ნანა, დათუკიშვილი, ქეთევანი (2014). *ქართული ლექსიკონი*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- Cowie, Anthony (1999). *English Dictionaries for foreign learners: A History*. Oxford University Press.
- Coxhead, Averil, Lu Young. A Corpus-based Study of Vocabulary in the New Concept English Textbook Series. *RELC Journal* 1-15.
- Davies, Mark, Dee Gardner (2010). *A Frequency Dictionary of Contemporary American English. Word sketches, collocates, and thematic lists*. London: Routledge, Taylor and Francis group.
- Kiligarrif, Adam, Frieda Charabopoulou, Maria Gavrilidou, Janne Bondi-Johannessen, Sofie Johansson Kokkinakis, Robert Lew, Serge Sharoff, Ravikiran Vadlapudi, Elena Volodina, and Saussan Khalil (2014). *Corpus-based vocabulary lists for language learners for nine languages*. *Lang Resources & Evaluation* 48:121-163.
- Tschirner, Erwin, Randall Jones (2006). *A frequency dictionary of German, core vocabulary for learners*. London: Routledge, Taylor and Francis group.
- Kxen, Michal, Frantisek Zermák (2011). *A Frequency Dictionary of Czech Core vocabulary for learners*. London: Routledge, Taylor and Francis group. Oxford 3000. Accessed September 25, 2022. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>.
- Coxhead, Averil, Lu Young. Kelly project. Accessed June 15, 2022. <http://kelly.sketchengine.co.uk/>.

ქართულ-X ტიპის ორენოვანი სასწავლო ლექსიკონის სიტყვანის შედგენის საკითხისათვის

(მიმდინარე პროექტის პრეზენტაცია)

სალომე ჭილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, დოქტორანტი

salome.tchigladze.1@iliauni.edu.ge

თეზისი: სასწავლო ლექსიკოგრაფიის ისტორიას თუ გადავხედავთ, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, უმთავრესად პედაგოგიური მიზნით, დაიწყო მცირე სიხშირული სიების, ე.წ. „ლექსიკური მინიმუმის“ შედგენა ინგლისური ენის სწავლების გაადვილების მიზნით. მეცნიერთა ჯგუფს უნდა გამოეველინა ისეთი სიტყვები, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებებაში მთავარ როლს ასრულებს. შესაბამისად, სხვადასხვა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაიწყო 1000-2000-სიტყვიანი სიების შექმნა, რომლებიც, ენის შემსწავლელს ყოველდღიური კომუნიკაციის დამყარებაში დაეხმარებოდა. ამ სიების შედგენისას, მკვლევრები ეფუძნებოდნენ როგორც სიტყვების გამოყენების სიხშირეს (რომელსაც ხელით ითვლიდნენ დიდი მოცულობის ტექსტებში), ისე ინგლისური ენის პედაგოგების გამოცდილებას, ექსპერტულ ცოდნას და სხვა კრიტერიუმებს. კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კორპუსის ენათმეცნიერების განვითარებამ, კორპუსების გამოყენებამ ლექსიკოგრაფიაში, ხელი შეუწყო ენების სიხშირული ლექსიკონების შექმნას და სიტყვათა სიხშირე გადაიქცა სასწავლო ლექსიკონების სიტყვანის შედგენის მნიშვნელოვან, თუმცა არა ერთადერთ პრინციპად, რადგან ექსპერტულ ცოდნას კვლავ დიდი ყურადღება ექცეოდა (Cowie 1999). ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა ენისათვის სიხშირული ლექსიკონების შედგენის მეთოდები (Coxhead and Young 2020; Davies and Gardner 2010; Tschirner and Jones 2006; Cermák and Kxen 2011; Kiligarrif et al 2014; ბერიძე და სხვ., 2018), რომელთა შორის ყურადღება მიიპყრო პროექტმა Kelly. ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა სიხშირული სიის მიღების კორპუსული მეთოდები ცხრა ენისათვის (<http://kelly.sketchengine.co.uk>). აღნიშნულილი მეთოდი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის ცხრა ენისთვის მიღებული თითოეული სიის გადათარგმნას დანარჩენ რვა ენაზე და მიღებული თარგმანების გამოყენებას არსებული სიების დამატებითი სიტყვებით შესავსებად.

საქართველოში სასწავლო ტიპის ლექსიკონების გამოქვეყნება იწყება გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ი. გვარჯალაძის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონებით (გვარჯალაძე 1975). 90-იან წლებში პირველად გამოიცა ჯ. მჭედლიშვილის *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი* (მჭედლიშვილი 2010). 2019 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიის ცენტრმა“ წიგნად გამოაქვეყნა *ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი* (მარგალიტაძე, მელაძე და სხვები 2019). 2014 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოუშვა *ქართული ლექსიკონი* (ცოცანიძე, ლოლაძე და დათუკიშვილი 2014), რომელიც სასწავლო ლექსიკონების კატეგორიას განეკუთვნება.

მიუხედავად ამისა, ამ დროისათვის არ არსებობს თანამედროვე მეთოდოლოგიით შექმნილი სიტყვანი, რომელსაც შეიძლება დაეფუძნოს

ქართულ-ინგლისური, ან ნებისმიერი ქართულ-X ტიპის ორენოვანი ლექსიკონი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ არსებობს ქართული ენის ისეთი სრულყოფილი კორპუსი, რომელიც ლექსიკონის სიხშირეზე დაფუძნებული სიტყვანის მისაღებად ერთადერთი წყარო შეიძლება იყოს.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა არსებული ლექსიკონების სიტყვანების შედგენის პრინციპები, ქართული ენის არსებული კორპუსები და მათზე დაყრდნობით შეგვემუშავებინა სიტყვანი ქართულ-X ტიპის ორენოვანი სასწავლო ლექსიკონების შესადგენად. ჩვენს შემთხვევაში, ჩვენ მიერ მიღებული სიტყვანი გამოყენებულ იქნება ქართულ-ინგლისური შესიტყვებების ონლაინლექსიკონის პროექტში. სიტყვანის შედგენის ჩვენს მიდგომაში გავაერთიანეთ რამდენიმე პრინციპი: სიხშირე, ექსპერტული ცოდნა და Kelly-ს პროექტის სიტყვანის თარგმნის მეთოდი. ამისათვის დაიგეგმა სხვადასხვა სიტყვანების შედარება და მიღებული შედეგების ანალიზი.

ქართული-ინგლისური სასწავლო ლექსიკონის სიტყვანის მისაღებად შეირჩა რამდენიმე ლექსიკონისა და კორპუსის სიტყვანი. კერძოდ, ესენია: დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ქართული ნაწილი, რომელიც ძირითადად აკადემიურ, სალიტერატურო ქართულ ლექსიკას მოიცავს; ქართული ენის ეროვნული კორპუსის სიხშირული სია (<http://gnc.gov.ge/gnc/page>); სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცემული ქართული ლექსიკონის სიტყვანი, რომელიც ემყარება ექსპერტულ ცოდნას; ს. დარასელიას მიერ შემუშავებული სიხშირული სია, რომელიც მის მიერ ლიდზის უნივერსიტეტში შექმნილ ვებკორპუსს ეფუძნება (დარასელია 2015) და ი. ლობჯანიძის ხელმძღვანელობით შექმნილი სიხშირული სიტყვანი, რომელიც საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ კორპუსული მონაცემები გაანალიზდა ქართული ენის ექვსდონიანი სისტემის გათვალისწინებით (ჩალიგავა 2022). რაც შეეხება სიტყვანის შედარებას სხვა ენის სიხშირულ სიასთან, ამ მიზნით შეირჩა ინგლისური ენის 3000-სიტყვიანი³⁸ სია, რომელიც ითარგმნა ქართულად (<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>).

მოსხენებაში დეტალურად წარმოვადგენ ჩატარებულ სამუშაოს, რომლის შედეგადაც ამ ეტაპისთვის მივიღეთ 20,000-სიტყვიანი სია. აღნიშნული სიის შესწავლა გრძელდება და ანალიზდება როგორც ის სიტყვები, რომლებიც საერთო იყო ყველა ზემოხსენებული სიისთვის, ასევე ის სიტყვებიც, რომლებიც არ არის საერთო ჩვენ მიერ შედარებულ წყაროებში.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, სასწავლო ლექსიკონი, ლექსიკონის სიტყვანი, სიხშირე, ექსპერტული ცოდნა.

38 იხ. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/wordlists/oxford3000-5000>

Word list

Corpus: **Araneum Georgianum II Beta Medium (Georgian, 23.03) 864 M**
 Subcorpus: **coronavirus**

Reference corpus: **Araneum Georgianum II Beta Medium (Georgian, 23.03) 864 M**

[Switch focus and reference \(sub\)corpus](#)

Page 1 Go [Next >](#)

word	Araneum Georgianum II Beta Medium (Georgian, 23.03) 864 M : coronavirus		Araneum Georgianum II Beta Medium (Georgian, 23.03) 864 M		Score
	document frequency	document frequency/mill ?	document frequency	document frequency/mill	
კორონავირუსით	13,538	1350.2	13,538	15.7	81.1
კორონავირუსი	12,061	1202.9	12,061	14.0	80.5
კორონავირუსზე	2,913	290.5	2,913	3.4	66.7
კორონავირუსისგან	2,135	212.9	2,135	2.5	61.6
კორონავირუსს	1,939	193.4	1,939	2.2	59.9
კორონავირუსმა	1,629	162.5	1,629	1.9	56.7
დაუდასტურდა	4,482	447.0	6,024	7.0	56.2
დაინფიცირდა	1,497	149.3	2,465	2.9	39.0
ინფიცირების	5,072	505.8	10,469	12.1	38.6
ინფიცირებულთა	2,569	256.2	5,008	5.8	37.8
ინფიცირებული	3,874	386.4	8,104	9.4	37.3
თვითიზოლაციაში	1,540	153.6	3,354	3.9	31.7
გამოჯანმრთელდა	2,437	243.1	5,910	6.8	31.1
დაუდასტურდათ	523	52.2	735	0.9	28.7
დაუდგინდა	1,429	142.5	3,553	4.1	28.1
დაინფიცირების	1,179	117.6	2,798	3.2	28.0
დაინფიცირებული	912	91.0	2,098	2.4	26.8
დაინფიცირებულთა	502	50.1	842	1.0	25.9
გამოჯანმრთელებულთა	622	62.0	1,281	1.5	25.4
ინფიცირებულ	765	76.3	1,797	2.1	25.1
კორონავირუსთან	1,514	151.0	4,550	5.3	24.3
არას	1,286	128.2	4,222	4.9	22.6

გამოჯანმრთელებული	<u>1,300</u>	130.2	<u>1,229</u>	4.9	23.9
კორონავირუსის	<u>9,942</u>	991.5	<u>35,947</u>	41.6	23.3
კარანტინში	<u>1,080</u>	107.7	<u>3,216</u>	3.7	23.0
stopcov.ge	<u>391</u>	39.0	<u>648</u>	0.7	22.9
ინფექციურ	<u>1,065</u>	106.2	<u>3,232</u>	3.7	22.6
ვირუსი	<u>3,989</u>	397.8	<u>14,421</u>	16.7	22.5
კოვიდ-19	<u>982</u>	97.9	<u>2,947</u>	3.4	22.4
ინფიცირებულია	<u>568</u>	56.6	<u>1,368</u>	1.6	22.3
COVID-19-ით	<u>583</u>	58.1	<u>1,440</u>	1.7	22.2
გამოჯანმრთელებული	<u>634</u>	63.2	<u>1,664</u>	1.9	22.0
კოვიდინფიცირებული	<u>516</u>	51.5	<u>1,263</u>	1.5	21.3
პაციენტია	<u>574</u>	57.2	<u>1,539</u>	1.8	20.9
ვირუსის	<u>4,643</u>	463.1	<u>18,453</u>	21.4	20.8
COVID-19	<u>1,496</u>	149.2	<u>5,413</u>	6.3	20.7
კორონავირუსისთვის	<u>254</u>	25.3	<u>254</u>	0.3	20.3
საკარანტინო	<u>1,079</u>	107.6	<u>3,766</u>	4.4	20.3
კარანტინის	<u>1,504</u>	150.0	<u>5,573</u>	6.5	20.3
კორონავირუსული	<u>475</u>	47.4	<u>1,208</u>	1.4	20.2
ვირუსისგან	<u>609</u>	60.7	<u>1,798</u>	2.1	20.0
SARS-CoV-2	<u>300</u>	29.9	<u>478</u>	0.6	19.9
ვირუსით	<u>1,374</u>	137.0	<u>5,129</u>	5.9	19.9
ინფიცირება	<u>537</u>	53.6	<u>1,516</u>	1.8	19.8
ეზუგზაიამ	<u>390</u>	38.9	<u>885</u>	1.0	19.7
ვირუსთან	<u>757</u>	75.5	<u>2,514</u>	2.9	19.6
უხანში	<u>286</u>	28.5	<u>441</u>	0.5	19.5
PCR	<u>688</u>	68.6	<u>2,271</u>	2.6	19.2
ინფიცირებულების	<u>383</u>	38.2	<u>908</u>	1.1	19.1
ცხელების	<u>565</u>	56.3	<u>1,734</u>	2.0	19.1
პაციენტი	<u>4,605</u>	459.3	<u>20,259</u>	23.4	18.8
ვირუსმა	<u>573</u>	57.1	<u>1,808</u>	2.1	18.8
კარანტინი	<u>784</u>	78.2	<u>2,781</u>	3.2	18.8
პნევმონია	<u>499</u>	49.8	<u>1,520</u>	1.8	18.4
ეზუგზაიას	<u>309</u>	30.8	<u>647</u>	0.7	18.2
ლუგარის	<u>632</u>	63.0	<u>2,186</u>	2.5	18.1
გარდაცვლილთა	<u>1,391</u>	138.7	<u>5,822</u>	6.7	18.1
ეპიდემიოლოგები	<u>410</u>	40.9	<u>1,156</u>	1.3	17.9
გამოუვლინდა	<u>311</u>	31.0	<u>738</u>	0.9	17.3
კოვიდ	<u>1,507</u>	150.3	<u>6,737</u>	7.8	17.2
COVID-19-ის	<u>1,263</u>	126.0	<u>5,540</u>	6.4	17.1
ინფიცირებულის	<u>277</u>	27.6	<u>591</u>	0.7	17.0
ვირუსზე	<u>415</u>	41.4	<u>1,291</u>	1.5	17.0
ინფიცირებულთან	<u>267</u>	26.6	<u>550</u>	0.6	16.9
კოვიდი	<u>622</u>	62.0	<u>2,373</u>	2.7	16.8
თვითიზოლაციის	<u>437</u>	43.6	<u>1,447</u>	1.7	16.7
COVID	<u>644</u>	64.4	<u>2,544</u>	2.9	16.6

სსიპ	სა.ს	სა.პ	ს.ს.ს	ს.ს	ს.ს.ს
საკარანტინე	405	40.4	1,301	1.5	16.5
ინფიცირებულები	274	27.3	622	0.7	16.5
ეპიდემიის	1,163	116.0	5,344	6.2	16.3
პანდემიად	229	22.8	414	0.5	16.1
მკურნალობს	984	98.1	4,474	5.2	16.0
ბოქსირებულ	214	21.3	346	0.4	16.0
დადასტურებული	2,698	269.1	13,829	16.0	15.9
ინფექციონისტი	366	36.5	1,177	1.4	15.9
პანდემია	1,448	144.4	7,137	8.3	15.7
უსიმპტომო	306	30.5	883	1.0	15.6
პაციენტიდან	273	27.2	721	0.8	15.4
კოვიდ-19-ით	256	25.5	627	0.7	15.4
ინფექციური	1,806	180.1	9,373	10.8	15.3
Covid-19	344	34.3	1,135	1.3	15.3
სტაციონარში	570	56.8	2,419	2.8	15.2
კოვიდ-19-ის	611	60.9	2,706	3.1	15.0
კორონა	804	80.2	3,823	4.4	15.0
რესპირატორული	559	55.8	2,414	2.8	15.0
გამყრელიძის	714	71.2	3,334	3.9	14.9
პანდემიას	567	56.5	2,482	2.9	14.9
covid-19	282	28.1	845	1.0	14.7
დაავადებათა	3,405	339.6	19,295	22.3	14.6
ინფიცირებულებს	210	20.9	437	0.5	14.6
დაინფიცირდნენ	213	21.2	456	0.5	14.6
შტამი	550	54.9	2,458	2.8	14.5
ვაქცინა	1,734	172.9	9,593	11.1	14.4
დღე-ღამის	815	81.3	4,117	4.8	14.3
გამყრელიძემ	1,057	105.4	5,628	6.5	14.2
დაუფიქსირდა	237	23.6	641	0.7	14.1
დაინფიცირებულ	227	22.6	586	0.7	14.1
ვაქცინას	675	67.3	3,337	3.9	14.1
ვაქცინის	1,712	170.7	9,729	11.3	14.0
ინფექციის	1,765	176.0	10,084	11.7	14.0

List of Authors

ავტორთა საძიებელი

Abuladze Tamta	135	აბულაძე თამთა	137
Acosta Rebeca	23	აკოსტა რებეკა	25
Benko Vladimír	30	ბენკო ვლადიმირი	33
Beridze Khatuna	36	ბერიძე მარინა	41
Beridze Marina	39	ბერიძე ხათუნა	37
Bolkvadze Tinatin	43	ბოლქვაძე თინათინი	44
Bubuteishvili Tinatin	45	ბუბუტიეიშვილი თინათინი	47
Bukia Manana	70	ბუკია მანანა	73
Butkhuzi Tinatin	70	ბუთხუზი თინათინი	73
Castro Alberte Fernández	49	კასტროსამია რუსუდანი	83
Chabashvili Ana,	53	გვარიშვილი ზეინაბი	37
Chabashvili Mariam	53	გიმალეტდინოვა გულნარა	141
Costa Rute	57	გოგია ნანა	86
Ducassé Mireille	66	გოჯაევა სოფიო	146
Dvalidze Nino	62	გუმზარიძე ჟუჟუნა	37
Elizbarashvili Archil	66	დვალიძე ნინო	64
Elizbarashvili Elizbar	70	დუკასე მირეი	68
Ezugbaia Lali	70	ეზუგბაია ლალი	73
Farina Donna	77	ელიზბარაშვილი არჩილი	68
Gersamia Rusudan	81	ელიზბარაშვილი ელიზბარი	73
Gimaletdinova Gulnara	139	ვარდიძე თინათინი	127
Gogia Nana	84	ვერბინცი ალენკა	79
Gojaeva Sofia	144	ვერბინცი მარიეტა	79
Gumbaridze Zhuzhuna	36	თევდორაძე ქეთევანი	123
Gvarishvili Zeinab	36	თეთრაძე მაკა	41
Hovhannisyán Seda	88	იესენალი აკერკე	130
Khachidze Manana	66	კასტრო ალბერტე ფერნანდესი	51
Khalitova Liliia	139	კვიციანი თამარი	154
Khatisashvili Gia	70	კოსტა რუტე	60
Khatisashvili Tamar	70	ლალუაშვილი თამარი	159
Khuskivadze Elene	148	ლე დონნე მაურო	101
Koridze Eliso	93	ლიპი ვერონიკა	106
Kvitsiani Tamar	152	ლობჟანიძე ირინა	83
Laluashvili Tamar	156	მარგალიტაძე თინათინი	18
Le Donne Mauro	98	მახარობლიძე თამარი	110
Lipp Veronika	103	მელაძე გიორგი	114
Lobzhanidze Irina	81	მჭედლიშვილი ქეთევანი	163

Makharoblidze Tamar	108	პანდვი უტპალი	91
Margalitadze Tinatin	17	პროსეკი გაბორი	106
Mchedlishvili Ketevan	161	სალგადო ანა	60
Meladze Giorgi	112	სვიკე სილგა	167
Pandey Utpal	88	ტენ ჰაკენი პიუსი	16
Prószéký Gábor	103	ტრაპ-იენსენი ლარსი	14
Salgado Ana	57	ფარინა დონა	79
Simon László	103	ქორიძე ელისო	96
Steuernagel Fabian	23	შიმონი ლასლო	106
Sviķe Silga	165	შტოიერნაგელი ფაბიანი	25
ten Hacken Pius	15	ცინცაძე მაგდა	68
Tchighladze Ketevan	116	ჭაბაშვილი ანა	55
Tchighladze Salome	169	ჭაბაშვილი მარიამი	55
Tetradze Maka	39	ჭილაძე სალომე	172
Tevdoradze Ketevan	121	ჭილაძე ქეთევანი	119
Tsintsadze Magda	66	ხალიტოვა ლილია	141
Trap-Jensen Lars	13	ხატისაშვილი გია	73
Vardidze Tinatin	125	ხატისაშვილი თამარი	73
Vrbinc Alenka	77	ხაჩიძე მანანა	68
Vrbinc Marjeta	77	ხუსკივაძე ელენე	150
Yessenali Akerke	129	ჰოვანისიანი სედა	91

